ეროვნული ბიბლიოთეკა

№177 (12 247)
30 ივლისი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

შოთა ისევ დანის პირზეა

ვალენსიის "ლევანტემ" გასულ უქმეებზე ამხანაგური მატჩი გამართა ფრანგულ "სტრასბურთან" და შეხვედრა 1:1 დასრულდა. შოთა არველაძე კი "ლევანტეს" სამატჩო განაცხადშიც არ ყოფილა. ვითარების გასარკვევად შოთას ვალენსიაში დავუკავშირდით და შევიტყვეთ, რომ ტრავმირებულია და ოპერაციის გაკეთებას აპირებს.

- მუხლი ისე გამისივდა, ორი დღეა, ვერ ვვარჯიშობ. "ლევანტეს" ექიმმა უკვე სურათიც გადამიღო მუხლზე და მას ხვალ კიდევ უნდა შევხვდე. ამის შემდეგ გადაწყდება, გამიკეთებს თუ არა ოპერაციას.

- მუხლის ოპერაცია ბოლოს 2004 წელს გაიკეთე, როცა "რეინჯერსში" თამაშობდი. მაშინ ამსტერდამში ჩახვედი შენს ექიმთან და ოპერაცია მან გაგიკეთა - ახლაც იმავეს აპირებ?

- მასეა, მაგრამ საამისო ნებართვა "ლევანტემ" უნდა მომცეს. კლუბის ხელმძღვანელობას ამაზე ჯერ "ლევანტეს" ექიმი უნდა დაელაპარაკოს.

- საკუთარ თავს როგორ ატყობ, ოპერაცია აუცილებელია?

- არ არის გამორიცხული, რომ თუ რამდენიმე ხანს დავისვენებ, მუხლი ჩამიცხრეს, მაგრამ მერე როდის და რამდენჯერ შემაწუხებს, არავინ იცის. უკეთესი იქნება, ოპერაციას ახლა თუ გავიკეთებ.

- 2004 წელს რომ გაიკეთე ოპერაცია და მუხლი ხრტილოვანი ნაფშვენებისგან რომ ამოგისუფთავეს, სარეაბილიტაციო პერიოდმა რამდენ ხანს გასტანა?

- სამი თვე, მაგრამ მაშინ სეზონის ბოლო იყო და საჩქარო არაფერი მქონდა. ახლა თუ გავიკეთებ ოპერაციას, უფრო მალე მომიწევს მწყობრში ჩადგომა.

- მოკლედ, ოპერაცია გარდაუვალია...

- დიდი შანსია, რომ ოპერაცია გავიკეთო.

- ამის თაობაზე უკვე ესაუბრე "ლევანტეს" მწვრთნელ აბელ რესინოს?

- არა, რადგან ჯერ კლუბის ექიმმა უნდა თქვას თავის სიტყვა. ისე კი, აბელ რესინოსთან თავიდანვე ნორმალური ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, საერთოდაც, აქ ძალიან კარგი სიტუაციაა, მაგრამ მუხლმა ხასიათი წამიხდინა.

- "ლევანტეში" ნომერი აქამდე რატომ ვერ აიღე?

- კლუბმა ჯერ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში უნდა დამარეგისტრიროს და ნომრის ალებაც ფორმალობების გამო ჭიანურდება.

დავით თავართქილაძე

რას იტყვის ლევანტე?

პლაჟბურთი

გაისად ჩვენი თვალით ვნახავთ...

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. ინტერვიუ ლევან ახვლედიანთან





განაგრძეთ განვითარება

ექსკლუზიური ინტერვიუ საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ რუბენ აკოსტასთან

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის დასკვნითი რეპორტაჟი შვეიცარიიდან 13

რეიესი ატლეტიკოში მიდის?

ესპანური "მარკას" ცნობით, **ხოსე ანტონიო რეიესი** სადაცაა მადრიდის "ატლეტიკოში" ამოყოფს თავს. რეიესს "რეალში" არენდის ვადა ამოეწურა და კვლავ "არსენალს" მიაშურა, მაგრამ **არსენ ვენგერის** თქმით, ეს ფეხბურთელი მის გეგმებში აღარ მოიაზრება. შორს დაიჭირა თავად "რეალმაც", "ლიონს" კი, რომელიც ვითომ ახლოს იყო ესპანელი მარცხენაფლანგელის შეძენასთან, ბოლო მომენტში ხელი მოეცარა. "მარკა" ამტკიცებს, რომ "არსენალმა" და "ატლეტიკომ" უკვე მიაღწიეს შეთანხმებას 12 მილიონ ევროზე და გარიგებას დღეს-ხვალ დაუსვამენ წერტილს. თუ ეს ტრანსფერი მართლაც შედგა, "როხიბლანკოს" საამზაფხულო დანახარჯი უკვე 80 მილიონ ევროს მიუკაკუნებს, რაც დიდწილად **ფერნანდო ტორესის** "ლივერპულში" გაყიდვის წყალობაა. შეგახსენებთ, რომ ამ ფულით "ატლეტიკომ" უკვე შეიძინა **დიეგო ფორლანი, სიმაო საბროსა** და **ლუის გარსია**.

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

კაკა და რეალი: უკვე 60 მილიონი გირვანქა!

მილანი და მადრიდი მოსკოვში ისაუბრებენ... 6

ფიფა უეფას ურტყამს

ბლატერმა ევროპას მუნდიალი კარგა ხნით აუკრძალა 6

გასული უიქენდის ამხანაგური მატჩები

არსენალი-ინტერი	2:1
ნიუკასლი-იუვენტუსი	2:0
ლევერკუზენი-რომა	2:2
მილანი-ლეკო	4:0
პსჟ-ვალენსია	3:0
რეინჯერსი-ჩელსი	2:0

ვრცლად ხვალინდელ ნომერში

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

გელაშვილი ოლიმპში!

კვახაძე სეზონს ვიტ ჯორჯიაში დაასრულებს

ნიკოლოზ გელაშვილი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის "ვიტ ჯორჯიის" ყოფილი ფორვარდი **ნიკა გელაშვილი** ახალი სეზონიდან, სავარაუდოდ, რუსთავის "ოლიმპში" ითამაშებს. ეს ინფორმაცია კლუბში გვითხრეს და თავად მოთამაშემაც დაგვიდასტურა.

უფრო კონკრეტულად - ნიკა გელაშვილი ზაფხულში ბელგიაში იყო და "ბრიუგეში" ისინჯებოდა. საბოლოოდ, იგი საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ არა "ვიტ ჯორჯიაში". როგორც გავარკვიეთ, მისი სატრანსფერო ფურცელი ერთ-ერთმა სამენეჯერო კომპანიამ შეისყიდა, რომელმაც მისი "ოლიმპში" გადაყვანა გადაწყვიტა.

საკითხი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, მაგრამ ყველაფერი ამისკენ მიდის და ნიკა რუსთავში ითამაშებს - გვითხრეს "ვიტ ჯორჯიაში".

ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ გასული სეზონის ერთ-ერთი გამორჩეული ფორვარდი უკვე "ოლიმპში" ვარჯიშობს. მას გუშინ დავუკავშირდით და ინფორმაცია დაგვიდასტურა:

- დიახ, უკვე "ოლიმპში" ვვარჯიშობ და როგორც ვხედავ, სეზონს ამ გუნდში დავიწყებ. ინტერესი თავად რუსთაველებს აღმოაჩნდათ. როგორც ყოველთვის, "ვიტ ჯორჯიის" ხელმძღვანელობა დაბრკოლებას არ მიქმნის. რომელ ხელის შეშლაზეა საუბარი, ამ გუნდში ჩარიცხვის შემდეგ, მხოლოდ თანადგომას ვხედავ. თუმცა საკითხი საბოლოოდ დღე-დღეზე უნდა გაირკვეს.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკა "ოლიმპში" გადადის, ის რუსთაველებს ექვსი თვე თუ დაეხმარება.

- რუსთაველებს პირველი წრის ბოლომდე თუ დავეხმარები. მერე კი ისევ ბელგიაში მივდივარ.

- ბელგიაში არ იყავი? უკან რატომღა ჩამოხვედი?

- იქ გაუთვალისწინებელი პრობლემები შეიქმნა. "ბრიუგედან" ორი ლეგიონერი მიდიოდა. საკითხი გადაწყვეტილი ეგონათ და მე უნდა გამეფორმებინა კონტრაქტი. ბოლოს კი მათი გადასვლა ჩაიშალა. მე შემომთავაზეს ორი ვარიანტი - კონტრაქტი და ექვსი თვით სათადარიგოებში ჯდომა, მეორე ვარიანტი კი "რუზელარეში" გადასვლა და სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება იყო.

- მერე? უარი თქვი და საქართველოში დაბრუნება არჩიე?

- "რუზელარეზე" უარი ვთქვი.

- კი მაგრამ ბელგიის აუტსაიდერში თამაში არ გერჩივნა?

- "რუზელარე" რად მინდა, როცა ექვსი თვის შემდეგ "ბრიუგესთან" კონტრაქტს გავაფორმებ.

- ეს გადაწყვეტილია?

- დიახ და ამიტომ ვთქვი "რუზელარეზე" უარი.

დაბოლოს, "ვიტ ჯორჯიაში" სეზონის ბოლომდე ითამაშებს **ლექსო კვახაძე**. ის გუნდს ყირიმში შეუერთდა.

მერაბ მამულაშვილი

თვალსაზრისი

ორმაგმა სტანდარტმა სპორტშიც შეიმოაღწია

გაკოტტავებულ სტადიონზე უფულოდ ვინღამ უნდა ირბინოს?

როგორ ვიშოვოთ ფული სპორტისგან? დააფუძნეთ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა, ერთ მინი-მოედანზე შეყარეთ ორმოცდაათამდე ბავშვი, თითოეულს თვეში ოცდაათი ლარი გადაახდევინეთ, ხოლო როცა მათ ზაფხულში შეკრებაზე წაიყვანთ რომელიმე ზღვისპირა კურორტზე, უფრო მეტ მოგებას ნახავთ. უხარისხო მოედნებზე და ხშირ შემთხვევაში თაღლითი მწვრთნელის ხელში ბავშვს მცირე შანსი აქვს, კარგ ფეხბურთელად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მთელ ამ პროცესში მშობელიც იმედიანადაა და ბავშვიც, ხოლო საფეხბურთო სკოლის მესვეური კმაყოფილია - მისი კანტორა მოგებაზე მუშაობს.

სპორტი საქართველოში ის სფეროა, სადაც პატარა ფულის შოვნა შესაძლებელია, დიდ უნარს და ცოდნას არ მოითხოვს, შეიძლება ითქვას, ძალიან პრიმიტიული ბიზნესიც კია, მაგრამ სპორტისგან ხომ მილიონების შოვნაც შეიძლება.

და უფრო რომელ სახეობას უნდა მივადგეთ? რა თქმა უნდა, ფეხბურთს, სადაც ყველაზე მეტი ფული ტრიალებს და სხვა დივიდენდებიც მოაქვს - რენომე და რესპექტაბელურობა.

საფეხბურთო კლუბის ყოლა ერთგვარი მოდაც კი არის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ზოგი რუსი, ყაზახი თუ უკრაინელი ოლიგარქი წამგებიანი საფეხბურთო კლუბის მფლობელია, მაგრამ ფეხბურთი მათთვის სამკაულია, რომლითაც საზოგადოებას უნდა გაეპრანჭონ და თავი მოაწონონ.

რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებულმა **ბადრი პატარკაციშვილმა** თბილისის „დინამო" 2001 წელს იყიდა და „დინამოს" მართლაც სერიოზული დაფინანსების წყარო გაუჩნდა, მაგრამ საითკენ მიდის კლუბი, რა იყო პატარკაციშვილის, როგორც ბიზნესმენის მიზანი?

დღეს „დინამო" არ არის იმ ძალის, ხვალ-ზეგ ჩემპიონთა ლიგაში რომ მოხვდეს. ამ ტურნირში მონაწილეობა კი გარანტირებულ მილიონებს იძლევა. მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას სჭირდება მნიშვნელოვანი კაპიტალი, მიზანმიმართული საკლუბო პოლიტიკა, კლუბის ფილოსოფია, კვალიფიცირებული სტაფი, მწვრთნელი და ფეხბურთელები. ერთი სიტყვით, პრიმიტიული ბიზნესი აქ მთავრდება და სულ სხვა მასშტაბები იშლება, რომელსაც საქართველოში ჯერ ვერც ერთი ბიზნესმენი ვერ შეწვდა.

ბევრს აქვს მილიონები, მაგრამ ბევრმაც არ იცის, ამით როგორ იშოვოს ფული ფეხბურთში.

საქართველოში არის კიდევ ერთი საფეხბურთო კლუბი, მეტწილად უცხოური კაპიტალით რომ ფინანსდება - თბილისის „ამერი", რომლის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი მოსკოვში მოსაქმე **კოტე გოგელიაა,** ვისაც იქ გადაზიდვების ბიზნესი აქვს. მისი მეუღლეა "სელებრითი" **მაკა ასათიანი.**

„ამერი" უფრო ბიზნესზეა გათვლილი, ვიდრე ვილაცისთვის იმიჯის შექმნაზე. ეს კლუბი უკვე ხუთი წელია, არსებობს, თუმცა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვის მზად ჯერ არც ის არის. თუ ხარჯთაღრიცხვას შევადგენთ, ამ ტურნირში მონაწილეობისთვის ქართულ კლუბს მინიმუმ ათმილიონდოლარიანი წლიური ბიუჯეტი უნდა ჰქონდეს. ასეთია პრაგმატული გათვლა.

საქართველოში ყველა მოწინავე საფეხბურთო თუ სხვა გუნდური სახეობის კლუბი არარენტაბელურია. საქართველო თავისი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ფეხბურთელების თუ სხვა სპორტსმენების ექსპორტიორი ქვეყანაა, მაგრამ ადამიანური რესურსის ექსპორტსაც მაღალი დონის ინფრასტრუქტურა სჭირდება, კიდევ რეკლამა და მარკეტინგი - ვის ესმის საქართველოში კარგად ეს საკითხები? ამიტომაც, ქართულ სპორტული ექსპორტი ერთი-ორი გამონაკლისის გარდა მაღალი ხარისხის ვერ არის.

მაშ, რა უნდა ვქნათ? დაველოდოთ ქვეყანაში ეკონომიკის ზრდას - მითხრა ხელისუფლების ერთ-ერთმა საკვანძო ფიგურა **გიგა ბოკერიამ.** დრო და ეკონომიკის წინსვლა მართლაც გამოაკეთებს სპორტის ბიზნესს საქართველოში, მაგრამ არის იმის პრეცედენტი, ლოდინის გარდა უფრო ქმედითები რომ ვიყოთ.

იყო ასეთი კაცი - **თურგუთ ოზალი,** თურქეთის პრემიერ-მინისტრი და შემდგომ პრეზიდენტი 70-80-იან წლებში. მისი გამჭრიახი პოლიტიკით თურქეთმა დიდ ეკონომიკურ წინსვლას მიაღწია. მან კიდევ უფრო დააჩქარა თურქეთში სპორტის და უშუალოდ ფეხბურთის განვითარება. მისი გადაწყვეტილება სადა და ეფექტური იყო - მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები სპორტში მოსაქმე მეწარმეებისთვის. ოზალმა ამით სპორტი და ფეხბურთი მიმზიდველი გახადა ბიზნესმენებისათვის და 80-იანი წლებიდან თურქულ ფეხბურთს დიდი აღმავლობა დაეტყო, ყოველივე კი იმით დაგვირგვინდა, რომ 2002 წელს თურქეთის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გავიდა. 90-იან წლებიდან საგადასახადო შეღავათები თანდათან მოეხსნათ თურქულ კლუბებს, მაგრამ რამდენიმე შეღავათი ახლაც აქვთ. მაგალითად, მოედნების მოსარწყავად წყლის გადასახადს არ იხდიან. საქართველოში კი ფაქტობრივად არანაირი მსგავი შეღავათი არ არსებობს. როცა კლუბს თავისი გუნდისათვის უცხოეთიდან შემოაქვს ბურთი თუ ბუცი, ისევე იბეგრება, როგორც კომერციული ტვირთის შემომტანი.

რა თქმა უნდა, საგადასახადო შეღავათების დაწესება სერიოზულად ზრდის კორუფციისა და თაღლითობის რისკს, მაგრამ თუ ოზალის პროექტი რიგიანად განხორციელდება, ეფექტი იმდენად დიდი იქნება, რომ კორუფციის მომატებული მასშტაბი მალევე უნდა შემცირდეს - ასე მოხდა თურქეთში და სავსებით შესაძლებელია, ასე რომ მოხდეს საქართველოში.

ცხადია, მხოლოდ ოზალის რეცეპტზე არ უნდა ჩავიციკლოთ და იქნებ, სხვა ეფექტური გზაც გამოიძებნოს, მაგრამ რომელი?

მინი-მოედნების აშენება ძალიან კარგია, მაგრამ ეს ასპექტი მასობრივ სპორტს ემსახურება, მასობრიობა კი არსად არ არის პროფესიონალიზმის წინაპირობა და სხვანაირად ვერც საქართველოში იქნება. ვერც ის უშველის საქმეს, რომ ხელისუფლება იხდის საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელ **კლაუს ტოპმიოლერის** ჯამაგირს - ეს ძალიან მნიშვნელოვანი დახმარებაა ქართული ფეხბურთისთვის, მაგრამ ეროვნული ნაკრები საფეხბურთო მეურნეობის მწვერვალია და არა საძირკველი.

ფაქტია, რომ საქართველოში არ არსებობს და არც არსებულა ფინანსურად წარმატებული სპორტული კლუბი და აქ მხოლოდ ცალკეული ბიზნესმენების უნარში არ უნდა იყოს საქმე - სპორტი საქართველოში მიმზიდველი ბიზნესი ვერა და ვერ გახდა. უბრალოდ, არსებობენ მეტნაკლებად არარენტაბელური კლუბები, სპორტი მხოლოდ სპორტსმენებისთვის და მათი მენეჯერებისთვის არის მნიშვნელოვნად წარმატებული საქმიანობა.

ცხადია, კარგია, რომ მალე სახელმწიფოს დახმარებით საქართველოში რამდენიმე ახალი სტადიონი აშენდება, მაგრამ ესეც საქმის ზემოდან დაწყებას ჰგავს. ინფრასტრუქტურა ვინძლო ბიზნესმენებს დამატებით სტიმულს მისცემს, მაგრამ სპორტშიც მთავარი პრიორიტეტი ადამიანია და არა, მაგალითად, წარმატებული პიარკამპანია. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით ადამიანური რესურსები როგორ მოფულიანდება, რთული სათქმელია.

ისიც კარგია, რომ უმაღლეს ლიგას სახელმწიფო შეწევნით ასე თუ ისე ფინანსურად უზრუნველყოფილი "ცხინვალი" დაემატება, მაგრამ ჩვენთან ხომ აკრძალულია სახელმწიფოს და სახელმწიფო შპს-ებისგან საფეხბურთო კლუბების დაფინანსება? ისიც გვახსოვს, რომ ფოთის "კოლხეთი" სხვათა გარდა, არც ფოთის პორტმა დააფინანსა და არც არავინ, ხოლო ბოლნისის "სიონს" ბოლნისის გამგეობაც აფინანსებდა და სანარმო "მადნეულიც".

ვეჭვობთ, ორმაგმა სტანდარტებმა ფეხბურთი ახეიროს...

დავით თავართქილაძე

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

16-წლამდელთა ნაკრები. ამხანაგური მატჩი

საეჭვო პენალტი და არჩათვლილი გოლი

რუსეთი-საქართველო 3:2

1:0 ობუხოვი (10), 2:0 ბარტნიკი (15. პენალტით), 2:1 ვაშაკიძე (24), 2:2 ანანიძე (28), 3:2 მირონოვი (57)

რუსეთი: ლიაშინი, ჩეჟია, პაშინი, ბალტემიროვი, ნიკიტინი, ბარტნიკი (40. მირონოვი), კირეევი, სადირევი (40. მისჩინსკი), ნუროვი, პეტროსიანი, ობუხოვი.

მწვრთნელი: იური სოლიანინოვი.

საქართველო: ნადირაძე, ამაშუკელი, მირცხულავა (73. გაბაშვილი), კვეკვესკირი, ქვარცხავა, ჩელებაძე (59. ელიზბარაშვილი), მამულაძე, ძალამიძე (43. ქვარაია), ანანიძე, შეყილაძე (60. შარაშენიძე), ვაშაკიძე (70. კუხალეიშვილი).

მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი.

გაფრთხილება: ნიკიტინი, ნუროვი, ანანიძე, ბარტნიკი, ელიზბარაშვილი.

არბიტრი: ს. მარეევი.

რუსეთში მყოფმა ჩვენმა 16-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ მეორე ამხანაგური მატჩი გამართა. როგორც იცით, **ჰერბერტ ცანკერის** გუნდმა რუსი თანატოლები პირველ შეხვედრაში (პარასკევს, 27 ივლისს) 2:1 დაამარცხა, ამჯერად კი მატჩი მეტოქის გამარჯვებით, 3:2 დასრულდა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, გუშინდელი მატჩი მოსკოვის სიახლოვეს, პატარა ქალაქ ბრონიცში ჩატარდა. შეხვედრის პირველი ტაიმი უხვგოლიანი გამოდგა: ტრიბუნაზე შეკრებილმა რამდენიმე ასეულმა ქომაგმა 4 გოლი იხილა. რაც შეეხება უშუალოდ მატჩის მსვლელობას, რუსებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს და დებიუტშივე ორბურთიანი ფორა მოიპოვეს. მე-10 წუთზე ანგარიში **ობუხოვმა** გახსნა. ათიოდე წუთში მატჩის არბიტრმა **მარეევმა** ჩვენს კარში პენალტი დანიშნა. **ბარტნიკის** დარტყმული 11-მეტრიანი გუნდის კაპიტანმა და მეკარე **ნადირაძემ** კი მოიგერია, მაგრამ... მთავარმა რეფერიმ ხელახლა მოითხოვა პენალტის შესრულება და ამჯერად ბარტნიკს გაუმართლა - 2:0.

ცანკერის ბიჭები ორბურთიან დეფიციტს არ გაუტეხავს. ისინი უფრო გააქტიურდნენ და წონასწორობა პირველივე ტაიმში აღადგინეს. 24-ე წუთზე ჩვენი გუნდის მიერ გათამაშებულ ლამაზ კომბინაციას **ვაშაკიძის** გოლი მოჰყვა. ოთხ წუთში კი **ანანიძემ** ზუსტად შეასრულა ჯარიმა და ანგარიში გათანაბრდა - 2:2. ტაიმის დასრულებამდე 7 წუთით ადრე, იმავე ვაშაკიძემ წესების სრული დაცვით კიდევ ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ... არბიტრმა გოლი არ ჩათვალა...

მატჩის მეორე ნახევარიც დაძაბულად წარიმართა. რუსებმა გამარჯვება შეცვლაზე შესული **მირონოვის** მიერ 57-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით მოახერხეს. ჰერბერტ ცანკერის რაზმი სამშობლოში დღეს გამოეგზავრება.

დავით ცაბაძე

ჰერბერტ ცანკერის გუნდმა რუსეთის ნაკრებთან ამჯერად წააგო

დავით ჯანაშია

ტორპედო-მგლები 0:2

0:1 ჭედია (2), 0:2 ხუბუა (30)

მგლები: დევაძე, ექონია, მაჭავარიანი, ფარულავა, კაკაბაძე, ხუხია, ჯოჯუა, ვართაგავა, ხუბუა, ჭედია, კრასოვსკი

შეცვლაზე შევიდნენ: დ. ქირია, კუტალია, ლიპარტია, ბაკარანძე

ტორპედო: ოდიშარია, კვერნაძე, ხინგავა, გაბუნია, ჯანაშია, ძაგანია, გორგოძე, მეტონიძე, ჯიხაძე, მდივნიშვილი, გოლერიძე.

შეცვლაზე შევიდნენ: კირკიტაძე, დანელია, ქიმუცაძე, დათაშვილი, დარსაძე.

კლუბები

მგლები მგლურად ემზადებიან

გუშინ "ტორპედოს" საღორიის საწვრთნელი ბაზა სეზონისწინა მორიგ ამხანაგურ საწვრთნელ მატჩს მასპინძლობდა. ამჯერად "ტორპედოს" მეტოქე ზუგდიდის "მგლები" იყო. ჩვენდა გასაოცრად ზაფხულის ხვათში გამართულ შეხვედრას მრავლად დაესწრო გულშემატკივარი, როგორც ადგილობრივი, ისე ჩამოსული. მატჩისწინ მათი განწყობა კი ერთსულოვანი იყო, კარგად მომზადებულ "მგლებს" მიუკერძოებელი და მოუმზადებელი "ტორპედოსთვის" უნდა მოეგო...

შეხვედრა სწორედ ნაგულისხმები სცენარით წარიმართა და თუ როგორ, მოკლედ მივყვეთ მატჩის მსვლელობას. სტუმრები სასტარტო სასტვენისთანავე გადავიდნენ შეტევაზე, მე-2 წუთზე მასპინძელ მცველს ბურთი აეჭრა, რომელიც ხელსაყრელ პოზიციაში მდგომ **ჭედიას** მიუვიდა პირისპირ გასულ თავდამსხმელს გატანა ნამდვილად არ გასჭირვებია - 1:0.

"მგლები" ამის შემდეგაც აქტიურად ირჯებოდა, მასპინძლებმა კი მხოლოდ მე-17 წუთისთვის შექმნეს რეალური მომენტი და წესით გატანაც მართებდათ, მაგრამ გამოზომილი პასით პირისპირ გასულმა **მდივნიშვილმა** "მოახერხა" და ვერ გაიტანა. საფეხბურთო კანონზომიერების დარღვევა ხშირად საკუთარ კარში გაშვებული გოლით მთავრდება. ასე მოხდა ამჯერადაც - ტორპედოელებმა თავიანთი კარის სიახლოვეს **ექონია** წააქციეს, **ხუბუამ** კი 24 მეტრიდან, ეფექტურად შეასრულა საჯარიმო და ანგარიში 2:0 გახადა. ტაიმის ბოლოს **კრასოვსკის** თავით შეეძლო გატანა, მაგრამ ოდნავ ააცილა. "ტორპედოს" მწვრთნელმა **დავით ჯანაშიამ** ძირითადში მოაზრებული რამდენიმე ფეხბურთელი თავიდანვე არ დააყენა, მეორე ტაიმის დასაწყისში თავისი გამოცდილი ფეხბურთელების მეორე ეშელონიც შეცვალა და ძირითადად სათადარიგოების თამაში მოსინჯა. სტუმრებმაც რამდენიმე შეცვლით უპასუხეს, თუმცა ამ სახეცვლილებებით აქტიურები ისევ მეგრელები გახლდნენ. სწრაფი მოძრაობით, გააზრებული განივი გადაცემებითა და ტექნიკით მათ რიონისპირელებზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს და ორჯერ გატანაც შეეძლოთ, თუმცა **ბაკარანძეს** ტორპედოელმა მეკარემ არ დაანება და მეორეში მშრალად შეინახა თავისი კარი. საბოლოოდ უკეთ მომზადებულმა "მგლებმა" გაიმარჯვა და **ბესიკ შეროზიას** გუნდი ისევ ამაღლებულ ნოტაზე აგრძელებს ჩემპიონატისათვის მზადებას. სტარტამდე მათ კიდევ ერთი მატჩის გამართვა აქვთ დაგეგმილი, ტორპედოელები კი მორიგ მატჩს სავარაუდოდ დღეს გამართავენ:

მერაბ ბრძელიძე
ქუთაისიდან

ვიტ ჯორჯიამ სიმფეროპოლი გაიარა

უკრაინაში, სიმფეროპოლთან ახლოს, კრიმტეპლიცაში შეკრებაზე მყოფმა "ვიტ ჯორჯიამ" მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. ვიტელთა მეტოქე პირველლიგელი "სიმფეროპოლის" მეორე გუნდი იყო და ჩვენებურებმა 2:0 იმარჯვეს.

პირველი ბურთი "ვიტ ჯორჯიამ" 29-ე წუთზე გაიტანა - **ზაზა სახოკიამ** საგოლე დარტყმა სოლო რეიდს მიაყოლა. კლუბის პრესსამსახური იმასაც იტყობინება, რომ სახოკია ამ შეკრებაზე ერთობ ძლიერად თამაშობს.

მეორე ტაიმშიც უპირატესობას **ნესტორ მუმლაძის** გუნდი ფლობდა და 86-ე წუთზე მეორე გოლსაც გამორჩა - თავი **ლუკა რაზმაძემ** გამოიჩინა.

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი (46. ინჯია), ლომაია, კვახაძე, რაზმაძე (86. მაისაშვილი), ბეჭვაია, გ. დათუნაიშვილი (86. მელქაძე), ლუჭაშვილი, სახოკია (55. ლიპარტია), კლიმიაშვილი, ბერიშვილი (46. კიკნაძე).

ვიტელები თბილისში 4 აგვისტოს დაბრუნდებიან და მანამდე კიდევ აპირებენ ამხანაგური მატჩების გამართვას.

დავით თავართქილაძე



ნესტორ მუმლაძე

ლეგიონერები

ლომაია უკრაინაშია

ცქიტიშვილი: ისრაელი ან კვიპროსი, აშვეთია?

ეროვნული ნაკრების უგუნდოდ მყოფმა ორმა ფეხბურთელმა, შესაძლოა, მალე კონტრაქტები გააფორმონ. ჩვენი ინფორმაციით, მეკარე **გიორგი ლომაია** უკრაინაშია, აგენტის მეშვეობით მოლაპარაკებებს აწარმოებს და მისი მომავალი კლუბის ვინაობაც მალე გაირკვევა. სხვათა შორის, თბილისში ლომაიების ოჯახშიც დაგვიდასტურეს, რომ გიორგი ბედს უკრაინაში ეძებს, მომავალი გუნდის შესახებ კი ვერაფერი გვითხრეს. სავარაუდოდ, ლომაიას გადაბირება "ზაკარპატიეს", "ტავრიასა" და "კრივბასს" სურთ. შესაძლოა, საქართველოს ნაკრების მეკარესთან მოლაპარაკებები უკრაინული უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა "ნეფტიანიკმაც" (სადაც **ვასილ გიგიაძე** თამაშობს) დღესვე წამოიწყოს.



გიორგი ლომაია

ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი წევრი **ლევან ცქიტიშვილიც**, ჯერჯერობით, გაურკვევლობაშია. ჩვენი ინფორმაციის თანახმად, ცქიტიშვილის გადაბირება კვიპროსელებს, კერძოდ კი ლარნაკის აპოელსა და ერთ-ერთ ებრაულ კლუბს სწადიათ. ცქიტიშვილი ჯერაც თბილისშია. დაინტერესებულ მხარეებთან მოლაპარაკებებს მისი აგენტი აწარმოებს.

ასევე მოლაპარაკებათა სტადიაშია ნაკრების ფორვარდ **მიხეილ აშვეთიას** საქმეც. აშვეთია კვლავ მოსკოვშია და აგენტთან ერთად, "მოსკვაში" ან "სატურნში" ცდილობს მოწყობას.

დაბოლოს, რუსულმა წყაროებმა მხოლოდ გუშინ გაავრცელეს ცნობა, რომ მახაჭყალის "ანჟი" **ვალერი აბრამიძემაც** დატოვა. ქართველი მცველი **ომარ თეთრაძის** გუნდში ტესტირებაზე იმყოფებოდა.

დავით ცაბაძე

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

სავარაუდო ტრანსფერი

ვუკუე ბორჯომიდან თბილისში დაბრუნდა

რაიმონ ვუკუე

უკვე რამდენიმე კვირაა, კამერუნელი ნახევარმცველი **რაიმონ ვუკუე** თბილისის "დინამოში" ვარჯიშობს. აფრიკელმა "დინამოს" მწვრთნელებზე ცუდი შთაბეჭდილება არ დატოვა, მაგრამ მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე **დუშან უჰრინს** დიდი კონკურენცია აქვს. როგორც შევიტყვეთ, "დინამოს" ვუკუე "ბორჯომმა" სთხოვა და ბოლო ორი დღის განმავლობაში აფრიკელი ამ გუნდში ვარჯიშობდა. თუმცა, როგორც გავიგეთ, ვუკუემ ბორჯომი უკვე დატოვა თბილისში დაბრუნდა. ეს ცნობა კლუბის მთავარმა მწვრთნელმა

სადაა შოთა ჯიქია?

ვლადიმერ **ხაჩიძემაც** დაგვიდასტურა: *"დიახ, რაიმონ ვუკუე ორი დღით ჩვენთან იყო, აქ ვარჯიშობდა. დღეს (ესე იგი კვირას - ავტ) ის თბილისში დაბრუნდა. როგორც მითხრეს, მას აგენტმა დაურეკა და დედაქალაქსაც ამიტომ მოაშურა. არ ვიცი, "დინამოში" დარჩება თუ სხვა გუნდში გააგრძელებს კარიერას. ეს ჩვენ აღარ გვეხება და მის შესახებ სხვას ვერაფერს გეტყვით".*

და კიდევ ერთი: ფორვარდი **შოთა ჯიქია** მოსამზადებელი შეკრების პირველივე დღიდან ახალციხის "მესხეთში" ვარჯიშობდა, მაგრამ უკვე რამდენიმე დღეა, ის **კობა თედიაშვილის** გუნდში აღარაა. პარასკევს, "დინამოსთან" ამხანაგური მატჩი "მესხეთმა" ჯიქიას გარეშე ჩაატარა. გავრცელებულ ინფორმაციით, თავდამსხმელი ერთ-ერთ ბერძნულ კლუბში აპირებს ძალების მოსინჯვას. თუმცა როგორც ჩვენ გავიგეთ, დიდი შანსია, შოთა "ბორჯომს" დაუბრუნდეს. კვლავ ხაჩიძის კომენტარი:

"ჯიქიას შესახებ არაფერი ვიცი. მეც გავიგე, რომ შესაძლოა, ბორჯომში დაბრუნდეს, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენთან არ გამოჩენილა. თუ დაბრუნდება, დიდი სიამოვნებით დავიტოვებთ, რადგან ფეხბურთელები ისედაც გვიჭირს".

თავად შოთა ჯიქიასთან დაკავშირება ვერ შევძელით. მის შესახებ მხოლოდ ის გავიგეთ, რომ ფეხბურთელი საბერძნეთში არ წასულა და ჯერ კიდევ სამშობლოშია.

დავით ცაბაძე

უეფას თასი. მეტოქეები

ვადუცმას მოიგო და ბელხატოვმაც

სამიოდე დღეც და უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი კლუბები საპასუხო მატჩებს ჩაატარებენ. თბილისის "დინამო" ლიხტენშტაინში ხვალ, გამთენიისას გაემგზავრება. **დუშან უჰრინის** გუნდს "ვადუცთან" მატჩი 2 აგვისტოს აქვს. ქართველებთან შეხვედრამდე "ვადუცმა" შვეიცარიის ჩელენჯ (მეორე) ლიგაში მორიგი მატჩი გამართა. **ჰაინც ჰერმანის** შეგირდებმა "ბელინცონასთან" სტუმრად დამარცხების (1:3) შემდეგ, კიდევ ერთ გასვლით შეხვედრაში "ივერდონს" 2:0 მოუგო და პირველი სამი ქულა მიითვალა. ჰერმანის გუნდი ამ 3 ქულით მე-12 ადგილზეა. ვადუცელებმა "ივერდონთან" შემდეგი შემადგენლობით იასპარეზეს: **სომერი, რაინმანი, ძომბიჩი, ჩერონე, აკდემირი, ალვეში, ვისცორეკი, მაგეტი, სუტერი (58. გროსკლაუსი), გასპარი (90. რიტცბერგერი), პოლვერინო.**

"ვადუცმა" ფორა თავიდანვე შექმნა. მე-20 წუთზე ანგარიში **სუტერმა** გახსნა და შესვენებამდე არაფერი შეცვლილა. მეორე ტაიმის სტარტზე, 48-ე წუთზე, **გასპარმა** სხვაობა ორ ბურთამდე გაზარდა და ამით საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

ტრავმის გამო ვადუცელებს **ჰასლერი** და **ფიშერი** აკლდათ, **ცარნი** კი 18-კაციან განაცხადში ვერ მოხვდა. "ვადუცის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, **გილერმო ალასტრა** და **იან ლანგლეტი** ჰერმანის განკარგულებაში აღარ არიან. მათ გუნდი დატოვეს.

ახლა "ბელხატოვზეც" ვთქვათ: ახალი სეზონი პოლონეთში გასულ უქმეებზე დაიწყო. "ამერის" მეტოქემ სასტარტო ტურში "კორონა" 2:0 დაამარცხა. "ბელხატოვმა" სასტარტო ტურში ამ შემადგენლობით ითამაშა: **საპელა, კოვალჩიკი (79. გროძინსკი), სესოტი, პიერტასიაკი, სტოლიარჩიკი, ვრიობელი, სტრაკი, რაჩვალი, იარჟერბოვსკი, პოპეკი (69. სანჩესი), კოსტლი (74. უჟეკი).**

რაც შეეხება გოლებს, ანგარიში მე-19 წუთზე **გოსტლიმ** გახსნა. 20 წუთის შემდეგ სტუმართა კარი **პოპეკმა** დალაშქრა - 2:0. მეორე ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა. ამ გამარჯვებით "ბელხატოვი" მესამე ადგილზეა. ასე რომ, თბილისში სტუმრობისა და თამაშის წინ, ჩემპიონატში მოგებით ბელხატოველებმა კარგი ფსიქოლოგიური ფონი შეიქმნეს.

ბელხატოვი კარგი განწყობით გვესტუმრება

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ უეფას თასზე ჩვენი გუნდების ასპარეზობას სანაკრებო შტაბის წევრებიც დაესწრებიან. ლიხტენშტაინში, "ვადუცი"-"დინამოს" მატჩს **კლაუს ტოპმიოლერი** და **პეტარ სეგრტი** მიადევნებენ თვალს. "ამერი"-"ბელხატოვის" მატჩს კი **რალფ მინგე** ნახავს, რომელიც თბილისში ამ დღეებში ჩამოფრინდება.

დავით ცაბაძე

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი "მესხეთი" ახალი სეზონისთვის გამალებით ემზადება. გუნდმა ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში დადებითი შედეგები აჩვენა და ვინც ამ გუნდის თამაში ნახა, ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ "მესხეთთან" თამაში ყველას გაუჭირდება, მათ შორის ლიგის ფავორიტებსაც. საინტერესოა, თუ რა აზრისაა გუნდის მზადებაზე, ჩემპიონატსა და მიზნებზე კლუბის პრეზიდენტი. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ახალციხელთა კლუბის პრეზიდენტ გია მესხელს გავესაუბრეთ.



ინტერვიუ გია მესხელთან

მესხეთთან ქულებს ნურავინ დაგეგმავს

- როგორ მიდის გუნდის მომზადება და რამდენად კმაყოფილი ხართ მზადების დონით?

- კმაყოფილი ვარ. თავდაპირველად მხოლოდ ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე ვარჯიშობდა გუნდი, მერე კი საწვრთნელ პროცესში ბურთიც ჩართეს. მზადების ეტაპზე რამდენიმე ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ. სამი მოვიგეთ, "ამერთან" ფრედ ვითამაშეთ და მხოლოდ "დინამოსთან" დავმარცხდით. "ამერთან" მეტ-ნაკლებად თანაბრად ვითამაშეთ. "დინამოსთან" ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ ბოლს კლასმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა და წავაგეთ. გუნდის მომზადების დონით საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ გამთამაშებელი, ფეხბურთელი რომელიც თამაშს დაალაგებს, ჯერ კიდევ არ გვყავს. ერთი სიტყვით, ნახევარმცველი გვინდა, შუა ხაზის ორი ფეხბურთელი და ერთი ფორვარდიც არ გვაწყენდა.

- აფციაურის დამატება გუნდოდათ, მაგრამ ეს არ მოხერხდა. გამთამაშებლად სხვა ვისი კანდიდატურა გყავთ?

- მოლაპარაკებები გვაქვს სომხურ მხარესთან. სამი ფეხბურთელზეა საუბარი. ერთია სომხეთის ნაკრების ნახევარმცველი მინასიანი, მეორე ეროვნული ნაკრებისა და შვეიცარიული "ლოზანის" ყოფილი წევრი აკოფიანი და კიდევ ერთი ნახევარმცველია, რომლის გვარს ველარ ვიხსენებ.

- სამივე ამ ფეხბურთელს იმატებთ თუ ერთს ან ორს?

- ვნახოთ, რას გადაწყვეტს მოლაპარაკებები და რამდენად გავწვდებით ფინანსურად. მოგეხსენებათ, ახალციხეში ბევრი სომეხი ცხოვრობს, მათ შორის არიან ბიზნესმენებიც, რომლებიც ჩვენი კლუბის პარტნიორები არიან და სწორედ მათი სურვილია სომეხი ლეგიონერის ჩამოყვანა. მოლაპარაკებები მიმდინარეობს და წესით, 2-3 დღეში ყველაფერი უნდა გაირკვეს.

- "მესხეთი" საშინაო მატჩებს სად ჩაატარებს?

- ახალციხეში. ჩვენს სტადიონზე გარკვეული სამუშაოები ჩავატარეთ. პროფლიგისა და ფედერაციის კომისია ახალციხეში იყო ჩამოსული, გარკვეული მითითებები მოგვცა და შევასრულეთ კიდეც. მომავალი წლიდან კი უკვე განახლებულ სტადიონზე ვითამაშებთ.

- ფინანსური გარანტიები თუ წარადგინეთ?

- დიახ, ფინანსური გარანტიები რამდენიმე დღის წინათ წარვადგინეთ. ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია. გვაქვს იმის გარანტია, რომ გუნდს ხელფასი და პრემია თავის დროზე ექნება. თუ დამატებით კიდევ გამოვნახეთ თანხები, გუნდის წევრებს კიდევ უფრო გავუზრდით პრემიალურებს. სეზონის ბოლომდე ჩვენს გუნდს არანაირი ფინანსური პრობლემა არ ექნება და ამ მხრივ ყველაფერი გარკვეულია.

- მართალია, "მესხეთი" უმაღლესი ლიგის დებიუტანტია, მაგრამ ვინც თქვენი გუნდის თამაში ნახა, ყველა ერთხმად აღნიშნავს - ახალციხელები ბევრს დააკარგვინებენ დაგეგმილ ქულებსო...

- ჩვენ ყველა შეხვედრაში მოსაგებად გავალთ მინდორზე და სამი ქულისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩვენი გუნდის ბრძოლისუნარიანობა ამხანაგურ მატჩებშიც გამოჩნდა. ასე რომ "მესხეთი" ყველასათვის მრისხანე მეტოქე იქნება.

- ამბობენ "მესხეთს" ქომაგები არ მოაკლდებაო...

- პირველ ლიგაში ასპარეზობისას სულ მცირე 2 ათასი ქომაგი მაინც ესწრებოდა ჩვენს თამაშებს. ჩვენი სტადიონი 6 ათასამდე გულშემატკივარს იტევს და ჩემი ვარაუდით, მინიმუმ 4 ათასი ქომაგი ყველა თამაშზე გვეყოლება.

- ბილეთებით თუ მის გარეშე?

- ბილეთები, რა თქმა უნდა, გვექნება, რადგან ეს აუცილებლობაა. ბილეთის ფასი კი მიზერული იქნება.

- გუნდს ახალი ეკიპირება აქვს...

- დიახ, ნარინჯისფერი და შავი ფერის კომბინირებით. ძალიან ლამაზი ფორმაა. სხვათა შორის, ფორმის ფერების შერჩევისას ისტორიითაც დავინტერესდით. სამცხე-ჯავახეთის გერბებსა და სიმბოლოებზე ნარინჯისფერი და მწვანე ფერი ფიგურირებს და ამ ორიდან ერთი, ნარინჯისფერი ავირჩიეთ. ეს ახალი ეკიპირება უკვე 4 აგვისტოს, სათასო მატჩისთვის მზად იქნება.

- რა იქნება "მესხეთის" პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი?

- ჩვენი გუნდი შემტევ ფეხბურთს ითამაშებს. ჩვენი პროგრამა მინიმუმი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. მაქსიმუმი კი ცხრილში რაც შეიძლება ზედა ადგილის დაკავება - ცხრილის შუაწელში მაინც უნდა ვიყოთ. ჩვენ ყველასათვის კერკეტი კაკალი ვიქნებით და "მესხეთთან" ქულებს ნურავინ დაგეგმავს.

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გაახლენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერები

გაბიდაური შახტიორიდან წავიდა

მეგრელაძე ლიდერმა დაიმატა

ყაზახეთი ეძახე და თუკი საქართველოს პირველობაზე მეტ-ნაკლებად ცნობილი მოთამაშეა, ლამის ყველას თავისკენ ექაჩებიან. **ლაშა ნოზაძემ** ყარაღანდის "შახტიორთან" გააფორმა კონტრაქტი ("დინამომ" ერთი წლით გაანათხოვრა) და პავლოდარის "ირტიშთან" შეცვლაზეც ითამაშა.

"შახტიორი" საბოლოოდ მაინც დატოვა **გიორგი გაბიდაურმა**. გუნდის ოფიციალური ვებ გვერდის ჟურნალისტი წერს: "უცნაურად მოგვეჩვენა მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილება. ქართველი ფეხბურთელის სამსახური ფინელმა სპეციალისტმა იუჰა მალინენმა არ ისურვა. გაბიდაურს კონტრაქტი დაუსრულდა და სახლში წავიდა. სიმართლე ითქვას, მალინენის გადაწყვეტილება საკამათოა, რადგან გაბიდაური, ყაზახეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველი იყო. თუმცა რატომღაც ის ფინელის ტაქტიკურ სქემშია ვერ ჩაჯდა".

ამჟამად "შახტიორში" კიდევ ორი ქართველი ვარჯიშობს - ქუთაისის "ტორპედოს" მცველი **გია გურული** და **ვაჟა ხაჩიძე**. ამავე კლუბშია **ლევან მელქაძე**. ნოზაძეზე უკვე მოგახსენეთ. მწვრთნელის თქმით, ორმხრივ მატჩში გურული მას ძალიან მოეწონა. ლაშა ნოზაძეს კი მისთვის უჩვეულო დავალება მისცეს - ფლეიმეიკერობა, როდესაც ყოველთვის საყრდენად თამაშობდა.

დაბოლოს, ყაზახურ კლუბში ჩაირიცხა **გია მეგრელაძე**. თბილისის "დინამოს", "ტორპედოსა" და "ბაკის" ყოფილმა ფორვარდმა შაბათს კონტრაქტი კალბიკურგანის "უეტისუსთან" გააფორმა, რომელიც ყაზახეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და ლიდერ "აკტობეს" ხუთი ქულით ჩამორჩება.

გიას თქმით, ის ხელშეკრულებით კმაყოფილია: "სიმართლე გითხრათ, თავიდან ყაზახეთისკენ დიდად გული არ მიმიწევდა, მაგრამ გუნდი დაინტერესდა და მოსალაპარაკებლად ჩავედი. საერთოდ შემეცვალა აქაურობაზე წარმოდგენა. პირობები, ბაზა, სტადიონები, ყველაფერი ერთმანეთზე უკეთესია. ამას ნაღდად არ ველოდი. საქართველოს როგორ გაუსწრეს, წელს უკვე დავრწმუნდით. "ტობოლმა" და "ასტანამ" ქართულ გუნდებს აჯობეს და თანაც, საკმაოდ დამაჯერებლად. მე რაც ვნახე, აზარბაიჯანზე გაცილებით მეტი ფული და დონეა. ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. სიმართლე ითქვას, ეს ყველაფერი რომ ვნახე, ბევრი არც მიფიქრია და ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე".

თურმე, "ბაქიდან" წამოსვლის მსურველ მოთამაშეს აზერბაიჯანელებმა იგივე გაუკეთეს, რაც "ხაზარმა" **ვალერი აბრამიძეს**: "თავი თავისუფალი აგენტი მეგონა, რადგან "ბაქისთან" გაფორმებული ერთწლიანი კონტრაქტი დამიმთავრდა. აღმოჩნდა, რომ აბრამიძისავით გამიკეთეს და ფედერაციაში წასაღებ კონტრაქტში, რომელიც აზერბაიჯანულადაა შედგენილი, ხელშეკრულების ვადად ორი წელი ჩამიწერეს. საბოლოოდ, ჩემი მაინც გავიტანე და "უეტისუს" ცენტიც არ გადაუხდია".

გია ახალი კლუბის პერსპექტივაზეც გვესაუბრა: "უეტისუს" პერსპექტივა რომ აქვს, უკვე გამოჩნდა. ჩვენი გუნდი უმაღლეს ლიგაში წელს გადმოვიდა და მეორე ადგილზეა. სოლიდური პატრონი ჰყავს. კალბიკურგანი კი ალმატიდან ორას კილომეტრშია. შემდეგ ტურში "ტობოლს" ვხვდებით და ძალიან მინდა ვითამაშო და გავუტანო. მე "უეტისუსთან" კონტრაქტი გაუსინჯავად გავაფორმე, ყაზახები კარგად მიცნობდნენ და პირობების შესათანხმებლად ჩამოვედი. მერე "ბაქიდან" ტრანსფერს ველოდებოდი და როგორც იქნა მაღირსეს".

გია მეგრელაძის ჩარიცხვა კლუბის ოფიციალურმა ვებ გვერდმაც დაადასტურა. ის კლუბის პირველი შენაძენია სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ.

მერაბ მამულაშვილი

ჯაკობიაც დასაჯეს

ლაშა ჯაკობია ხარკოვის "მეტალისტთან" კონტრაქტს არ ახანგრძლივებს. სწორედ ეს გახდა კიდეც იმის მიზეზი, მას ძირითად შემადგენლობას ახლოს რომ არ აკარებენ.

სხვათა შორის, ხარკოველთა მთავარ მწვრთნელ **მირონ მარკევიჩს** გაზეთ "ვეტერნი ხარკოვის" ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა, რატომ არ აძლევს თავის გამოჩენის შანსს ჯაკობიას.

მარკევიჩმა ყველაფერი ქართველი ლეგიონერის მდგომარეობით ახსნა: "სიმართლე გითხრათ, ჯერ მის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. ახლა ლაშა მეორე გუნდში ვარჯიშობს. გასულ სეზონში მას ძალიან ბევრი გაუცდა ტრავმების გამო, კიევის "არსენალიდან" იჯარით დაგვიბრუნდა და რბილად რომ ვთქვა, ფიზიკურად საუკეთესოდ ვერ გამოიყურება. ამასთანავე, მას ოთხ თვეში "მეტალისტთან" კონტრაქტი უმთავრდება. ამიტომაც, მიჭირს თქმა, დარჩება თუ არა გუნდში".

ლაშას ფიზიკურ მდგომარეობაზე რაიმეს თქმა შორიდან და მისი თამაშის უხილავად ძნელია, თუმცა ფაქტია, რომ დუბლებში ორი მატჩი ჩაატარა და ორი ბურთი გაიტანა. მას სეზონის ჩამთავრება "მეტალისტში" და თავისუფალი აგენტის სტატუსით წასვლა სურს.

აქვე უკრაინასა და რუსეთში ქართველთა თავს გადამხდარ ამბებზეც გეტყვით. **ლადო ბურდულმა** "ზარიას" შემადგენლობაში 55-ე წუთამდე ითამაშა "შახტიორთან" 3:0 წაგებულ მატჩში. კიევის "არსენალმა" 3:0 მოუგო "ნეფტიანიკს". **გიორგი დემეტრაძე** კიეველთა შემადგენლობაში მატჩის დასრულებამდე 14 წუთით ადრე გამოჩნდა მოედანზე. იმ დროისთვის მასპინძლებს სამივე ბურთი გატანილი ჰქონდათ. **ვასილ გიგიაძე** კი ვერაფრით დაეხმარა "ნეფტიანიკს" და ამასთან ყვითელი ბარათიც მიიღო. ზაპოროჟიეს "მეტალურგი" ფრედ 0:0 ეთამაშა "ხარკოვს". **დავით კვირკველიამ** თავიდან ბოლომდე უკაპიტნა ზაპოროჟიელებს. დონეცკის "მეტალურგთან" 4:1 მოგებულ მატჩში 81-ე წუთამდე ითამაშა დნეპრელმა **ჯაბა კანკავამ** და უკრაინული მედიისგან მაღალი შეფასებაც მიიღო კარგი თამაშისთვის.

რუსეთში კვლავ სათადარიგოთა შორის გაამწესეს **მალხაზ ასათიანი**, არადა მოედანზე მისი გამოსვლის მერე რკინიგზელთა უპირატესობა აშკარად გაიზარდა და გამთანაბრებელი გოლიც გავიდა - "ლოკომოტივი" თანაქალაქელ "დინამოს" დაუზავდა 2:2. სამარის "კრილია" საკუთარ მოედანზე დამარცხდა "სატურნთან" 0:1. **დავით მუჯირმა** მხოლოდ 38-ე წუთამდე ითამაშა.

მერაბ მამულაშვილი

რევიშვილი მოედანს დაუბრუნდა

ნუკრი რევიშვილი საქართველოს ნაკრებში ვარჯიშის დროს ლიტვაში დაშავდა. მას შემდეგ ლამის ორი თვე გავიდა და "ჯვაროსნების" და ყაზანის "რუბინის" მეკარე, როგორც იქნა, მომჯობინდა.

"რუბინის" ოფიციალური ვებ გვერდის თქმით, 19 წლის ქართველი მეკარე ვენის "აუსტრიასთან" ინერტოტოს მატჩისთვის ემზადებოდა და სრულ მზადყოფნაში იყო.

მერაბ მამულაშვილი

ქართული ტრანსფერები

გუნდი	წავიდნენ	მოვიდნენ	გეგმები
ოლიმპი	ძოძუაშვილი (მწვრთნელი), რ. გოცირიძე (ამერი), ჩხარტიშვილი, ბერუაშვილი, ძამსაშვილი გ. ონიანი (კარლ ცაისი), სეთურიძე (კარლ ცაისი), ხუბუა	ვ. კილასონია (მთავარი მწვრთნელი გახდა), ქასრაშვილი (მწვრთნელი), აკუასაგა, სილაგაძე (სიონი), კოშკაძე (ბორჯომი), ჟიკოვიჩი, დვალი (ჩიხურა), რ. ჯიქია (არენდით მგლებიდან), ჯილდასი, გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	შეკრება ურეკში, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი
დინამო	იაშვილი (თუნი), შაშიაშვილი (შტურმი), სირბილაძე (GMFF შვედეთი)	გველესიანი (ვიტ ჯორჯია), გონჩაროვი (დილა), ოვონო, აკირემი, ვუკუე, დობეში, ლობჟანიძე (ბათუმი)	შეკრება ბაკურიანსა და გერმანიაში. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი
ამერი	სევასტოპულო (მერანი)	კობაური (სიონი), ბ. ცხადაძე (სიონი), ა. ალავიძე (სიონი), შალამბერიძე (ბათუმი), რ. გოცირიძე (ოლიმპი), ვარდოსანიძე (დილა)	შეკრება ჩეხეთში. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი
ფესტაფონი	ბ. ნოზაძე (მერანი), გ. ჭელიძე, ბ. გოცირიძე, ლეანდრო, პარამონოვი, დოლონაძე	—	შეკრება ურეკსა და ანკარაში
ვიტ ჯორჯია	გელაშვილი (ოლიმპი), გველესიანი (დინამო), თ. კობიაშვილი (ბორჯომი)	—	შეკრება ყირიმში
სიონი	კ. ცხადაძე, ბ. კვარაცხელია (მწვრთნელები), კობაური (ამერი), ბ. ცხადაძე (ამერი), ა. ალავიძე (ამერი), დარასელია, სილაგაძე (ოლიმპი), მამალაძე, ბაბუნაშვილი, ექონია (მგლები), ლ. კორღალიძე, ორბელაძე (ოლიმპი)	აკობია (მწვრთნელი), გ. იაშვილი (კახეთი), რეხვიაშვილი, ქუთათელაძე (ტორპედო)	შეკრება ბოლნისში შეკრება ურეკში
ტორპედო	ჭედია (მგლები), ლაღაძე (ლოკომოტივი), გურული (უეტისუ, ყაზახეთი), ქუთათელაძე (სიონი)	—	შეკრება ქუთაისში
ლოკომოტივი	გოჩაშვილი, სოსელია, ჩომახიძე	გ. ყიფიანი (დინამო), გ. მიქაძე (ჩიხურა), ხოხონიშვილი (ბათუმი), ლაღაძე (ტორპედო)	შეკრება ურეკში
ბათუმი	ლობჟანიძე (დინამო), შალამბერიძე (ამერი), ხოხონიშვილი (ლოკომოტივი), ვ. კვარაცხელია, სომხიშვილი (მესხეთი), ნერგაძე, კერესელიძე, თურმანიძე	—	შეკრება არ დაწყებულა
ბორჯომი	კაიდარაშვილი (მესხეთი) შ. ჯიქია (?), კოშკაძე (ოლიმპი), ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, კოდალაევი, ნადირაშვილი, ავალიანი	ვ. ხორგუაშვილი (ტირასპოლი), პ. ხორგუაშვილი (შერიფი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ზ. სტურუა (დინამო), ლ. აკობია (დინამო), ზ. ჯანაშია (დინამო)	შეკრება ბორჯომში
მერანი	ბალაძე (მწვრთნელი), კედელაშვილი, გაგუა (ცხინვალი), გლუნჩაძე (ცხინვალი)	კოსტავა (მწვრთნელი, ნ/დინამო), მამარდაშვილი (მეკარეთა მწვრთნელი), თევდორაძე (დილა), ავალიანი (მეშაქრე), სევასტოპულო (ამერი), ბ. ნოზაძე (ზესტაფონი), მგალობლიშვილი (გაგრა), ტყეშელაშვილი (გაგრა), ბოკუჩავა (ნ/დინამო), ლოლაძე (ნ/დინამო), ქობალია (ნ/დინამო), ტორონჯაძე (ნ/დინამო), ქემუხტაშვილი (ნ/დინამო), ლობჟანიძე (ნ/დინამო)	შეკრება კოჯორსა და ურეკში
ცხინვალი	—	ჟორჟიკაშვილი (მწვრთნელი)	—
მგლები	გ. თოდუა (მტზ-რიპო), რ. ჯიქია (იჯარით ოლიმპი)	ექონია (სიონი), ჭედია (ტორპედო)	შეკრება ზუგდიდში
მესხეთი	მუშკუდიანი, კუკულაძე, გამცემლიძე (მაღაროელი), ილურიძე (მაღაროელი), მგელაძე, ა. ჩომახიძე (სამტრედია)	აფრიამაშვილი (გაგრა), მამუკაშვილი (გაგრა), კაიდარაშვილი (ბორჯომი), სომხიშვილი (ბათუმი)	შეკრება ახალციხეში

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერები



ზეპ ბლატერი ევროპას არ უსმენს

ფიფა

ბლატერი: ევროპას იმედი არ უნდა ჰქონდეს...

სად გაიმართება 2018 წლის მუნდიალი?

ზეპ ბლატერი ინდონეზიაში ბრძანდებოდა, სადაც კვირას აზიის თასის ფინალს დაესწრო. ბოლო ხანებში, მისი ლამის ყოველი განცხადება თუ კომენტარი უეფას მიმართ კონფრონტაციულობით გამოირჩევა. გასაგებია, რომ ის მსოფლიო ფეხბურთის ბოსია და ყველა კონფედერაციას უნდა მოეფეროს, მაგრამ ევროპელებისადმი მისი სიმკაცრე მაინც თვალშისაცემია. გამონაკლისი არც ჯაკარტაში გამართული პრესკონფერენცია ყოფილა. "რკინის ზეპმა" ხაზგასმით აღნიშნა, რომ 2018 წელს ევროპას მუნდიალის მასპინძლობის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

"ევროპელები ფიქრობენ, ისინი ყოველთვის პრივილეგიურ მდგომარეობაში უნდა იყვნენ და ყოველ მესამე ჯერზე მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლონ, თუნდაც ეს როტაციის პრინციპით იყოს დათქმული. მაგრამ რატომ? როტაცია კანონი არ არის, არც დაწერილი და არც დაუწერელი. სხვა კონფედერაციებმა უკვე დაამტკიცეს, რომ მუნდიალის მაღალ დონეზე ორგანიზება მათაც შეუძლიათ".

რაც შეეხება როტაციას. 2002 წელს მსოფლიო ჩემპიონატი აზიაში (კორეა/იაპონია) ჩატარდა, მერე ევროპაში (2006, გერმანია) გადაინაცვლა, 2010 წელს კი მუნდიალი პირველად ეწვევა "შავ" კონტინენტს (სამხ. აფრიკა), 2014 წელს კი, ალბათ, ეს ბედნიერება ბრაზილიას (სადაც ბოლოს მსოფლიო ჩემპიონატი 1950 წელს ჩატარდა) ერგება წილად.

2018 წლისთვის ბლატერი კანდიდატებად აზიასა და ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკას (შეერთებული შტატების ჩათვლით) ასახელებს. მაგრამ თუ 2014 წელს მუნდიალის ჩატარების უფლებას მართლაც ბრაზილია მოიპოვებს, საეჭვოა, მსოფლიო ფეხბურთის ფორუმი 4 წლის შემდეგაც დასავლეთ ნახევარსფეროში გაიმართოს. ამიტომ, სავარაუდოა, რომ 2018 წელს მუნდიალის ორგანიზებას აზიას დაავალებენ. და არც ის არის გამორიცხული, რომ ბლატერმა უკვე გარკვეული გარანტიებიც მისცა ინდონეზიას, სადაც ეს-ეს იყო ვიზიტად ბრძანდებოდა.

ექსპერტთა თქმით, სერიოზული შანსი შეიძლება ჰქონდეს ჩინეთს, რომელიც სწრაფი ტემპებით ვითარდება და 2008 წლის ოლიმპიადის წყალობით, ინფრასტრუქტურაც დიდწილად მზად აქვს. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩინეთის შანსი პოლიტიკური მოტივებითაც იყოს განპირობებული. კიდევ ორი ვარიანტი, სახით შეიძლება, ავსტრალია და ინდოეთიც განვიხილოთ და ესეც, ბლატერის სიტყვებიდან გამომდინარე.

რა თქმა უნდა, ფიფას პრეზიდენტის იდეას მკაცრად გააკრიტიკებს ინგლისი, რომელიც 2018 წლის მუნდიალის მასპინძლობაზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს. ფიფა გადაწყვეტილებას სულ მალე, ნოემბრის კონგრესზე მიიღებს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

კაკაზე რუსეთში ისაუბრეს, ბაპტიშტაც ძალაში რჩება

მილანი და რეალი მოსკოვის ოთხთა ტურნირზე. მადრიდელები 60 მილიონ გირვანქას ამზადებენ

3-დან 5 აგვისტომდე მოსკოვში ფრიად საინტერესო ოთხთა ტურნირი გაიმართება. ადგილობრივ "ლოკომოტივთან" ერთად, მასში "მილანი", "რეალი" და "ეინდჰოვენი" ითამაშებენ. წინასასეზონო მზადებასთან ერთად, მნიშვნელოვანი იქნება სატრანსფერო საკითხების განხილვაც, რისთვისაც გრანდები დროს აუცილებლად გამოყოფენ.

ესპანეთის ჩემპიონისთვის პრიორიტეტად კვლავ **კაკა** რჩება. სამეფო კლუბის პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** ბრაზილიელის ტრანსფერს გულშემატკივრების თვალში ერთგვარი რეაბილიტაციის საშუალებად მიიჩნევს. მოგეხსენებათ, უსამართლოდ და სკანდალურად გაგდებული **ფაბიო კაპელოს** გამო, "რეალის" ბოსს სასტიკი კრიტიკა დაატყდა თავს. ესეც არ იყოს, რაკი "ბარსელონამ" **ტიერი ანრი** იყიდა და **გაბრიელ მილიტოც** "რეალს" ლამის ცხვირწინ ააცალა, კალდერონი არ დაუშვებს, რომ მოსისხლე მტერს ჩამორჩეს და ახალ სეზონს ხმაურიანი შენაძენის გარეშე შეხვდეს. მაგრამ მთავარი მაინც სპორტული ინტერესია. კაკასთან ერთად "რეალი" სულ სხვა იქნება, თანაც, ბრაზილიელის მონაცემები ზედმიწევნით ესადაგება მადრიდული გრანდის საფეხბურთო ფილოსოფიას...

მოკლედ, კალდერონს არგუმენტები არ აკლია. მაგრამ იმის შანსი, რომ კაკამ "მილანი" დატოვოს, მაინც მიზერულია. თავად ფეხბურთელმაც არაერთხელ უთხრა პრესას, რომ "როსონერიდან" წასვლის მიზეზს ვერ ხედავს. "მილანის" ვიცე-ბოსი **ადრიანო გალიანიც** არ იღლება მუდმივად იმის გამეორებით, რომ ევროტრიუმფატორი თავის მთავარ გმირს ვერ შეელევა. ამასობაში კი, ბრაზილიურ გამოცემა "გლობოეშპორტეს" ხელთ ჩაუვარდა ინფორმაცია, რომელიც "რეალის" ფანტასტიკურ შეთავაზებაზე გვამცნობს: არც მეტი, არც ნაკლები, საუბარია 60 მილიონ გირვანქაზე! პლუს ამას, გამოცემა სტატიას თან ურთავს კაკას მეგობრის **დიოგო კოჩოს** სიტყვებს:

"ეს ის წინადადებაა, რაც "მილანს" აიძულებს, შეცვალოს აზრი და კაკას მწვანე შუქი აუნთოს. თავად კაკასთვისაც ეს ძალზე მნიშვნელოვანი შანსია და მე მგონი, მან აუცილებლად უნდა იფიქროს ამაზე. "რეალის" ხელმძღვანელობა ჩვენთან მუდმივ კონტაქტშია. ისინი ელოდებიან, როდის დანიშნავს "მილანის" ხელმძღვანელობა შეხვედრას. მადრიდელები მზად არიან, ნებისმიერ დროს ჩავიდნენ იტალიაში და საქმე ბოლომდე მიიყვანონ".

"გლობოეშპორტე" ამტკიცებს, რომ ამ მოლაპარაკების დაწყებას ელის კაკას მამა (და ამავდროულად, აგენტიც) **ბოსკო ლეიტეც**, რომელიც შაბათს ბრაზილიიდან ევროპაში გამოემგზავრა...

რა თქმა უნდა, თუ შესაძლებლობა იქნა, "მილანი" "რეალს" აუცილებლად დაელაპარაკება **ჟულიო ბაპტიშტას** თაობაზე. "როსონერი" მასში 17 მილიონ ევროს ჩამოდის. შეიძლება, ეს ერთგვარი კოზირიც იყოს კაკას საქმისთვის. "არსენალში" ერთნლიანი არენდის შემდეგ ბაპტიშტა სამეფო კლუბში დაბრუნდა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **ბერნდ შუსტერი** მას ძირითადში მოხვედრას ვერ შეპირდება. თუმცა ისიც საინტერესოა, **კარლო ანჩელოტიმ** სადღა უნდა გამოუნახოს ადგილი?

გაყიდის ბერლუსკონი კაკას?

რომა

კივუ დედემ უნდა შეცვალოს...

სისინიო: წამიყვანე, რომა!

"რომა" **კრისტიან კივუს** შემცვლელზე მუშაობას შეუდგა. "ჯალოროსის" უკვე ჰყავს ახალი არჩევანი: **დედე** დორტმუნდის "ბორუსიიდან", უდავოდ მაღალი კვალიფიკაციის მოთამაშე. თუ გერმანულ სადგურ Radio 91.2-ს დავუჯერებთ, რომაელებმა ვესტფალიურ კლუბს 4 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. რადიოთი გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ, დორტმუნდელთა წარმომადგენელი **ჰანს-იოახიმ ვაცკე** იძულებული გახდა, კომენტარი გაეკეთებინა. ის "რომას" შეთავაზებას არ უარყოფს, თუმცა იქვე დასძენს, რომ "ბორუსია" ბრაზილიელ მცველს 6.3 მილიონ გირვანქაზე ნაკლებად არ გაყიდის.

დედე გამოკვეთილი მარცხენაფლანგელია. თუ "რომას" ამ ფრონტზე რაიმე გამოუვიდა, **ჟუანის** ("ლევერკუზენი") შემდეგ ეს იქნება სეზონის მეორე ბუნდესლიგური შენაძენი. თანაც, დედეს "ტრიგორიაში" არ გაუჭირდება, რადგან იქ მისი თანამემამულეები თამაშობენ, **ალეშანდრე დონის, როდრიგო ტადეის, ამანტინო მანსინისა** და უკვე ნახსენები ჟუანის სახით...

ისიც ცნობილია, რომ "რომას" კიდევ ერთი ბრაზილიელი, "რეალის" მცველი **სისინიოც** აინტერესებს. ის მარჯვენა მცველია. **ლუჩანო სპალეტი** მას "ახალ კაფუს" უწოდებს. სისინიომ "რეალში" ფეხი ვერ მოიკიდა. ამის მიზეზი მარტო ტრავმა არ ყოფილა. მას ერთი სული აქვს, მადრიდიდან წავიდეს და თავშესაფარი იტალიაში ჰპოვოს. სხვათა შორის, შარშან ის "მილანთანაც" აწარმოებდა მოლაპარაკებებს და "რომასთანაც", მაგრამ ბოლოს "რეალი" აირჩია. ბრაზილიელი ახლა კი ნანობს, მაგრამ რას იზამს - ერთი სეზონი დაკარგულია.

აი, ნახეთ რას ეუბნება სისინიო as-ის კორესპონდენტს: *"მოუთმენლად ველი შეთავაზებას "რომასგან", ვიცი, რომ "მილანსაც" უნდა ჩემი აყვანა... დავრჩე? მინდა, მარჯვენა ფლანგზე ვთამაშობდე, რადგან მარცხნივ ჩემი ადგილი არ არის, ეს არ არის ჩემი პოზიცია და ცხადია, შეცდომებსაც ამიტომ ვუშვებ. იმედი მაქვს, ეს დროებითია, რადგან არდადეგებიდან ყველა ფეხბურთელი არ დაბრუნებულა. თუმცა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მწვრთნელს მხოლოდ გამოუვალ სიტუაციებში ვჭირდები. თუ ასეა, ეს ნამდვილად არ მახარებს. დღეს "რეალის" ფეხბურთელი კი ვარ, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, წავალ".*



გაბრიელ ჰაინცე

იუვენტუსი

ბრძოლა ჰაინცესთვის

თითქმის გადაწყვეტილია, რომ **დომენიკო კრიშიტო** და **ჯორჯო კიელინი** ამ დღეებში "იუვენტუსს" დატოვებენ. პირველი "ჯენოას" არენდით დაუბრუნდება, ხოლო მეორე სადაცაა 7 მილიონ გირვანქად "მანჩესტერ სიტის" მიაშურებს. ეს ყველაფერი კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ "ბებერი ქალბატონი" გზასა და ადგილს უთავისუფლებს **გაბრიელ ჰაინცეს**, რომელიც, თავის მხრივ, უარს არაა, "მანჩესტერ იუნაიტედი" დატოვოს და იტალიაში გადაბარგდეს.

როგორც ჩანს, **კლაუდიო რანიერიმ** სერიოზულად მოჰკიდა ხელი დაცვის მონწესრიგებას. **ჟორჟუ ანდრადე** საკმარისი არ არის. ერთი გამოცდილი მცველი მარცხენა ფლანგისთვისაც საჭიროა. ჰაინცეს შესაძლებლობები რანიერის სავსებით აკმაყოფილებს. არგენტინელი მცველი 6.8 მილიონი გირვანქა ღირს. მართალია, ფასი არ იკბინება, მაგრამ ეს საქმე იოლად მოსაგვარებელი რომ არ არის, ფაქტია. ერთი მხრივ, პრობლემას ქმნის ის, რომ "იუვენტუსს" სერიოზული კონკურენტი ჰყავს "ლივერპულის" სახით. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს, შეიძლება, "სინიორას" უპირატესობადაც ექცეს, რადგან სერ **ალექს ფერგიუსონს** არ უნდა აწყობდეს, გამოცდილი ფეხბურთელი მაინცდამაინც პრინციპულ მეტოქეს მიჰყიდოს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ჰაინცემ სწორედ "იუვენტუსში" ამოჰყოს თავი.

მაგრამ ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა "მენიუს" აღმასრულებელი დირექტორის **დევიდ ჯილის** განცხადებაც. აი, რას ამბობს ეს კაცი: *"ჰაინცეს, კონტრაქტით, ჩვენთან ჯერ კიდევ ორი წლიწადი აქვს დარჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ უხვად ვილებთ შეთავაზებებს, და ბევრი მათგანი ფინანსურად მომგებიანიცაა, არგენტინელი მაინც ჩვენთან დარჩება".*

თუ ჯილი და ფერგიუსონი ბოლომდე გაჯიქდნენ, მაშინ "იუვე" აქცენტს არსენალელ **ფილიპ სენდეროსზე** გადაიტანს. შვეიცარიის ნაკრების მცველი სულ რაღაც 3 მილიონ გირვანქად ფასობს. ამას გარდა, რანიერის სიაში რჩება შტუტგარტელი **ფერნანდო მეირაც**. ბოლო ხანებში საუბრობენ სერბეთის 21-წლამდელთა ნაკრების კაპიტან **ბრანისლავ ივანოვიჩზეც**.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ერიქსონის მადა: უკვე ბოჟინოვიც?

გულგარელ ფორვარდს ფლორენციაში მომავალი არ აქვს

ვალერი ბოჟინოვმა "ფიორენტინასთან" ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებები შეწყვიტა. "იების" მწვრთნელმა **ჩეზარე პრანდელიმ** პრესასთან კომენტარში დაადასტურა, რომ ბულგარელი ფორვარდის ამგვარი გადაწყვეტილება საკმარისია იმისთვის, რათა კლუბმა ის ტრანსფერზე დააყენოს. პრანდელის ამ განცხადებამდე, "პარმა" ერთადერთი იყო, ვინც ბოჟინოვის გადაბირებას ცდილობდა, მაგრამ მას მერე, რაც "ფიორენტინამ" ფეხბურთელის გაყიდვა რეალურად დააყენა დღის წესრიგში, თავი "მანჩესტერ სიტიმ", "ბეტისმა" და "ტორინომაც" წამოყვეს. პარმელები მიხვდნენ, რომ მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობებით ამ სამეულს კონკურენციას ვერ გაუწევდნენ და უკან დაიხიეს. პარმეზანელთა სპორტული დირექტორის **გაბრიელე ძამანიას** სიტყვები იმ კატის მდგომარეობას გვაგონებს, ძეხვს რომ ვერ შესწვდა: *"ბოჟინოვი ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენს გეგმებში აღარ მოიაზრება. ვფიქრობ, შეტევა უკვე საკმარისად გავაძლიერეთ".*

შეგახსენებთ, რომ "პარმამ" **სიმონე ინძაგი** შეიძინა. რაც შეეხება ბოჟინოვს, მისთვის ბრძოლაში მიმომხილველები უპირატესობას ერთხმად ანიჭებენ "მანჩესტერ სიტის", რომელიც ბოლო ხანებში დიდ ფულს ხარჯავს. **სვენ გორან ერიქსონმა** იტალიიდან უკვე წაიყვანა "რეჯინის" ფორვარდი **როლანდო ბიანკი**. მისივე დაჟინებული მოთხოვნით, "სიტიში" დარჩა კიდევ ერთი იტალიელი თავდამსხმელი **ბერნარდო კორადი**, რომლის ინგლისური კარიერა ჯერჯერობით, წარუმატებელია (ვნახოთ, როგორ ითამაშებს სვენის ხელში), უკვე იცით **ჯორჯო კიელინის** თაობაზე და აი, ახლა კიდევ ბოჟინოვი. "ლეჩესა" და "იუვენტუსის" ყოფილი მოთამაშე შვედს თურმე ძალიან მოსწონს. "კორიერე დელო სპორტი" ამტკიცებს, რომ ოფიციალურ შეთავაზებას "სიტი" ამ დღეებში გააკეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ლიგის თასი. ფინალი

სუპერბაიერნის პირველი ჭიჭული

რეკორდმაისტერმა რიბერის გარეშეც მოიგო...

შალკე-ბაიერნი 0:1

შალკე: ნოიერი, რაფინია (75. ვესტერმანი), ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ფ. ერნსტი, კოზიაშვილი, რაკიტიჩი (66. აზაუაგი), ჰალილ ალთინთოფი, კურანი (ლოვენკრანდსი (58. ასამოა).

ბაიერნი: კანი, ლამი, ლუსიო, დემიკელისი, იანსენი, ლელი (75. დოს სანტოსი), ოტლი, ზე რობერტო, სოსა, ჰამით ალთინთოფი, კლოზე (90. ვაგნერი).

გოლი: 0:1 კლოზე (29).

გაფრთხილება: 4-2 (კოზიაშვილი).

მაყურებელი: 43 500 (ლაიპციგის ცენტრალშტადიონი).

შაბათს, ლაიპციგის "ცენტრალშტადიონზე" გამართული გერმანიის ლიგის თასის ფინალი არ გამოდგა ისეთი თვალსასაერო, როგორიც თუნდაც ნახევარფინალური მატჩები იყო, მაგრამ რაც მთავარია, ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ახალი "ბაიერნი" ძალიან ძლიერია. ჰო, **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდმა ამჯერად შესანიშნავი ფეხბურთი ვერ აჩვენა, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი, იმის გამო, რომ რეკორდმაისტერს **ფრანკ რიბერი, ლუკა ტონი** და **მარკ ვან ბომელი** არ ჰყავდა, მაგრამ მიუნხენელებმა წამყვანი ფეხბურთელების გარეშეც მოახერხეს ვიცე-ჩემპიონ "შალკეს" დამარცხება, რომელიც, თავის მხრივ, საუკეთესო შემადგენლობით წარსდგა მიუნხენური გიგანტის წინაშე და წესით, მაქსიმუმი უნდა ეჩვენებინა. მაგრამ **ლევან კობიაშვილის** გუნდმა მინიმუმიც კი ვერ აჩვენა და მთელი 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთი რეალური საგოლე მომენტით შემოიფარგლა, რომელიც საუკეთესო შალკელ **კევინ კურანის** შეექმნა და რომელიც გამოუყენებელი დარჩა.

ამრიგად, "ბაიერნმა" ახალ სეზონში პირველი ტიტული მოიგო და ეს პირველი ნაბიჯია იმისკენ, რომ რეკორდმაისტერმა ოთხივე ტიტული დაისაკუთროს - FCB-ს მალე სამი ფრონტი გაეხსნება: ბუნდესლიგა, გერმანიის თასი და უეფას თასი. ლიგის თასი 1997 წლიდან თამაშდება, უკვე 11 ტურნირი ჩატარდა და ალბათ ძალიან იოლია იმის გამოცნობა, თუ რომელ გუნდს აქვს ეს ტურნირი ყველაზე მეტჯერ მოგებული - რა თქმა უნდა, "ბაიერნს"! მიუნხენელებმა ლიგის თასი მეექვსედ დაისაკუთრეს და ორწლიანი შესვენების შემდეგ (უკანასკნელად 2004 წელს ფლობდნენ), ლიგის თასს ისევ "ზებენერშტრასეზე" მიუჩინეს ადგილი. ამისთვის რეკორდმაისტერმა პრემიის სახით 2 მილიონი ევრო მიიღო.

რაკი რიბერი და **შვაინშტაიგერი** არ თამაშობდნენ (ტონის ოფიციალურ მატჩში ტრავმის გამო ჯერ არც უთამაშია), "ბაიერნი" პირველ წუთებში შარშანდელ გუნდს მოგაგონებდათ, ბევრჯერ რომ შერცხვა და საბოლოოდ მე-4 ადგილზე რომ გავიდა. მაგრამ ჰიტცფელდის ბიჭებმა მერე თანდათან მოუმატეს და საბოლოო ჯამში, შემადგენლობის გათვალისწინებით (მაგალითად, მარჯვენა ნახევარმცველად **კრისტიან ელი** თამაშობდა), მაქსიმუმი შეძლეს. უნდა აღინიშნოს, რომ "ბაიერნმა" ამ ტურნირზე იმ სამივე გუნდს მოუგო, რომლებმაც გასულ სეზონში FCB-ს აჯობეს - პირველ რაუნდში "ვერდერი" გაანადგურა (4:1), ნახევარფინალში "შტუტგარტზე" იძია შური (2:0), ფინალში კი "შალკესაც" გაუსწორდა. ამრიგად, მიუნხენურმა კლუბმა კონკურენტებს დაუმტკიცა, რომ ეს გუნდი აღარ ითამაშებს ისე სუსტად, როგორც წინა სეზონში თამაშობდა.

მატჩი რომ ულამაზო გამოვიდა, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, თუ როიგორ გაიტანა **მიროსლავ კლოზემ** ის ერთადერთი გოლი. ეს 29-ე წუთზე მოხდა: **ლუსიომ** ბურთი უბრალოდ წინ, უმისამართოდ მოიგერია და აბა რა იცოდა, რომ ამას გოლი მოჰყვებოდა. "შალკეს" მეკარე **მანუელ ნოიერმა** კარი დატოვა, მაგრამ ფეხი დაუცდა და შეფერხდა. ბურთისკენ კლოზე და **მლადენ კრსტაიჩი** მიისწრაფოდნენ, მაგრამ "შალკეს" მცველს აშკარა უპირატესობა ჰქონდა. მაგრამ კრსტაიჩმა ვერც ის შეძლო, რომ თავით ნოიერისკენ გაეგზავნა ბურთი და ვერც კორპუსით დაფარა კლოზე, რომელმაც სერბი მცველის სამარცხვინო შეცდომით ისარგებლა, ბურთს ვარდნაში ფეხი წაჰკრა და ცარიელ კარში შეაგდო. ეს გახლდათ მიროს პირველი გოლი "ბაიერნის" მაისურით, ოფიციალურ შეხვედრაში.

"შალკე" კი ძალიან სუსტი იყო, შემაძრწუნებლად სუსტი. არადა, ვერ ვიტყვით, რომ გელზენკირხენელები არ იბრძოდნენ. პირიქით, იბრძოდნენ და მერე როგორ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ერთადერთი მომენტი კურანის შექმნა, როცა 57-ე წუთზე, **რაფინიას** ჩაწოდების შემდეგ **ლამს** აჯობა და კარში დაარტყა, მაგრამ **ოლივერ კანმა** შესანიშნავად ითამაშა. "ბაიერნის" რიგებში კი, საუკეთესო **ჰამით ალთინთოფი** გახლდათ, რომელიც ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა. თურქმა 78-ე წუთზე ნოიერის კარის ძელი შეაზანზარა. ბოლო წუთებში მიუნხენელებს სხვაობის გაზრდა ორჯერ შეეძლოთ: ჯერ **დემიკელისმა** დაარტყა ოდნავ არაზუსტად (**სოსას** ჯარიმის შემდეგ), მერე კი ნოიერმა მოიგერია ჰამითის დარტყმა.

შეგახსენებთ, რომ ხუთიდან ოთხ შემთხვევაში, ლიგის თასის მოგების შემდეგ, "ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონი ხდებოდა.

ული ჰაინესი: *"შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ძალიან მიხარია, მხოლოდ 1:0 რომ მოვიგეთ. უფრო დიდი სხვაობით რომ გაგვემარჯვა, ზოგ-ზოგიერთებს თავში აუვარდებოდათ."*

მიროსლავ კლოზე: *"გოლის მომენტში ძალიან გამიმართლა. ინსტიქტურად ვიმოქმედე."*

მირკო სლომკა: *"ორივე გუნდმა ცუდად ითამაშა, განსაკუთრებით კი ჩვენ. შეტევაში რაღაც გვაკლდა. "ბაიერნს" გოლი ვაჩუქეთ. რომ არა ის შეცდომა, ალბათ არ წავაგებდით."*

გოტფრიდ ლენცი

ლიგის თასის ყველა გამარჯვებული

წელი	გამარჯვებული	სეზონი	აჯგ
1997	ბაიერნი	1997/98	2
1998	ბაიერნი	1998/99	1
1999	ბაიერნი	1999/00	1
2000	ბაიერნი	2000/01	1
2001	ჰერტა	2001/02	4
2002	ჰერტა	2002/03	5
2003	ჰაგბურგი	2003/04	8
2004	ბაიერნი	2004/05	1
2005	შალკე	2005/06	4
2006	ვერდერი	2006/07	3
2007	ბაიერნი	2007/08	?

მოსალოდნელი ტრანსფერი

შუსტერს ბალაკი რეალში უნდა



მთავარია, რა უნდა ბალაკს...

თუ ეს ტრანსფერი განხორციელდა, **ტიერი ანრის** "ბარსელონაში" გადაბარგების შემდეგ, ყველაზე ხმაურიან გარიგებასთან გვექნება საქმე. მადრიდის "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა **ბერნდ შუსტერმა** "ჩელსის" ნახევარმცველისა და გერმანიის ნაკრების კაპიტნის, **მიხაელ ბალაკის** გადაბირება მოისურვა. აი, რა უთხრა სამეფო გუნდის გერმანელმა დამრიგებელმა გერმანულ რადიო ARD-ს: *"მიხაელი ის ფეხბურთელია, რომელიც "რეალს" ყველაზე მეტად სჭირდება. ბალაკს სიამოვნებით ვიხილავდი ჩემს გუნდში!"*

შეგახსენებთ, რომ 2005 წელს 30 წლის ნახევარმცველი "რეალში" გადასვლასთან ძალიან ახლოს იყო, მაგრამ მაშინ ტრანსფერი იმის გამო ჩაიშალა, რომ მადრიდულ გრანდში სრული ქაოსი სუფევდა და ბალაკმაც ჯერ "ბაიერნში" დარჩენა, მერე კი უფასოდ "ჩელსიში" გადაბარგება გადაწყვიტა. ახლა კი, რაკი ლონდონური კლუბის ნახევარდაცვაში კონკურენცია გაიზარდა, გამორიცხული არ არის, რომ მიხაელი "რეალში" გადასვლაზე თანახმა იყოს. როგორც იცით, "ჩელსის" თავკაცი **ჟოზე მოურინიო** ტაქტიკის შეცვლას აპირებს და უნდა, რომ მისმა გუნდმა სამი ფორვარდითა და შესაბამისად, სამი ნახევარმცველით ითამაშოს. გამოდის, რომ შუა ხაზში სამი ადგილისთვის **ფრენკ ლემპარდი, მიკაელ ესიენი, კლოდ მაკელელე, ფლორენ მალუდა, ჯონ ობი მიკელი** და ბალაკი იბრძოლებენ.

თანაც, "რეალს" **კაკას** ტრანსფერში ხელი მოეცარა და აშკარაა, რომ ამ გუნდს ცენტრალური ნახევარმცველი ძალიან სჭირდება. შეგახსენებთ, რომ მადრიდელებმა ჯერ მხოლოდ სამი მოთამაშე გადაიბირეს: **კრისტოფ მეტცელდერი, ხავიერ სავიოლა** და **პეპე**.



როკე სანტა კრუსი

მაშ ასე, **როკე სანტა კრუსმა** "ბაიერნი", ბოლოს და ბოლოს, დატოვა. ის, რომ მიუნხენელები პარაგვაელ თავდამსხმელს გაყიდიდნენ, დიდი ხნის გადაწყვეტილი იყო. 25 წლის ფორვარდმა, რომელიც რეკორდმაისტერში 1999 წელს გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერა და ვერ დაიმკვიდრა, "ბლექბერნ როვერსის" ღირსებას

ტრანსფერი

სანტა კრუსი ბლექბერნში წავიდა

დაიცავს. სანტა კრუსმა **ზურაბ ხიზანიშვილის** კლუბთან უკვე გააფორმა ოთხწლიანი კონტრაქტი და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, ინგლისურმა კლუბმა "ბაიერნს" 5.2 მილიონი ევრო ჩაუთვალა. შეგახსენებთ, რომ ბავარიელებმა როკე თავის დროზე 5.5 მილიონად იყიდეს.

"როკე ძალიან ახალგაზრდაა და კარგი სახელი აქვს. მის შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ. შესანიშნავად თამაშობს მეორე სართულზე და ფიზიკურადაც ძალიან ძლიერია," - აცხადებს "ბლექბერნის" თავკაცი **მარკ ჰიუზი**.

რაკი "ბაიერნმა" **ლუკა ტონი** და **მიროსლავ კლოზე** შეიძინა, სანტა კრუსს რეკორდმაისტერის სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის შანსი არ ჰქონდა. როკეს ბუნდესლიგაში 155 მატჩი აქვს ჩატარებული (უმეტესობა შეცვლაზე) და მხოლოდ 31 გოლს მოუყარა თავი. "ბლექბერნის" გარდა, მისი შეძენა "პორტუს", "მანჩესტერ სიტის", "ესპანიოლსა" და "სარაგოსას" სურდათ...

აზიის თასი. ფინალი

ერთ ხელში თოფი, მეორეში თასი

ერაყის ისტორიული ტრიუმფი

ინდონეზია, ჯაკარტა. 29 ივლისი. 71-ე წუთზე **იუნეს მაჰმუდის** მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა ერაყის ნაკრებს გამარჯვება მოუტანა აზიის თასის ფინალში, სადაც მისი მეტოქე საუდის არაბეთის გუნდი იყო. ეს არის ომით დატანჯული ქვეყნის პირველი და, შესაბამისად, ისტორიული კონტინენტური ტრიუმფი. გასაგები მიზეზების გამო, ერაყის ნაკრები, რომელსაც ნაკლებად ცნობილი ბრაზილიელი სპეციალისტი **ჟორვან ვიეირა** წვრთნის, ამ ტურნირისთვის თავისი ქვეყნის გარეთ ემზადებოდა. და, რა თქმა უნდა, ეს მზადება არ ყოფილა სრულყოფილი, მაგრამ შედეგი სახეზეა. აქვე გვახსენდება ასევე ნაომარი ხორვატიის ეროვნული გუნდის ბრინჯაო საფრანგეთის მუნდიალზე (1998) და თუნდაც ეს ორი ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ თავდადებით დიდი საქმეების გაკეთება შეიძლება.

გუშინვე, ცნობილი გახდა აზიის თასის მომდევნო გათამაშების ჩატარების ადგილიც. 2011 წელს ტურნირს ყატარი უმასპინძლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დევიდ ბექჰემთან

აქ ჰოლივუდისა და ფულის გამო არ ჩამოვსულვარ

ბექზი პირველი ამერიკული შთაბეჭდილებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ საუბრობს

დევიდ ბექჰემი ამერიკაში ბედნიერია

ამერიკული MLS ცნობილი ფეხბურთელებისთვის ჩვეულებისამებრ, ბოლო გაჩერებაა ხოლმე, უკანასკნელი სარფიანი გარიგება, რომლის შემდეგაც მოთამაშემ კარიერა უნდა დაასრულოს. დიდი შანსია, რომ ლოს ანჯელესის "გალაქსი" დევიდ ბექჰემის აქტიურ სპორტულ კარიერაშიც უკანასკნელი კლუბი გამოდგეს, მაგრამ ფაქტია, რომ 32 წლის ბექზს თავისი შესაძლებლობები ჯერ არ ამოუწურავს. ეს მან გასული სეზონის მიწურულს დაამტკიცა, როცა შუა სეზონში ათვალწუნებული, ბოლო ტურებში "რეალის" გამრჯვებების ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი გახდა. ბევრი მიიჩნევს, რომ ბექჰემმა "გალაქსიში" გადასვლით კარიერა უკვე დაამთავრა, მაგრამ რაც მთავარია, თვითონ დევიდი სხვაგვარად ფიქრობს... ბექზს გერმანული "ველტის" ლოს ანჯელესი კორესპონდენტი გაესაუბრა.

- მისტერ ბექჰემ, კიდევ ერთხელ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჰოლივუდში. როგორ მოგწონთ ლოს ანჯელესი?

- სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდი, ოჯახთან ერთად კალიფორნიაში ოთხჯერ თუ ხუთჯერ ვიმყოფებოდი. ამ ვიზიტებმა ვიქტორიასა და მე გვაგრძნობინა, რომ ლოს ანჯელესში უდიდესი სიამოვნებით ვიცხოვრებდით. ჩვენთვის მთავარი იყო, გვეცხოვრა იქ, სადაც როგორც ოჯახი, თავს ბედნიერად ვიგრძნობდით. პირველ რიგში, სკოლები დავათვალიერეთ, რათა ბავშვებიც იდეალურად ყოფილიყვნენ. ჩემზე ხშირად აქ ვიქტორია ჩამოდიოდა.

- საცხოვრებელ ადგილს არჩევდა?

- დიახ, სახლი ხომ ყველაზე მნიშვნელოვანია. ვიქტორია ძალიან ნერვიულობდა და სიმართლე გითხრათ, არც მე ვიყავი მშვიდად. ჩვენი სახლი ულამაზესია. ბავშვებიც ბედნიერები არიან.

- აქ ისეთი დახვედრა მოგიწყვეს, თითქოს ფეხბურთელი კი არა, პოპ ვარსკვლავი იყავით. ეს მოგეწონათ?

- წინდაწინვე ვიცოდი, რომ დახვედრა ძალიან პომპეზური იქნებოდა, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. სიმართლე გითხრათ, თავი უხერხულად ვიგრძენი, როცა დავინახე, რომ აეროპორტში ათიათასობით ადამიანი მელოდა. ვიქტორიასთვის კი ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, რადგან ასეთი დახვედრები მისთვის ახალი არ არის.

- პირველი სამუშაო დღე 13 ივლისს გქონდათ. 13-ის გამო ხომ არ ინერვიულეთ? ცრუმორწმუნე ხართ?

- მკითხეს, გადადება ხომ არ გინდათ, იქნებ 13 პრობლემას წარმოადგენსო, მაგრამ ცრუმორწმუნე არ გახლავართ და მაშინვე ვუთხარი, პრობლემა არ არსებობს-მეთქი.

- კრიტიკოსები ამბობენ, ბექჰემი "გალაქსიში" ფეხბურთის კი არა, ჰოლივუდისა და ფულის გამო გადავიდაო. წითელ ხალიჩაზე უფრო ხშირად გნახავთ, ვიდრე მწვანე მინდორზე?

- კონტრაქტზე ხელი მოვაწერე თუ არა, ჟურნალისტებმა პირველად სწორედ ასეთი კითხვა დამისვეს. პირველივე თამაშებში დავამტკიცებ, რომ ეს ასე არ არის. თუმცა მაინც იარსებებენ ისეთი ადამიანები, რომლებიც იფიქრებენ, რომ აქ ჰოლივუდის გამო ჩამოვედი. ჩემს კარიერაში ფეხბურთი ყოველთვის პირველ ადგილზე იდგა. თავიდან "მანჩესტერი" იყო, შემდეგ მადრიდი, ახლა კი ამერიკაში ვარ - ფეხბურთი ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

- "გალაქსი" 250 მილიონ დოლარს გიხდით. ზეწოლას გრძნობთ?

- ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ჩემგან სასწაულებს ელიან. წნეხის ქვეშ ყოფნას მიჩვეული ვარ. გასული სეზონი ჩემთვის ძალიან მძიმე გამოდგა. თავიდან ვთამაშობდი, მერე ამითვალწუნეს, ბოლოს კი "რეალს" მაინც დავჭირდი. ინგლისში დაბრუნებაც შემეძლო, მაგრამ აღარ მოვისურვე. თუკი "გალაქსიში" წარმატებებს მივაღწევ, ამით ძალიან ვიამაყებ.

- ამერიკელები დარწმუნებულები არიან, რომ "გალაქსის" ყველა თამაშზე ყველა ბილეთი გაიყიდება...

- სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, სტადიონი სავსე იქნება თუ არა, ამაზე არ ვფიქრობ. მთავარი ის არის, რომ ხალხმა იცის, რაც შემიძლია.

- რამდენად ძლიერია "გალაქსი", რა იცით ამ გუნდის შესახებ?

- ახალ თანაგუნდელებს ჯერ კარგად არ ვიცნობ. პირველი სამუშაო დღე ისეთი იყო, როგორც პირველი დღე სკოლაში - კლასელები უნდა გაიცნო, კოლექტივში უნდა ჩაჯდე და გარკვეული პოზიცია დაიკავო. ანუ, ჩემთვის აქ ყველაფერი თავიდან იწყება. ახალ სახეებსა და გარემოს ნელ-ნელა ვეჩვევი, ოთახში თანაგუნდელებთან ერთად ვცხოვრობ და ა.შ.

- სანამ ჩამოხვიდოდით, "გალაქსის" რომელიმე მატჩი ნანახი გქონდათ?

- არა, მაგრამ DVD შევუკვეთე და თამაშები ვნახე.

- სხვა ევროპელ ფეხბურთელებს MLS-ში თამაშს ურჩევდით?

- ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს ჯერ ვერ გაგცემთ, რადგან ძალიან ცოტა ხანია, რაც აქ ვარ. იმას კი ვიტყოდი, რომ აქაურ ფეხბურთში დიდ პოტენციალს ვხედავ. ამერიკაში ფეხბურთი გაცილებით პოპულარული და უკეთესი უნდა გახდეს. მინდა, რომ ამაში ჩემი წვლილიც შევიტანო.

- რა მიზნები გაქვთ "გალაქსიში"?

- ჩემი უპირველესი მიზანი ის გახლავთ, რომ გუნდის ნაწილი გავხდე და "გალაქსისთან" ერთად რაც შეიძლება ბევრი ტიტული მოვიგო. ამასთან , მინდა, რომ ამერიკაში ფეხბურთი უფრო პოპულარული გავხადო და თუ ამას მოვახერხებ, ჩემზე ამაყი ადამიანი არ იარსებებს. ხოლო თუ ვერ შევძლებ, ის მაინც მეცოდინება, რომ მაქსიმალურად ვეცადე.

- ინგლისის ნაკრებიდან წასვლას არ გეგმავთ და ნუთუ არ გეშინიათ, რომ MLS-იდან ნაკრებში მოხვედრა გაგიჭირდებათ? და იქნებ ამერიკაში გადასვლა ამის გამო სანანებელი გაგიხდეთ?

- არავითარ შემთხვევაში, ეს არ მოხდება. აქაურ მიწაზე ჯერ ფეხიც არ მქონდა დადგმული, როცა მკითხეს, გადაწყვეტილებას ხომ არ ნანობთო. არა, არაფერს ვნანობ! რაც შეეხება ნაკრებს, დარწმუნებული ვარ, რომ პრობლემა არ იქნება. სტივ მაკლარენმა მითხრა, თუ კარგ ფორმაში იქნები, ინგლისის ეროვნულ გუნდში აუცილებლად ითამაშებო.

- საქმე ის გახლავთ, რომ ცნობილი ფეხბურთელები ამერიკაში მხოლოდ მაშინ მიდიან ხოლმე, როცა კარიერის დამთავრებას აპირებენ...

- ჩემს შემთხვევაში ასე არ არის. მართალია, 32 წლის ვარ, მაგრამ თავს 22 წლის ბიჭად ვგრძნობ. ზუსტად ისე ვარ მონდომებული, როგორც 14 წლის ასაკში, როცა დიდ კარიერაზე ვოცნებობდი. "გალაქსი" ჩემთვის ახალი, ძალიან დიდი გამოწვევაა. ასე რომ არ იყოს, აქ არ ჩამოვიდოდი.

- ანუ, არ ფიქრობთ, რომ ამერიკაში გადმოსვლა თქვენს კარიერას ოდნავ მაინც დაჩრდილავს?

- პირადად მე არ ვფიქრობ, რომ "გალაქსიში" გადმოსვლა უკან გადადგმული ნაბიჯია. ხალხი, ვინც ამას ამტკიცებს, MLS-ს არ იცნობს. აქ ყველა მონდომებული და მოტივირებულია - უნდათ, რომ MLS მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ლიგა გახდეს. მთავარი ის არის, რომ პოზიტიურად ვარ განწყობილი. მე არ ვარ პირველი ფეხბურთელი, რომელიც ევროპიდან ამერიკაში გადმოვიდა. ჩემამდე აქ პელე, ჯორჯ ბესტი და ფრანც ბეკენბაუერი თამაშობდნენ. აშკარად იგრძნობდა, რომ MLS დღეს გაცილებით სტაბილური და მაღალი დონის ლიგაა, ვიდრე წლების წინათ. ადრე ფულს მხოლოდ ერთ გუნდში დებდნენ, სხვა გუნდები კი შიმშილობდნენ. ახლა აბსოლუტურად სხვა ვითარებაა. ფინანსური სტრუქტურა გაცილებით გაუმჯობესდა.

- პელე და ბეკენბაუერი ახსენეთ. მათთვის რჩევები ხომ არ გიკითხავთ?

- პელეს ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ის ამერიკაში გატარებულ დროს იხსენებდა და ამბობდა, თუ რაოდენ სასიამოვნო იყო მისთვის ის პერიოდი, რომელიც MLS-ში გაატარა. განსაკუთრებით ერთი წინადადება მომეწონა. პელე ამბობდა, ამერიკაში ერთი თამაშის მოგებას გაცილებით დიდი ფასი აქვს, ვიდრე სხვაგანო.

- "გალაქსიში" იურგენ კლინსმანს უმუშავია. მის დაბრუნებას ხომ არ ეცდებით?

- რთული კითხვაა (იცინის). ეს თვითონ იურგენს უნდა ჰკითხოთ. კლინსის ამერიკის შესახებ ექვსი წლის წინათ ვესაუბრე და ჯერ კიდევ მაშინ მითხრა, თუ ოდესმე აქ ითამაშებ, ნამდვილად არ ინანებო. სხვათა შორის, როცა ვფიქრობდი, მეთამაშა თუ არა MLS-ში, კლინსმანის სიტყვებიც გამახსენდა. მაშინ მიამბო, თუ რაოდენ კარგად გრძნობდა მისი ოჯახი თავს ლოს ანჯელესში. ახლა უკვე აქ ვარ და გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ერთ-ერთი ოცნება ამიხდა.

- ვარცხნილობა ისევ შეიცვალეთ...

- ვარცხნილობას ისედაც ხშირად ვიცვლი, მაგრამ ეს ხომ ყველამ იცის, მათ შორის თქვენც. მაგრამ ამას წინასწარ არ ვგეგმავ ხოლმე, ეს თავისთავად ხდება - დილით გავიღვიძებ და უცებ ვწყვეტ, რომ ვარცხნილობა უნდა შევიცვალო. ხომ მოგწონთ, თუ არა? იმედი მაქვს, რომ მოგწონთ.

- დიახ. სხვათა შორის, ვარცხნილობას თქვენი მეუღლეც ხშირად იცვლის. ამ მხრივ ერთმანეთს რჩევებს აძლევთ ხოლმე?

- არა. რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, ვიქტორიას ერთხელაც არ უთქვამს, ასეთი და ასეთი ვარცხნილობა გაიკეთეო. მე ჩემი სურვილისამებრ ვიქცევი, ვიქტორია კი თავისი სურვილისამებრ იჭრის თმას.

- კარიერას სად დაამთავრებთ, ამერიკაში თუ ინგლისში?

- ეს წინასწარ არცერთმა ფეხბურთელმა არ იცის. ჩემი კონტრაქტი ხუთწლიანია. როცა ხელშეკრულებას ვადა ამოეწურება, უკვე 37 წლის ვიქნები. ბევრ ფეხბურთელს 40 წლამდე უთამაშია. ჰო, უმრავლესობა მეკარე იყო, მაგრამ მაინც: ვნახოთ, რა და როგორ იქნება. ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებაზე ჯერ არ ვფიქრობ. ფეხბურთის თამაში იმდენად დიდი სიამოვნებაა, რომ სანამ ჩემი სხეული ამის საშუალებას მომცემს, ამ სიამოვნებაზე უარს ვერ ვიტყვი.

გოტფრიდ ლენცი



კლერი და ტიერი

ვარსკვლავი

ტიერი ანრის ლონდონური განაჩენია

ტიერის ოჯახს 24 საათის განმავლობაში იცავენ...

ტიერი ანრის მეუღლესა და ქალიშვილს 24 საათის განმავლობაში იცავენ. ლონდონის პოლიციას აქვს ინფორმაცია, რომ აღმოსავლეთ ევროპელი კრიმინალები ორი წლის **ტეას** გატაცებას აპირებენ, რათა "ბარსელონის" ვარსკვლავისგან ასტრონომიული გამოსასყიდი მოითხოვონ. ტიერი ისე შეაშფოთა ამ ამბავმა, რომ ოჯახს მცველები დაუქირავა. ფეხბურთელის ლონდონური სახლი ფაქტობრივად, უსაფრთხოების თანამშრომლებითაა გარშემორტყმული. შენობის მთელ პერიმეტრზე სათვალთვალო კამერებია დამონტაჟებული.

ერთი კვირის წინათ 29 წლის ვარსკვლავი ოფიციალურად გაეყარა 27 წლის მეუღლე **კლერს**. მათი ქალიშვილი დედასთანაა. ისინი ისევ ლონდონში ცხოვრობენ. კატალონიაში მრავალმილიონიანი ტრანსფერის მიუხედავად, ტიერის იქაური ბინა არ გაუყიდია. მეზობლები ამბობენ, რომ ფეხბურთელის ოჯახი უსაფრთხოებას აქამდეც დიდ ყურადღებას უთმობდა, მაგრამ ტიერი აბარგების შემდეგ ყურადღება ერთიორად გაიზარდა. ბოლოს და ბოლოს, ოჯახის უფროსი ლონდონიდან ათასი მილის მოშორებით იმყოფება.

ანრის საბანკო ანგარიში გულგრილს ვერავის დატოვებს. "ბარსელონაში" ტიერის კვირეული ანაზღაურება 130 ათასი გირვანქა იქნება. მისი ქონება 25 მილიონადაა შეფასებული. განქორწინების შემდეგ დაახლოებით 10 მილიონი კლერსა და მის ქალიშვილს შეხვდებათ. ექსპერტთა აზრით, ყველაზე სავარაუდოა, რომ კრიმინალური გეგმის უკან რუმინული მაფია იდგეს. მათ მთელ ევროპაში სახელი აქვთ განთქმული დაუნდობელი ბუნებით, ბავშვების გატაცებით, ადამიანთა ტრეფიკინგითა და მათი სექსუალური ექსპლუატაციით. კლერი და ტეა დილაობით ხშირად სეირნობენ ხოლმე სახლის მახლობელ პარკში. კრიმინალებისთვის ძალიან იოლი იქნებოდა ასეთ დროს ბავშვის გატაცება.

ტიერისა და კლერის ქორწინებამ ოთხ წელიწადს გასტანა. ბოლო დროს მათი ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა. "არსენალის" ყოფილი ვარსკვლავი წარმატებით ახერხებდა ოჯახის წევრთა დაცვას ტაბლოიდების მახვილი თვალისგან. ამიტომ მიმომხილველებს წარმოდგენა არ აქვთ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო დაშორების მიზეზი.

ინგლისის თასი

ფინალი. საპასუხო მატჩები

ბლეკბერნი ინგლისი-ვეზა ლუტონი 4:0 (2:0)

ბლეკბერნი: ფარიდელი, ოლივერი, სამბა, ნელსონი, უორნოკი, ბენტლი, მოკენა (53. დანი), თუგაი, პეტერსენი, მაკარტი (57. დერბიშირი), რობერტსი (57. რიგტერსი).

გოლები: 1:0 პეტერსენი (25), 2:0 რობერტსი (48), 3:0 მაკარტი (54), 4:0 სამბა (55)

ბრაბზონი თაურეთი- ოლდერეთი რეინეთი 1:2 (1:2)

გოლები: 1:0 ერლისი (6), 1:1 შეკელი (13), 1:2 ოფლი (90+1)

ლანსი ალფრანდეთი- ჩერნომორეთი ფარინა 3:1 (0:0)

ლანსი: რუნიე, დემონი, ად. კულიბალი, ჰილტონი, ობერი (89. რამოსი), კოკარეკინი, სამბე, აკალე (86. ბუკარი), კარიერი (73. კეიტა), მონტერუბიო, კალუ.

გოლები: 0:1 ვენგლინსკი (11), 1:1 კულიბალი (19), 2:1 აკალე (40), 3:1 აკალე (73)

სამფლორეა ოგალეა-ჩარო მორე ფალეარეთი 1:0 (1:0)

სამფლორეა: ლ. კასტელაკი, კამპანარო, სალა, აკარდი, ძენინი, ვოლპი (86. სამარკოს), ფალომბო, პიერი, კომანი (61. მაჯო), ბელეტი, კარაფილო (67. მონტეტეა).

გოლი: 1:0 მაჯო (90+2)

ატლეტიკო ფალეთი-ბლეარეა რეინეთი 1:0 (1:2)

ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ჯაბლო, პერეა, პერნია, სეიტარიდისი (89. ელერი), ლუჭანი, მანიშე (77. რაულ გარსია), მაჭი როდრიგესი, ხუანდი, ფორლანი, აგუერო (90. ბრალეიტი).

გოლი: 1:0 ფორლანი (10)

პამფერეთ ფერეანეა-დარია ფოლდეეა 4:0 (1:1)

პამფერეთ: როსტი, დემელი (77. ბრეჩკო), კომანი, მატიასენი (79. რანიერეტი), ბენეკბრინი, დეინეგი, იარილინა, ტროიოფსკი, ზიდანი (80. ჩიუმოტუნეკი), ვანდერ ვაარტი, ოლანი.

გოლები: 1:0 კომანი (50), 2:0 ვან დერ ვაარტი (71), 3:0 ბენეკბრინი (76), 4:0 იარილინი (89)

უესტჰემი ფოლანდეა-პამფერეთ ფეხლეთი 1:1 (0:0)

გოლები: 1:0 ნელსონი (65), 1:1 დ. იოჰანსონი (68)

გაძევება: კელერი (68. უტრერტი)

რუბინი რუსეთი-რაციონალბრიკა 0:0 (1:3)

ლეირა ფორტუალეა-პაილეა ლარეთი 4:1 დ.დ. (0:1)

გოლები: 1:0 ოდერი (90), 2:0 ლარანეირო (97-პენ), 2:1 ბოგარი (107-პენ), 3:1 სუგუ (117), 4:1 ლარანეირო (120-პენ)

გაძევება: ვასილიევიჩი (120. პაიდეკი)

ოფი ალბერეთი-ფოლეი ცაზალეთი 0:1 (0:1)

გოლი: 0:1 ბარბარა (85)

ოლეარეი დანია-ბენი ფლეგია 2:1 (1:1)

გოლები: 0:1 ოლუფადე (27), 1:1 კალიფი (31), 2:1 ა. იოჰანსონი (79)

ესტონეთი

IV ტური

რიდი-აუსტრია (ვ)	0:1
ხალ

არიან მოთამაშეები, რომლებიც რონალდინიოს მსგავსად თანდაყოლილი ტექნიკურობით გამოირჩევიან, ანდა რობერტო კარლოსივით სწრაფები არიან, ანდაც ანდრეა პირლოსავით ესმით და გრძნობენ თამაშს. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთათვისაც ორთაბრძოლის წაგება სიკვდილის ტოლფასია. ისინი არაფერს დაუთმობენ მეტოქეს და ბოლომდე იბრძოლებენ უიმედო ბურთისთვისაც კი, რომელიც გვერდითი ხაზისკენ მიგორავს. ჯენარო (რინო) გატუზო უეჭველად საუკეთესოა ამგვარი ტიპის ფეხბურთელთა შორის. საქმე ის კი არაა, რომ გატუზო, უბრალოდ, კონტრაქტით მიღებული თანხის შესაბამისად მუშაობს. ვისაც უნახავს ჯენარო არა მარტო ჩემპიონთა ლიგის ფინალში, არამედ ამხანაგურ მატჩებშიც, უთუოდ დაადასტურებს, რომ ამ ორ გატუზოს შორის განსხვავება ნულს უტოლდება. მისთვის ყველა მატჩი მნიშვნელოვანია.

"დაბადებიდან გამიჩნდა ბოლომდე ბრძოლის უნარი" - აღნიშნავს ჯენარო. სწორედ ცხოვრებამ გამოაწრთო გატუზო და გაუღვივა ეს თვისება. ბევრი უმაღლეს გმირობად მიიჩნევს იმას, რომ 18 წლის რინომ იტალიიდან გამგზავრება გადაწყვიტა და გლაზგოში "რეინჯერსს" მიაკითხა. ეს კიდევ არაფერი. იცით, რამდენი წლის იყო ჯენარო, როცა სახლიდან წავიდა, რათა ცხოვრებაში საკუთარი თავის დასამკვიდრებლად ებრძოლა? თორმეტის!!!



ჯენარო გატუზო

ლომგული

მამილო კარლოს ვაჟი

...იმ დრომდეც არ ჰქონდა **ჯენარო გატუზოს** ტკბილი ცხოვრება. რინო ტიპური სამხრეთელია, სოფელ კორილიანო კალაბროდან, სადაც თევზჭერა მთელ მრეწველობას წარმოადგენს. კალაბრია, საერთოდ, იტალიის ნაკრებისთვის არც ისე უცხო რეგიონია. აქ დაიბადნენ **სიმონე პეროტა** და **ვინჩენცო იაკუინტა**. ამ სამი ბიჭის ბედ-იღბალი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ისინი პროვინციის სიღრმიდან გამოვიდნენ და ყველაზე დაბალი კლასებიდან გაიკაფეს გზა დიდ ფეხბურთამდე. გატუზოს მსგავსად, პეროტაც ადრეულ ასაკში წავიდა სახლიდან და უკვე ბავშვობაში დავაჟკაცდა.

გატუზოს ოჯახს განსაკუთრებული შემოსავალი არ ჰქონია. მამა, სამოყვარულო ფეხბურთში მოღვაწეობის შემდეგ, დურგლის პროფესიას დაუბრუნდა, მაგრამ ფეხბურთისადმი სიყვარული მაინც არ განელებია. *"ჩემს სახლში ფეხბურთს ჰაერთან ერთად ისრუტავდა ფილტვები! პირველი მაისურა და ბურთი 4 წლისამ მივიღე. მიუხედავად იმისა, რომ არავინ იცოდა, თუ რომელ გუნდს ეკუთვნოდა ეს მაისურა, მას არასდროს ვიშორებდი"* - ამბობს ჯენარო.

ჯენარინოს მამა განსაკუთრებულად არ ათამამებდა. გატუზომ მოყვა ერთი ისტორია, საიდანაც გასაგები ხდება მისი მშობლის ხასიათი. იმის გამო, რომ ოჯახს სპორტული ფეხსაცმლისთვისაც კი პერიოდულად ფული არ ჰქონდა, პატარა რინომ ერთხელ ფულის შოვნა გადაწყვიტა. მან სკოლა გააცდინა და ავტოსტრადაზე მანქანის გაჩერება სცადა ქალაქში წაყვანის მოთხოვნით. მალე ერთ-ერთი მანქანა გაჩერდა. ჯენარო კარს მიუახლოვდა და სალონში საკუთარი მამა დაინახა! რინომ საკადრისი მიიღო და ამის შემდეგ გაკვეთილები აღარ გაუცდენია...

რაინო-ო-ო!

კორილიანო კალაბროში რაიმეს სწავლა შეუძლებელი იყო. ფეხბურთის მხრივ ერთადერთი ადგილი, სადაც პატარა ჯენაროს დაოსტატება შეეძლო, პლაჟი გახლდათ. აქ კარის მაგივრობას სათევზაო ბადე სწევდა. მაგრამ ამ დონეს გატუზომ უკვე 12 წლისამ გადააჭარბა, როცა კალაბრიიდან უმბრიაში გადავიდა. იქ "პერუჯის" სკოლა იყო. დჯ მალეც დაოსტატდა. დაკვირვების შემდეგ, რინო მოზარდთა გუნდ "ალიევიში" ჩაირიცხა. 15 წლისამ "პერუჯის" ხელმძღვანელობა და მწვრთნელები საკუთარი თამაშით გააოგნა, 16 წლის ფეხბურთელი უკვე სერია B-ში თამაშობდა, 17 წლისა სერია A-ში ("ბოლონიასთან" მატჩის დროს ტრიბუნაზე მამამისიც იჯდა). იმ პერიოდში მონაწილეობდა 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე, 1997 წელს კი საზაფხულო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. კარგია, არა? შეიძლება ითქვას, რომ ჯენარომ მშობლებს და მეგობრებს დანაპირები შეუსრულა - არ დაბრუნებულიყო სახლში, ვიდრე ცხოვრებაში რაიმე ხელშესახებს არ მიაღწევდა.

...თუმცა დასასვენებლად მას დრო აღარ ჰქონდა. სეზონის ბოლოს "პერუჯის" ხელმძღვანელობას "რეინჯერსი" დაუკავშირდა. შოტლანდიელთა მწვრთნელი **უოლტერ სმიტი** უბრალოდ კი არ ყიდულობდა ახალგაზრდა ფეხბურთელს მომავლის პერსპექტივით, არამედ, ძირითად შემადგენლობაშიც აძლევდა ადგილს.

სმიტი სიტყვის კაცი აღმოჩნდა - რინო სასტარტო შემადგენლობაში დამკვიდრდა და "აიბროქსის" ერთ-ერთ კერპადაც იქცა. აქვე შეარქვეს მას "ბრეივ ჰართ" (მამაცი გული). "როგორც კი ბურთს მივიღებდი, ყველა მეძახდა: "რაინო-ო-ო, რაინო-ო! (შოტლანდიელები მოფერებით სახელ "რინოს" ინგლისურად კითხულობდნენ). სიყვარული ორმხრივი იყო, რადგან ჯენაროს გლაზგოსთან სასიამოვნო მოგონებები აკავშირებს. იქაურ ჩემპიონატში მან 7 გოლი გაიტანა, რაც გატუზოსთვის დღემდე აბსოლუტური რეკორდია.

გარდა ამისა, შოტლანდიაში მან თავისი მომავალი მეუღლე მონიკა გაიცნო. ამ უკანასკნელის მშობლები გლაზგოს ცენტრში, იტალიურ რესტორან "ლა როტონდას" ("მრგვალი მაგიდა") მფლობელები იყვნენ. გატუზო იქ ხშირად ვახშმობდა. მონიკას დედ-მამას, პინასა და მარიოს, ჯენაროსთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ მათი ქალიშვილის ნახვას რინო დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდა. მონიკა იტალიაში სწავლობდა, ასე რომ, მის შესახებ ჯენარო ინფორმაციას მხოლოდ მშობლების გაუთავებელი და აღტაცებული მონათხრობიდან აგროვებდა. როცა მან მონიკა გაიცნო, მიხვდა, რომ ისინი ერთად უნდა ყოფილიყვნენ. მცირე ხნით, მონიკა და ჯენარო საიდუმლოდ ინახავდნენ შეხვედრებს. მაგრამ ფარული გრძნობა მალე გამოაშკარავდა. შეყვარებულებმა კალაბრიასა და სორენტოში დასვენება დაგეგმეს...

იტალიიდან დაბრუნებულ და ბედნიერ გატუზოს "რეინჯერსში" სულ სხვა სიტუაცია დახვდა - უოლტერ სმიტი "ევერტონში" გადასულიყო. მის მაგივრად გუნდს სათავეში **დიკ ადვოკაატი** ჩაუდგა. რინოსთვის მოულოდნელი გამოდგა ის ცნობა, რომ ახალმა მწვრთნელმა მას დაცვის მარჯვენა ფლანგზე მიუჩინა ადგილი. უფრო მეტად კი მაშინ გაოცდა, როცა გაიგო, რომ ეს დროებითი გადაწყვეტილება არ იყო და ამ ადგილზე მას მთელი სეზონი უნდა ჩაეტარებინა...

ყველაზე პოპულარული კაცი სალერნოში

...რინო მიხვდა, რომ უნდა წასულიყო. პრემიერლიგაში არც ისე ცუდი ვარიანტები იყო, მაგრამ გატუზოს იტალია მოენატრა და ახალ პირად აგენტ **ანდრეა დ'ამიკოს** სთხოვა სერია A-ში მოეძებნა სამუშაო. და არც ისე ცუდი ვარიანტიც მოინახა - გატუზო "სალერნიტანის" ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელად იქცა! იტალიაში ის უკვე სულ სხვა ადამიანად დაბრუნდა და გახდა ის "რინგიო" ("კბილებდაკრეჭილი"), რომლითაც ქომაგები მას ხშირად მიმართავენ ხოლმე. გლაზგოდან გამგზავრებისას, ჯენარო ყველას დაბრუნებას დაჰპირდა. ამიტომაცაა, რომ "რეინჯერსი" ამ მოთამაშის ხელახლა ხილვის იმედით ცოცხლობს. ბოლო წლებში რამდენჯერმე დაირხა ხმა იმის შესახებ, თითქოს გლაზგოელები გატუზოს ძველ გუნდში დაბრუნებაზე ურიგდებოდნენ. ამგვარ საუბრებზე რინო ყოველთვის ერთნაირად პასუხობს: *"2011 წლამდე "მილანში" ვრჩები, მერე ყველაფერია შესაძლებელი..."*

...მანამდე კი სალერნოში ჯენარო გატუზო მონიკასთან ერთად ჩავიდა. მან ყველაფერი აწონ-დაწონა, უნივერსიტეტის მიტოვება გადაწყვიტა, საყვარელ ადამიანთან ერთად ყოფნის მიზნით, რადგან მას გამხნევება სჭირდებოდა არც ისე სასიამოვნო სეზონის შემდეგ. რინომ იცოდა, რომ "სალერნიტანაში" მას, როგორც ვარსკვლავს, ისე ენდობოდნენ და ცდილობდა, გუნდი კრიზისიდან გამოეყვანა, მაგრამ სერია A-დან გავარდნას მაინც ვერ გადაარჩინა. გატუზოს მიმართ პრეტენზია არავის ჰქონდა. ის მთელი ძალ-ღონით, გაბედულად თამაშობდა და "მთხოვნელებსაც" ვერ აუდიოდა. "სალერნიტანის" პრეზიდენტი **ფრანჩესკო ალიბერტი** თითქმის შეუთანხმდა "რომას", მაგრამ, როგორც კი მოთამაშის სურვილი მოისმინა (ისინი დღემდე დიდ მეგობრებად რჩებიან), არჩევანის უფლება მას დაუთმო - რინოს "მილანში" გადასვლა სურდა. კლუბის მენეჯერ **რუბენ ბურიანის** კარგი ურთიერთობა ჰქონდა **ადრიანო გალიანისთან** და სწორედ მათ შორის შეთანხმებით მოხდა გატუზოს "მილანში" გადასვლა...

რომაული მზე? არა, მილანური ნისლი

რამდენიმე წლის შემდეგ, "რომას" პრეზიდენტი **ფრანკო სენსი** შეხვდა გატუზოს და უსაყვედურა იმის გამო, რომ "რომაული მზის ნაცვლად მილანური ნისლი" აირჩია. რა თქმა უნდა, "როსონერის" მომავალი ლიდერი გადაწყვეტილების მიღებას ოდნავადაც არ ნანობდა.

"მილანი" ყოველთვის განსაკუთრებული წყობის, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკის გუნდი იყო. "როსონერისთვის" გამორჩეული მნიშვნელობა აქვს კლუბისადმი ერთგულებას და ხშირ შემთხვევაში, ზოგიერთი ფეხბურთელის მაგალითზე, ასეც ჩანს ხოლმე. **ალესანდრო კოსტაკურტა**, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში "როსონერისთვის" არანაირი სარგებლობა აღარ მოჰქონდა, მაინც გუნდში რჩებოდა. მილანის კიდევ ერთ გუნდ "ინტერში" საქმე სულ სხვაგვარად იყო. იქ, სეზონის დასასრულს, გუნდიდან უშვებდნენ იმ მოთამაშეებს, რომლებიც ვერ მოამზადეს, როგორც ამას ხელმძღვანელობა ითხოვდა. მათ ადგილზე კი ახალი ვარსკვლავები მოჰყავდათ. ახლაც ასეა. გუნდიდან გასაგდებ კანდიდატებს შორის, შეიძლება, ისეთი დამსახურებული ვეტერანიც მოხვდეს, როგორიცაა... მაგალითად, **ხავიერ ძანეტი**, რომელიც გასულ ზაფხულში კინაღამ მართლა წავიდა "ინტერიდან".

"მილანში" კი დამსახურებულ ხალხს ბევრს პატიობენ. დიახ, ბევრს, მაგრამ არა კლუბისა და ტრადიციების აბუჩად აგდებას. გატუზო და 1999 წლის ზაფხულის მეორე ახალბედა **ანდრეი შევჩენკო**, ამას უცებ მიხვდნენ: *"პირველად, ტურატის ქუჩაზე მივედი, შემდეგ მილანელოზე, მუზეუმი დავათვალიერე, ვნახე ფოტოები, თასები და მივხვდი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. აქ კლუბის ნამდვილი ლეგენდები - პაოლო მალდინი, სებასტიანო როსი, დემეტრიო ალბერტინი გავიცანი. მსურდა, ერთ-ერთი მათგანი გავმხდარიყავი. "მილანის" სიძლიერე ერთმანეთისა და გუნდის პატივისცემაშია"*.

პირველი სეზონი საკმაოდ წარმატებული გამოდგა. "მილანმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბრძნულ სელექციას მიმართავს. როგორც გახსოვთ, შევჩენკო, პირველივე მილანურ სეზონში, სერია A-ს ბომბარდირი გახდა, რინო კი ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელად აღიარეს. იმ სეზონში გატუზომ ერთი გოლი გაიტანა, პირველი - "მილანსა" და სერია A-ში. იმავე მატჩში, მისი ზუსტი გადაცემების წყალობით, გოლები **ოლივერ ბირჰოფმა** და შევჩენკომ გაიტანეს.

"როსონერის" წარმატებას წარუმატებლობაც მოჰყვა: *"მართალია, "მილანში" ვთამაშობ და არც ისე ცუდად, მაგრამ უკვე სამი წელიწადია არც ერთი პრიზი არ მოგვიგია. ეს კი ჩვენთვის ტრაგედიაა. აი, იწყება ჩვენთვის საოცარი მეოთხე სეზონი"*... აქ, რინოს მემუარებში ყველაზე სასიამოვნო მომენტები დგება. გამარჯვება ჩემპიონთა ლიგაში, და მერე, კიდევ ერთი ტრიუმფი ამავე ტურნირში, სტამბოლის "ტრაგედიიდან" ორი წლის შემდეგ, იგივე "ლივერპულთან" შეხვედრაში.

ამ რამდენიმე წლის განმავლობაში მილანური მანქანა მთელი დატვირთვით მუშაობდა. "როსონერიმ", ბოლოს და ბოლოს, მონახა ნახევარდაცვაში ის "საუცხოო შენაერთი", რომლის წინააღმდეგაც ვერავინ ვერაფერს გახდებოდა: **ანდრეა პირლოს** გადაცემები, **კაკას** სისწრაფე და ტექნიკა, **კლარენს ზეედორფის** გამოცდილება და ოსტატობა და, რა თქმა უნდა, გატუზოს დაუცხრომელი ბრძოლის წყურვილი.

ნამდვილად დაუვიწყარი დრო იყო არამარტო კლუბისთვის, არამედ "მილანის" ერთ-ერთი მოთამაშისთვისაც - ოთხ წელიწადში ჩემპიონთა ლიგის სამ ფინალში მონაწილეობა და "სკუადრა აძურასთან" ერთად მსოფლიო ჩემპიონატის მოგება. სწორედ მუნდიალზე საუცხოო გამოსვლის წყალობით, გატუზოს "ოქროს ბურთის" მოპოვების ერთ-ერთ კანდიდატად მიიჩნევდნენ, რადგან გერმანულ მუნდიალზე მართლაც რომ დამანგრეველი ტიპის ფეხბურთელებს წყალობდნენ. უკრაინასთან მატჩშიც ხომ ჯენარო აღიარეს საუკეთესო ფეხბურთელად.

ფორცა, რაგაცი!

მილანში ჯენარო გაიზარდა არა მარტო როგორც ფეხბურთელი, არამედ, როგორც ადამიანი. არ შეიძლება, არ მოგითხროთ მის ფონდზე, სახელად "ფორცა, რაგაცი!" ("ნინ, ბიჭებო!"), რომელიც რინომ დააარსა, იტალიის სამხრეთში ღარიბ ბავშვთა დასახმარებლად: *"ეს ის ხალხია, რომელიც ჩემი ამჟამინდელი საცხოვრებელი სახლიდან ათასი კილომეტრის, მაგრამ ჩემი დაბადების ადგილიდან რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით ცხოვრობენ. უბრალოდ, მსურს დავეხმარო მათ, ვისაც ჩემზე ნაკლებად გაუმართლა"*.

ფონდი 2003 წლის დეკემბერში ამოქმედდა და უკვე მოასწრო არც ისე მცირე სარგებლობის მოტანა. უპირველეს ყოვლისა, ესაა სპორტული სკოლა, რომელიც გატუზოს მშობლიურ ქალაქში ააშენეს. აქ მეცადინეობენ ბავშვები, რომელთაც უსახსრობის გამო არ შეუძლიათ ნორმალური განათლების მიღება.

რინო ბიზნესსაც არ ივიწყებს. ამჟამად, იტალიაში ძალზე პოპულარულია "ვოდაფონის" სატელეფონო ოპერატორზე შექმნილი რგოლები, სადაც მას და **ფრანჩესკო ტოტის** აკისრიათ მისია - "ნოუ პრობლემ" (უპრობლემოდ). სიუუეტი მართლაც საოცარია. რინოსგან კი, ტოტისგან განსხვავებით, კარგი მსახიობიც გამოვიდოდა...

ჯენარო გატუზოს აშშ-ში რომ მოეწყო საკუთარი კარიერა, მის ცხოვრებას, ალბათ, "ამერიკულ ოცნებას" დაარქმევდნენ. ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანი, რომელსაც არაფერი ჰქონდა, შესანიშნავი სპორტსმენი, ტელევარსკვლავი და მოდელი გახდა... მაგრამ, ამასთან ერთად, მაინც რჩება ჩვეულებრივ, კარგ ადამიანად, ერთ უბრალო ბიჭად.

"ზოგჯერ, საკუთარ ფესვებს ვიხსენებ, მატჩებს, რომელიც გავმართე თხუთმეტათასიანი ქალაქის პლაჟზე, ვიხსენებ "სან სიროსა" და "აიბროქსის" გულშემატკივრებს. წარსულის ეს სურათები კვლავ აღაგზნებს გონებას და განვიცდი, როგორც მსოფლიო ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგისა და სუპერთასის გამარჯვებული"...

დავით ჩუბინიძე
FIFA Magazine-ს მიხედვით

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჩოგბურთი | კოკა კოლას თასი

ჩიხლაძე პირველია!

გუშინ, იან ჰომერის სახელობის კორტებზე დასრულდა "კოკა-კოლას" თასის გათამაშება. შაბათს ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა ერთეულთა შორის, წყვილებში კი - ფინალური. წყვილთა თანრიგში ჩეხურმა დუეტმა **ირჟი კრკოშკამ** და **დანიელ ლუსტიგმა** იმარჯვა - მათ ფავორიტები - ბელარუსი **სიარჰეი ბეტაუ** და რუსი **მიხაილ ელგინი** დაამარცხეს - 7:6 (2), 6:4.

ერთეულებში ქართველი **ლადო ჩიხლაძე** აგრძელებდა ასპარეზობას. ნახევარფინალში მისი იყო მეტოქე **დანიელ ლუსტიგი**, რომელიც მეხუთე ნომრად იყო განთესილი და მეოთხედფინალში პირველი ნომერი **მიხაილ ელგინი** დაამარცხა. ლადოს ძალიან კი გაუჭირდა, მაგრამ ჩეხური ბარიერის გადალახვა მაინც შეძლო: ორივე სეტში თითო ბრეიკი გაახერხა და ერთნაირი ანგარიშით - 6:4, 6:4 იმარჯვა.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში მეორე ნომრად განთესილმა ფრანგმა **კლემარ მორელმა** სლოვაკ **მიხალ პაზიცკის** აჯობა - 6:3, 4:6, 6:2.

ფინალურ შეხვედრაში სტარტი მორელმა უკეთ აიღო: ეგრევე მოწოდება აართვა ჩიხლაძეს, შემდეგ საკუთარიც მოიგო და როცა მეორე ბრეიკიც გაახერხა და 4:1 დაწინაურდა, პირველი სეტის მის სასარგებლოდ დასრულებაში ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი. საბედნიეროდ, ყველაზე დიდი ეჭვი თავად ლადოს ჰქონია, არ შეურიგდა ცუდ დასაწყისს და თამაშის სადავეები აიღო ხელში: ჯერ ერთი ბრეიკი დაიბრუნა, შემდეგ მეორე და ანგარიში გაათანაბრა - 5:5. თითო საკუთარი მოწოდებაც მოუგეს ჩოგბურთელებმა და ტაი-ბრეიკიც დაინიშნა. აქ ქართველი დაწინაურდა - 4:0, მაგრამ შემდეგ მოეშვა, 6:3-ზე რამდენიმე -უნებლიე შეცდომა დაუშვა და ერთი ქულით მიიახლოვა მეტოქე - 6:5, თუმც გადამწყვეტი ბურთი ლადომ ძლიერად მოანოდა და ეისით დაასრულა სეტი.

მეორეში ქართველმა ჩოგბურთელმა თამაშის დასრულება ადრევე ისურვა და კლემანს მოწოდება მეხუთე გეიმში აართვა, რის შემდეგაც საკუთარ მოწოდებას იგებდა, მეტოქისაზე კი თავს დიდად არ იწუხებდა. ტაქტიკამ გაამართალა და მიუხედავად იმისა, რომ გადამწყვეტი გეიმის მოგება მაინც გაუძნელდა - ნერვებმა მაინც თავისი ქნა, ბოლომდე მიიყვანა საქმე და ყველაფერს აქაც ეისით დაუსვა წერტილი - 7:6, 6:4.

ლადო ჩიხლაძემ საერთოდ მე-6 ტიტული მოიგო, მაგრამ სამშობლოში პირველად გაიმარჯვა, რაც, ცხადია, მნიშვნელოვანი მოვლენაა მისთვის. ჩვენ მცირე კომენტარი ვთხოვეთ ტრიუმფატორს და პირველად ტრავმაზე დავეკითხეთ, რამდენად აწუხებდა მუხლი ტურნირის განმავლობაში.

- მუხლი აღარ მაწუხებს, ოთხთვიანმა მკურნალობამ კარგად ჩაიარა და ტკივილისგან პრობლემები არ შემქმნია.

- ყველა შეხვედრაში ცოტა მძიმედ იწყებდი - ქულების მოგროვება გიჭირდა და ზოგჯერ ჩამორჩებოდი კიდეც მეტოქეს...

- ოთხ თვეს რომ საწოლში გაატარებ, კორტზე დაბრუნება რთული საქმეა. ოპტიმალურ ფორმაში არა ვარ და სათამაშო რიტმის მოსაძებნად გარკვეული დრო იყო საჭირო. იცით, რომ თბილისის ტურნირამდე ერევანში ვითამაშე და იქ უფრო უარესად გამოვიყურებოდი, მაგრამ კარგი ვარჯიშიც გამოვიდა.

- საქართველოში საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული პირველად გახდი და ალბათ ძალიან აფასებ ამ წარმატებას.

- რა თქმა უნდა! გახარებული კი ვარ, მაგრამ უკმაყოფილების გრძნობა მაინც მაქვს, რადგანაც ვგრძნობ, რომ მთლად კარგად ვერ ვითამაშე. სრული კმაყოფილება მაშინ გეუფლება, როცა კარგად ირჯები და მეტოქეს შენი ძალით ჩაგრავ და არა მოწინააღმდეგის შეცდომებით იხვეჭ ქულებს. მორელმა ბევრი შეცდომა დაუშვა და ამანაც გამიადვილა საქმე, თუმცა, იოლი შეხვედრა ნამდვილად არ მქონია.

ლადო ჩიხლაძე

- ამ გამარჯვებას "კოკა-კოლას" დალევით აღნიშნავ, თუ?..

- "კოკა-კოლას" ალბათ კი დავლევ, მაგრამ დანარჩენი - გამორიცხულია. ახლა მეგობრებთან ერთად ორთაჭალის აბანოებში უნდა წავიდე - ძალიან მონატრებული ვარ თბილისურ აბანოსა და ქისას, ამის შემდეგ კი კარგად ვივახშმებ და დავისვენებ, რადგანაც სამშაბათს ისევ უნდა ჩავერთო ტურნირში, რომელიც ისევ "იან ჰომერის" კორტებზე გაიმართება.

შეგახსენებთ, ტურნირის საპრიზო ფონდი 15000 ამერიკული დოლარი იყო. ერთეულთა შორის გამარჯვებულს 1950 დოლარი ერგო, ფინალისტს - 1350. წყვილთა შორის გამარჯვებულების სარგო 945 დოლარია, მეორეადგილოსნების - 495.

დღეიდან ტურნირის მონაწილეები თბილისის მერიის თასზე იასპარეზებენ. საპრიზო ფონდი აქაც 15000 დოლარია.

ზვიად შათირიშვილი

დაჯილდოება. შტეფანი ფოგელი და ოქსანა კალაშნიკოვა

ოქსანას ოქრო-ვერცხლი

ავსტრიის ქალაქ ბად ჰოფგაშტაინში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი 18-წლამდელთა შორის. საქართველოდან ტურნირში მონაწილეობდა **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც წყვილებში ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო ერთეულთა თანრიგში ფინალამდე გააღწია.

ოქსანა 64 მონაწილეს შორის მე-8 ნომრად იყო განთესილი და 5 წრე წარმატებით გაიარა, ფინალში კი შვეიცარიელ **შტეფანი ფოგელთან** დამარცხდა - 4:6, 2:6. კალაშნიკოვამ ერთგვარი რევანში წყვილთა ტურნირის ფინალში აიღო - მან და ლუქსემბურგელმა **შტეფანი ფოგტმა** (5) ფოგელი და **ნიკოლ რინერი (2)** დაამარცხეს - პირველ სეტში ანგარიში 4:1 იყო, როცა შვეიცარიულმა წყვილმა თამაში ვეღარ გააგრძელა.

ანტიჭური ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატი. ჭაბუკები

ჩემპიონი და სამი ფინალისტი

ოქროს 1 და ვერცხლის 3 მედალი - ასეთია ჭაბუკ „ანტიკოსთა“ მონაგარი ვარშავაში გუშინ დასრულებულ ევროპირველობაზე. კიდევ ერთმა დამამშვიდებლის ფინალი იჭიდავა, მაგრამ წააგო და მეხუთეზე დარჩა. 4 მედალი და ისიც ამ რანგისა, თავისთავადაა ძალიან კარგი შედეგი, მაგრამ ამ წარმატების მნიშვნელობას ის ფაქტი უფრო ზრდის, რომ შარშანდელი შემადგენლობიდან გუნდში მხოლოდ ერთი მოჭიდავე დარჩა. კონტინენტის ჩემპიონი **ვასილ იმერლიშვილი** (100) გახდა, ვერცხლის მედლები კი **მინდია წულუკიძემ** (42), **პაატა ბაკურიძემ** (63) და **თორნიკე ნაჭყებიამ** (69) მოიპოვეს.

ვასილ იმერლიშვილმა მთელი ტურნირი დამაჯერებლად გაიარა - 5 ბრძოლიდან 4 ძირითად დროში მოიგო. თანაც, უმეტესობა - დამაჯერებლად და დიდი უპირატესობით. ერთადერთი, მხოლოდ ფინალში დასჭირდა დამატებით დრო. პირველი ორი შეხვედრა - სლოვაკ დავიდ ლენგიელთან და ხორვატ მარკო კოსევიჩთან შედარებით მცირე უპირატესობებით მოიგო. სლოვაკეთშიც და ხორვატიაშიც „ანტიკურის“ სკოლა მეტ-ნაკლებად განვითარებულია, აი, ლიტვა კი ამ მხრივ მოიკოჭლებს. ალბათ, ამიტომ დაჯაბნა იმერლიშვილმა ასე იოლად იქაური **მარიუს გრიგელისი** - ორივე პერიოდი სუფთად და ერთნაირი ანგარიშიც, 7:0 მოიგო. სუსტი მეტოქე არც ნახევარფინალში ელოდა - ბულგარელი ჰუსეინ ჰუსეინი, თუმცა ჩვენებურმა ორი პერიოდი ჯამში 12:3 მოუგო. ოქროსთვის გადამწყვეტ ბრძოლაში რუმინელ ალინ ალექსიუს 5:3 მოუგო, მაგრამ მეორე 1:3 დათმო. საბედნიეროდ, დამატებით პერიოდში მოზოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და დასკვნითი ორწუთეული არა უბრალოდ, არამედ ქულებით წმინდად - 6:0 მოიგო.

გუნდის წევრთა უმეტესობის მსგავსად, **მინდია წულუკიძეც** (42 კგ) დებიუტანტი გახლდათ. ვარშავაში მან 4 შეხვედრა ჩაატარა, აქედან 3 მოიგო და მხოლოდ ფინალური წააგო აზერბაიჯანელ ელდანის აზიზლისთან. სამწუხაროდ, ჩვენებურმა მეტოქეს ერთადერთი ქულა აართვა, თავად კი 14 დაუთმო და ვერცხლს დასჯერდა. საინტერესოდ წარიმართა მისი ბრძოლა პირველ წრეში უკრაინელ ამელ იულდაშევთან - ორივე პერიოდი 2:2 დამთავრდა, მაგრამ ორივე ბოლო ქულის დამსახურებით, ქართველმა მოიგო. ფინელ პეტერ მარტიკაინენსა და უნგრელ ადამ მოლნარის შედარებით იოლად, ძირითად დროში აჯობა.

ფინალი აზერბაიჯანელთან - ტურალ ჰუსეინოვთან წაგო **პაატა ბაკურიძეც**, ოღონდ - ძირითადში, თუმცა დრამატულ ბრძოლაში. პირველი პერიოდი ჩვენებურმა 0:5 დათმო, მეორე კი ფრედ დასრულდა - 1:1, მაგრამ ბოლო ქულამ პერიოდისა და ფინალის გამარჯვება მეტოქეს არგუნა. ბაკურიძე შარშანდელი ნაკრებიდან შემორჩენილი ერთადერთი წევრია. ევროპირველობაზე მან შარშანაც იჭიდავა და მეხუთეზეც გავიდა, ოღონდ - 58-ში. ფინალამდე მან ოთხი შეხვედრა მოიგო დამაჯერებლად - დასაწყისში ნორვეგიელი კრისტოფერ ჰაგერი და ავსტრიელი ფლორიან მარხლი ქულათა დიდი უპირატესობით დაამარცხა, შედარებით გაუჭირდა რუს მაქსიმ აბაევთან, თუმცა ჯამში მაინც 6:2 მოუგო, ნახევარფინალში კი დამატებითში გადასულ დაძაბულ ბრძოლაში სომეხ გევორქ საჰაკიანს აჯობა.

ჩვენი ნაკრების მესამე ვერცხლი **თორნიკე ნაჭყებიამ** მოიპოვა. ის ფინალში უნგრელ დანიელ ჰლავატისთან დამარცხდა, იქამდე კი გზა ძლევამოსილად გაიარა - ბელარუსი დმიტრი ჰალიცკი, სომეხი არტაკ საჰაკიანი და თურქი მალიკ ალვერი წმინდად დაამარცხა.

ვაჟა კრავეიშვილის გუნდში ორი დავითაია გამოდიოდა, მაგრამ, ბედის ირონიით, ორივე მეხუთეზე გავიდა. თანაც, ძირითად ბადეს ორივე მეოთხედფინალიდან ჩამოშორდა. შავი ზღვის აუზის თამაშების ჩემპიონმა **გიორგი დავითაიამ** (46) ბელარუს იჰარ ასტაფიეუს დამატებითში აჯობა და მერე მომავალ ჩემპიონთან, რუს სტეფან მარიანიანთან დამარცხდა. სანუგეშოში უნგრელ ბენდეგუზ ლაგზის მოუგო, მაგრამ აზერბაიჯანელ ხურშუდ ბაბაჯოვთან წაგო და მეხუთეზე დარჩა.

ამავე საფეხურამდე თითქმის იდენტური გზა გაიარა **საჩინო დავითაიამაც** (54) - ბერძენ ვლადიმიროს მატიასთან სუფთა მოგების შემდეგ მომავალ ფინალისტთან, გერმანელ ტიმო ბადუჩთან დამარცხდა. სანუგეშოშიც ერთი ბრძოლა მოიგო ლატვიელ დენის კოვალოვსსთან, მაგრამ მერე ბრინჯაოსთვის შეხვედრა უკრაინელ ლენურ თემიროვთან დათმო.

ნაკრების სხვა წევრები - **ქემალ ხარაბაძე** (50), **დავით ტაკაშვილი** (58) და **შალვა თოდრაძე** (85) ადრევე გავარდნენ. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღით ადრე, თავისუფალ ჭიდაობაში 1 ოქრო, 2 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოვიპოვეთ.

ირაკლი თავაძე

ფეერიოსნობა

არამიწიერი სიამოვნება და პირველი გამარჯვებული

თბილისიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით, გზის პირას, სოფელ ნატახტართან საშუალო სიდიდის აბრაზე წარწერა და ისარი ბევრს, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის გამო აიძულებს, გზა გაიმრუდოს და არამიწიერი და თანაც, ექსტრემალური სანახაობით დატკბეს. ასეთი ცნობისმოყვარეებით ნატახტარის აეროდრომი განსაკუთრებით გასულ შაბათს გაივსო. ამ დღეს, საქართველოში პირველი ჩემპიონატი ჩატარდა მოტო-დელტაპლანერიზმში.

ცხელი, მაგრამ ქარიანი დღის შემხედვარე ჩემპიონატის ორგანიზატორები, ავიაციის ეროვნული ფედერაციის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და ჰაერონაოსნობის ფედერაციის წარმომადგენლები, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებულები იყვნენ. თუმცა, უშუალოდ შეჯიბრების დაწყების წინ ნატახტრის აეროდრომზე ჰაერი გაირინდა და ჰაერნაოსნობის ფედერაციის საჰაერო ბურთები ერთი მეორეს მიყოლებით ჰაერში აინია - ამ დღეს საჰაერო ბურთების დანიშნულება საქართველოში სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია იყო. აქ ყველა მსურველს შეეძლო ამ ბურთების დახმარებით ერთი ათეული მეტრით დედამიწას დაშორებოდა და იქიდან გადმოეხედა გარემოსთვის.

ვისაც საჰაერო ბურთები არ იზიდავდა, არანაკლებ საინტერესო სპორტის სახეობის, ავიამოდელირების საჩვენებელი გამოსვლებისთვის შეეძლო თვალყურის დევნება. ხელით აწყობილ თვითმფრინავის მოდელებს ქართული მართმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელი ცდიდა...

თუმცა მთავარი აეროდრომის სხვა ნაწილში ხდებოდა. ათამდე სპორტსმენი თბილისიდან, კახეთიდან და მეზობელი რუსეთიდანაც საკმაოდ მშვიდი სახეებით ემზადებოდნენ ჰაერში ასაფრენად. *"მსგავსი შეჯიბრებები უცხოეთშიც ტარდება, არსი ერთნაირია, მაგრამ ზოგიერთს სახელწოდება თავად მოვუფიქრეთ. მაგალითად "კასრებში საგნის ზუსტად მოთავსება", რაც სიმაღლიდან სამიზნე ადგილას საგნის ზუსტად ჩამოგდებას გულისხმობს. ამას გარდა, სპორტსმენები კიდევ ორ სახეობაში - საფრენი აპარატის ზუსტ მართვასა და ორ ნიშნულს შორის გავლაში მოუწევთ საუკეთესოს გამოვლენა. საბოლოოდ კი, საერთო ჯამში გამარჯვებული დასახელდება"*, - ამბობს **დავით ველიაშვილი**, ავიაციის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც სტარტის წინ ყველაზე მეტად ნერვიულობს.

შემდეგ, იწყება შეჯიბრება - ჯერ საჩვენებელი ფრენები, რომლის დროსაც საფრენი აპარატების მესაჭეები უბრალოდ, ძრავს თიშავდნენ და უხმაუროდ დედამიწისკენ მოექანებოდნენ... ამ ე.წ. "სასიკვდილო მარყუჟის" შემყურეთ ამოსუნთქვისაც კი ეშინოდათ. თუმცა ორგანიზატორები ამ ილეთის ჩვენების აუცილებლობასაც ხსნიან - გვინდა ვანახოთ ყველას, სპორტის ეს სახეობა რამდენად უსაფრთხოა, მაშინაც კი, თუ ძრავი გიმტყუნებსო...

ბოლოს დასკვნითი ნაწილი — მოტოდელტაპლანები ერთი მეორეს მიყოლებით კვლავ ჰაერში ადიან, შემდეგ დაბალ სიმაღლეზე ცდილობენ ნიშნულებში ზუსტად გაიარონ და ჭოგრიტმმარჯვებული ჟიურის მაგიდასთან ჩაიფრინონ და კასრებში პატარა ქისები ზუსტად "ათიანში" მოახვედრონ. ამის გაკეთება თითქმის ყველა მონაწილემ მოახერხა, თუმცა ჯამური მაჩვენებლით კვარცხლბეკის მაღალ საფეხურზე მხოლოდ ერთი, რუსეთში მცხოვრები **მკირტიჩ ტიტოიანი** გავიდა, რომელსაც საუკეთესო შედეგის საჩვენებლად 7-წუთიანი ლიმიტის გამოყენებაც კი არ დასჭირდა. მას 100-ლიტრიანი კახური ღვინით სავსე კასრი და საქართველოს პირველი ჩემპიონატის დიპლომი გადაეცა. მეორე **რევაზ როსტომაშვილი** იყო, მესამე ადგილზე კი **ბადრი პეტაშვილი** გავიდა.

ქეთი ახვლედიანის ფოტო

შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე, ორგანიზატორებს ე.წ. პირველი ნაბიჯის გადაგმის ეშინოდათ, თუმცა ჰაერში რისკის მოყვარულები ადიან და შეიძლება ითქვას, რომ პირველი შეჯიბრებაც შედგა. საქართველოში მოტოდელტაპლანერიზმში პირველი ჩემპიონატის საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ლელო" იყო.

თამარ ჯიშკარიანი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი. U 16

28 ივლისი, ნახევარფინალი							
საქართველო-უკრაინა 40:71							
7:11, 11:24, 17:20, 5:16							
საქართველო	ნთ	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
ბაქრაძე	26	4	0	0	0	0	1
მაღლაკელიძე	12	3	3	0	2	0	1
ჩიკვილაძე	24	3	3	1	1	0	1
შენგელია	37	17	9	2	0	0	6
თავართქილაძე	18	0	2	2	1	0	4
ბოქოლიშვილი	10	2	0	0	0	0	0
იოსელიანი	14	0	4	0	1	2	2
ხეთაგური	5	0	1	0	0	0	0
ჭოხონელიძე	10	2	1	0	1	0	0
ელანიძე	9	4	2	0	0	0	2
დვალიშვილი	22	5	4	0	0	0	1
სულაბერიძე	14	0	4	0	0	2	0

29 ივლისი, XI-XII ადგილები							
საქართველო-ისრაელი 64:77							
22:22, 11:18, 14:19, 17:28							
საქართველო	ნთ	ქ	მ	პ	ჩ	დ	შ
ბაქრაძე	34	12	4	2	2	0	3
მაღლაკელიძე	22	9	3	4	1	0	0
ჩიკვილაძე	31	13	5	3	1	0	3
შენგელია	33	10	3	2	0	0	3
ბოქოლიშვილი	1	0	0	0	0	0	0
იოსელიანი	22	7	7	0	0	3	4
ჭოხონელიძე	3	0	0	0	0	0	0
ელანიძე	12	2	1	0	0	0	2
დვალიშვილი	23	8	0	0	0	0	2
სულაბერიძე	18	3	4	0	0	0	1

ქართველი კადეტი ნამდვილი კადეტია

საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე დასრულდა კადეტ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატი, სადაც ქართველმა კადეტებმა მეთორმეტე ადგილი დაიკავეს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, ჩვენი კადეტები და ახალგაზრდები, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან ანალოგიური შედეგების ჩვენებაში. შარშანწინ, ორივე გუნდი B დივიზიონში ჩარჩა, შარშან კი წყვილად ალზევდნენ ელიტაში, სადაც წლეულს კვლავ ერთნაირი შედეგი აჩვენეს - მეთორმეტე ადგილი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კადეტებმა, ევროპის ჩემპიონატის მეორე ჯგუფურ ეტაპზე, ერთი მატჩი მოიგეს...

შაბათს, კადეტები მეცხრე ადგილისთვის მატჩში, უკრაინას დაუპირისპირდნენ. თუკი **მიხეილ კობეშავიძის** შეგირდებს შაბათამდე ორი მოგება ჰქონდათ, უკრაინელებს მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის ყველაზე სუსტი გუნდი - პორტუგალია ჰყავდათ დამარცხებული. ამდენად, გამარჯვება სავსებით რეალურად გვეჩვენებოდა. თუმცა, ჩვენს გუნდს ამ შეხვედრაში, ფაქტობრივად, არაფერი გამოუვიდა და უშანსოდ განადგურდა. ქართველმა კადეტებმა ჩააგდეს 49-დან 14 ორქულიანი, 19-დან 1 (!) სამქულიანი და 14-დან ცხრა ჯარიმა. ამას გარდა, ვერც ფარზე იყოჩაღეს - მეტოქეზე ათით ნაკლები მოხსნა დააგროვეს. ცუდი იყო ისიც, რომ პირველ მეოთხედში მხოლოდ 7 ქულა ჩააგდეს, ბოლო პერიოდში კი 5 ქულას ვერ ასცდნენ...

გუშინ კი მეთერთმეტე ადგილისთვის მატჩში, იმ ისრაელს ვხვდებოდით, რომელსაც მეორე ჯგუფურ ეტაპზე ერთადერთი მატჩი მოვუგეთ. ალბათ გახსოვთ ის შეხვედრა, რომლის ბოლო მეოთხედის დაწყებამდე, ქართველი კადეტები ათი ქულით აგებდნენ, მაგრამ სასწაული მოახდინეს და ებრაელებს ხელიდან გამოგლიჯეს გამარჯვება. სამწუხაროდ, ამავე გუნდის მეორედ დასამარცხებლად, ჩვენებურებს საკმარისი ენერგია აღარ აღმოაჩნდათ, მეტოქეს რევანშის აღების საშუალება მისცეს და მეთორმეტე ადგილს დასჯერდნენ.

ფაქტობრივად, ბრძოლა იყო მხოლოდ პირველ მეოთხედში. ისრაელი თავიდან, 6:1 დაწინაურდა, მაგრამ მეოთხედის დასრულებამდე 3:20 წუთით ადრე, ჯერ მაღლაკელიძის ორქულიანით გავედით წინ, მერე კი სულაც 18:11-ს ვიგებდით. თუმცა, ბოლო ორწუთიან მონაკვეთში, ებრაელმა ჭაბუკებმაც გამოიღეს ხელი და მეოთხედი ფრედ დასრულდა.

მეორე ათწუთეულიდან, ისრაელმა ნელ-ნელა ხელთ იგდო უპირატესობა, რაც ანგარიშშიც ისახებოდა. დასკვნითი პერიოდის წინ, საქართველოს ნაკრები თორმეტქულიანი სხვაობით აგებდა და ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ კიდევ ერთხელ შემოეტრიალებინა ამ გუნდთან მატჩი. თავის მხრივ, ისრაელსაც აღარ დაუშვია შეცდომები და შეხვედრა მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე...

რა შეიძლება ითქვას ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ? უპირველეს ყოვლისა, კადეტების გარჯა, მთლიანობაში, მაინც დადებითად უნდა შეფასდეს. გუნდმა, რომელსაც მთლიანად საქართველოს პირველობაზე მოთამაშე ჭაბუკებითაა დაკომპლექტებული, მოუგო იმ სლოვენიასა და ისრაელს, რომლის მსგავსი პირობები არც გვაქვს და ალბათ არც გვექნება უახლოეს წლებში. ამას გარდა, სლოვენიასა და ისრაელზე ძლიერ საფრანგეთსაც არაფერი დაუთმო და ბოლომდე ებრძოლა. რაც შეეხება ისპანეთთან, იტალიასა და განსაკუთრებით სერბეთთან განადგურებას, ამაში საგანგაშო არაფერია, რადგან ისინი



არამარტო ევროპის, მსოფლიო მასშტაბის გრანდები არიან.

ევროპის ჩემპიონატის წინ, საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა თავს ელიტიდან წინასწარ გავარდნილად, რაღა თქმა უნდა, არ მიიჩნევდა, მაგრამ მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლას ნაღდად არ ელოდა. სიმართლე გითხრათ, იტალიის, ესპანეთისა და სლოვენიის კამპანიაში, ამის ჩვენც ნაკლებად გვჯეროდა. ელიტაში დარჩენის უფრო რეალურ გზად პირველი ეტაპის ბოლოადგილოსნებთან ჯახში ველოდით. თუმცა, კადეტებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს და თუკი წლეულს დაშვებულ შეცდომებზე სწორად იმუშავებენ, სამომავლოდ, უფრო დიდი წარმატებების მიღწევა შეუძლიათ...

ყველაზე სასიამოვნო კი ის არის, რომ ამ გუნდში, უკლებლივ ყველა კალათბურთელი ასაკგადაუკეთებელი იყო. როგორც გამოჩნდა, ნაღდი ასაკითაც შესაძლებელი ყოფილა წარმატებით თამაში და ვიმედოვნებთ, ასაკით მანიპულირება, სამუდამოდ ჩაბარდება წარსულს. საამისოდ, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია საკმარისზე მეტადაა მონდომებული...

კობა ხატისაშვილი

მკლავჭიდი

ქართული მკლავის ძალა

14-16 ივლისს სტამბოლში დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა 18 ქვეყნის 500-მდე ათლეტის მონაწილეობით. ქართულ დელეგაციაში იყო საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში თამარ წერეთელი. თამარის მკლავჭიდელობაზე რამდენჯერმე დავწერეთ და მკითხველისთვის მოულოდნელი არ უნდა იყოს ეს ცნობა, თუმცა მოულოდნელი ის არის, თამარმა საერთაშორისო ასპარეზზე დებიუტი წარმატებით რომ აღინიშნა - მეორე ადგილი დაიკავა. ჯაბა გეთიაშვილი სამი ოქროს მედლით დაბრუნდა სამშობლოში: 70 და 78 წონით კატეგორიებში იასპარეზა, 70-ში ორივე ხელით იმარჯვა, 78-ში კი ცაციების კონკურსი მოიგო..

დღეს ჯაბა და თამარი "ლელოს" სტუმრები არიან.

ჯაბა გეთიაშვილი

თამარ წერეთელი (მარჯვნივ)

- ჯაბა, ორ წონით კატეგორიაში რატომ მიიღეთ მონაწილეობა?

- ჩემს წონაში, 70 კგ-ში წარმატების მჯეროდა, 78 კგ-ში კი იმდენი ტიტულოვანი სპორტსმენი ასპარეზობდა, რომ ცდუნების გაძლება რთული იყო. პირველობის არ მჯეროდა, მაგრამ შევძელი და გავიმარჯვე. ფინალში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ და მსოფლიოს საუკეთესო ცაციად აღიარებულ რუს მკლავჭიდელს, ალექსანდრ ბელენკოვს ვაჯობე.

- მემარჯვენეებში რატომ არ იასპარეზეთ?

- იქამდე ჩემს წონაში ორივე დისციპლინაში გავიმარჯვე და ძალიან გადავიღალე. თუკი ფინალამდე წაუგებლად მიხვედი, 7-8 ბრძოლა უნდა გადაიტანო, ხოლო თუ ერთხელ დამარცხდი 12 და მეტიც შეიძლება მოგიწიოს. საქმე ის გახლავთ, რომ მკლავჭიდში ტურნირები ოლიმპიური სისტემით იმართება, მაგრამ ერთი წაგების უფლება ყველას ეძლევა.

- წაუგებლად გახდით ჩემპიონი თუ "შემოვლითი" გზის გავლამაც მოგიწიათ?

- ცაციებში წაუგებლად გავიმარჯვე, მემარჯვენეში კი ერთხელ წავაგე, თუმცა ჩემს მძლეველს ნახევარფინალში ვაჯობე.

- თამარ, როგორც მკლავჭიდელს, დებიუტი გქონდათ საერთაშორისო ასპარეზზე, აქედან გამომდინარე, ვერცხლის მედალი შესანიშნავ შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

- ასეთ წარმატებას ნამდვილად არ ველოდი. მსაჯებს რომ არ ემუხთლათ, ოქროს მოპოვებაც შემეძლო. მეტოქე თურქი მყავდა და შერკინების დროს ორჯერ აისხლიტა ხელი, ამის შემდეგ, წესისამებრ მაჯები შეგვიკრეს. ხოლო როცა მაჯები შეკრულია, მთავარი ფიზიკური ძალა - ტექნიკა უკანა პლანზე გადადის. ტექნიკური თვალსაზრისით, კარგად კი ვარ მზად, მაგრამ ძალა ნამდვილად მაკლია - მე ხომ მკლავჭიდში მხოლოდ წელწადია, რაც ვვარჯიშობ. საწუწუნო მაინც არაფერი მაქვს - 20-მდე გამოცდილ სპორტსმენში ვერცხლის მედალი შესანიშნავია!

- რა წონით კატეგორიაში გამოდიოდით?

- ქალთა შორის ორი წონითი კატეგორიაა - 60 კგ-მდე და 60-ს ზემოთ. მე 60-ში გამოვდიოდი.

- სხვა ქართველთა გამოსვლაზე რას იტყვით?

ჯაბა გეთიაშვილი: ალეკო აბუთიძემ 63-ში ბრინჯაოს მედალი აიღო. სამწუხაროდ, მასპინძლებმა ფინალში ვეფხია სამხარაძე ძალიან დაგვიჩაგრეს - მსაჯთა შემწეობით დაამარცხეს. ქართული მკლავჭიდი კვლავ რჩება მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერესად და ამას უახლოეს მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც სექტემბერში ბულგარეთში გაიმართება, დავამტკიცებთ.

- მკლავჭიდში რამდენიმე ფედერაცია არსებობდა და ყველა სათავისო ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატებს ატარებდა; დღეს რა ვითარებაა და თქვენ რომელ მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა იასპარეზოთ?

- ორი წელიწადია, რაც ყველაფერს ცივილური ფორმა მიეცა და მკლავჭიდს ერთი საერთაშორისო ფედერაცია (WAF) ხელმძღვანელობს, რომლის ნების გარეშე არც ერთი დიდი ტურნირი არ ჩატარდება. ევროპაშიც შეიქმნა მკლავჭიდის საერთაშორისო ფედერაცია, რომეიც მსოფლიო ფედერაციის წევრია. ასე რომ, ბულგარეთში გასამართი მსოფილოს ჩემპიონატი ყველაზე მაღალი რანგის ტურნირი იქნება.

რაც შეეხება პროფესიონალებს, ისინი კვლავაც ძველებურად ცალკე ასპარეზობენ, მაგრამ ნებასურვილის შემთხვევაში, მოყვარულთა ტურნირებში გამოსვლაც შეუძლიათ. საერთოდ, პროფესიონალები მოყვარულებისგან დიდად არ განსხვავდებიან - უბრალოდ, იქ ისეთებს იღებენ, ვინც მოყვარულებში ტიტულებს - მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მფლობელი, ევროპის ჩემპიონი - ფლობს. ამიტომ საერთო დონეა უფრო მაღალი.

ზვიად შათირიშვილი

ბესიკ ჯანგავაძე
გშტაადიდან

გაისად ჩვენი თვალით ვნახავთ...

ინტერვიუ ლევან ახვლედიანთან

რეპორტაჟების სპონსორი იყო საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც ქართველმა პლაჟბურთელებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა, დასრულდა. მართალია, ანალიზისთვის ჯერ საკმარისად დიდი დრო არაა გასული, თუმცა ჩვენი სპორტსმენების მიერ ნაჩვენები შედეგების შეფასება და გარკვეული დასკვნების გაკეთება უკვე შესაძლებელია. დამაკმაყოფილებელი იყო თუ არა გეორ-გიასა და საქა-რთველოს ასპარეზობა, ამის დასადგენად საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენ ლევან ახვლედიანს მივმართეთ.

-მინდაგავიმეორო ის, რაც აქამდეც არაერთხელ მითქვამს. თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ სპორტის სათამაშო ოლიმპიურ სახეობებში პირველად პლაჟბურთელებმა შეძლეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა, უკვე წარმატებაა. თუმცა, არ დავმალავ და გაცილებით მეტს მოველოდით ვაჟთა წყვილისგან. პირდაპირ გეტყვით, გშტაადში ჩვენ მედლის აღებას ვგეგმავდით. გარწუნებთ, ეს ნამდვილად შეგვეძლო.

- მაშინ, რაა მიზეზი გეორ-გიას ასე ცუდად ასპარეზობისა?

- სამწუხაროდ, მსოფლიო სერიის ეტაპები საშუალებას არ გვაძლევს, ფრენბურთელები დავასვენოთ, ძალები აღვადგენინოთ. ჩვენ არც იმის ფუფუნების საშუალება გვაქვს, რომ რომელიმე ეტაპი გამოვატოვებინოთ, რადგან ყველა მათგანზე აღებულ ქულებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოლიმპიადის სალიცენზიო ჩათვლაში. ისე მოხდა, რომ გეორ-გიას სათამაშო ფორმის გაუარესება, მაინც და მაინც, ამ მსოფლიოს ჩემპიონატს დაემთხვა. წლეულს ეს მათი მე-11 შეჯიბრება იყო. ფრენბურთელები გადაიღალნენ. თავად განსაჯეთ ყველაზე დაბალი ქულები პირველ ეტაპზე მივიღეთ - შანხაის ეტაპზე - 30 ქულა. მომდევნო ეტაპებზე კი ბიჭებმა მშვენივრად იასპარეზეს. რეიტინგში 29-ე ადგილიდან მეცამეტეზე გადაინაცვლეს. გშტაადში კი აშკარად გამოჩნდა, რომ ფიზიკური კონდიციები წესრიგში არ ჰქონდათ.

სხვას ვერაფერს დავაბრალებ მასპინძელთა საკმაოდ სუსტ წყვილთან დამარცხებას. ეს წარუმატებლობა ვერაფრით მიპატიებია მათთვის, არადა გამარჯვებით, ან თუნდაც ერთი სეტის მოგებით ჯგუფურ ეტაპს გადავლახავდით. სამწუხაროდ, ის დღე ჩვენთვის უილბლო გამოდგა.

- უკეთესი შედეგი აჩვენეს ქალებმა.

- ჩემი ოცნება იყო, ევროსპორტზე საქართველოს ნაკრების თამაში მსოფლიო ჩემპიონატიდან პირდაპირ ეთერში გადმოეცათ. საქა-რთველომ ეს მოახერხა. გოგონების თამაშით კმაყოფილი ვარ. მხედველობაში არ მაქვს მათ მიერ ნაჩვენები შედეგი - მათ თამაშის ხარისხი გააუმჯობესეს მნიშვნელოვნად. მეთექვსმეტედფინალში საქა-რთველო დამარცხდა ძალიან კარგ ჩინურ დუეტთან, რომელიც საბოლოოდ მე-4 ადგილზე გავიდა. საქა-რთველომ 200 სარეიტინგო ქულა მიითვალა და ეს ცოტა არ არის.

მინდა ხაზი გავუსვა ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. მსოფლიოს ამ ჩემპიონატზე საკმაოდ ბევრი სარეიტინგო ქულები თამაშდებოდა. ეს ყველამ კარგად იცოდა და დაძაბულობა მაქსიმალურად გაიზარდა. ბევრმა ძალიან ძლიერმა



ლევან ახვლედიანი — ავტორის ფოტო

წყვილმა ვერ გაუძლო ფსიქოლოგიურ ზეწოლას. მაგალითად, უკვე ყოფილმა მსოფლიოს ჩემპიონებმა მარსიომ და არაუჟომ, რომლებიც შეჯიბრებას მეთექვსმეტედფინალში გამოეთიშნენ.

- რა შეიცვლება სამომავლოდ ქართულ წყვილებში?

- მწვრთნელი შეიცვლება. გადავწყვიტეთ, გეორ-გიას მწვრთნელი კაჟა, მისი ასისტენტით, როსინი ფერეირათი შევცვალოთ. ამას იმიტომ არ ვაკეთებ, რომ კაჟას მუშაობით უკმაყოფილო ვარ. მას, როსინისთან ერთად ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ გეორ-გია მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდა. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ მიმაჩნია, რომ ასე აჯობებს. კაჟა ერთდროულად ოლიმპიური ჩემპიონების რიკარდოსა და ემანუელის მწვრთნელიცაა. თუ პეკინის ოლიმპიადაზე მოვხვდებით, იქ არ შეიძლება ერთი მწვრთნელი ორი სხვადასხვა ქვეყნის გუნდის დამრიგებელი იყოს. ასე, რომ მომავალ კვირას ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში როსინის დებიუტი ექნება მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე და მინდა წარმატება ვუსურვო მას.

- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თბილისში სერიოზული საერთაშორისო ტურნირის ჩატარება იგეგმება.

- დიახ, გაისად, თბილისის მერიის დახმარებით სატელიტური ტურნირის გამართვას ვგეგმავთ. ეს შეჯიბრება FVBI-ის ეგიდით იმართება და მისი პრემიალური ფონდი 10 ათას ამერიკულ დოლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამასთან, წესით, შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ მსოფლიოს კლასიფიკაციაში 24 საუკეთესო დუეტს. თუმცა ორგანიზატორს უფლება აქვს, ვაილდ ქარდით მოიწვიოს ის წყვილი, რომელიც თვითონ სურს. ამ უფლებას გამოვიყენებთ და გვინდა საქართველოში ოლიმპიური ჩემპიონები რიკარდო და ემანუელი ჩამოვიყვანოთ. მათთან წინასწარი შეთანხმება მიღწეულია. დასადგენი მხოლოდ შეჯიბრის გამართვის თარილია. გვინდა, ეს ტურნირი რაც შეიძლება მაღალ დონეზე ჩავატაროთ და ტრადიციული გავხადოთ. ეს სპორტის ამ სახეობის განვითარებას ხელს შეუწყობს

სიტყვამ მოიტანა და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ოლიმპიურ ფონდს. ჩვენი პლაჟბურთელების წინსვლაში დიდი წვლილი მიუძღვის ბადრი პატარკაციშვილს, რომელიც თავიდანვე გვერდით დაგვიდგა, ირწმუნა ჩვენი. ოლიმპიური ფონდისვე დახმარებით დეკემბერში ოთხივე ფრენბურთელს საქართველოში მწვრთნელებთან ერთად ჩამოვიყვანთ, რათა ისინი ხალხს გავაცნოთ.

თავისი წვლილი შეიტანა გოგონების წინსვლაში სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტმა, რომელმაც შესაძლებლობის ფარგლებში დააფინანსა ისინი. ვფიქრობ, კარგ თამაშს, წარმატებებს, როგორც პლაჟბურთში, ისე ფრენბურთში კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მოჰყვეს, არა მარტო სახელმწიფოსა და ოლიმპიური ფონდის მხრიდან, არამედ სპონსორებისაგანაც.

ინტერვიუ რუბენ აკოსტასთან

განაგრძეთ განვითარება!

რუბენ აკოსტა — ავტორის ფოტო

ლევან ახვლედიანთან საუბრის დამთავრებისთანავე, მისივე დახმარებით FIVB-ის პრეზიდენტი რუბენ აკოსტა მოვიხელთეთ და ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამოვართვით. აკოსტამ მხოლოდ ოთხი კითხვის დასმის უფლება მოგვცა.

- თქვენ საქართველოში ქართული ფრენბურთის მეგობრად გიცნობენ. რა მეგობრულ რჩევას მიცემდით ფრენბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს, რა გზას უნდა დაადგნენ, რომ სპორტის ეს სახეობა ქვეყანაში განვითარდეს?

- ყველას მეგობარი ვარ, ვინც ფრენბურთისთვის საქმეს აკეთებს. თქვენთან კი საქმე, ფაქტობრივად, არაფრისგან კეთდება. აბა, როგორ არ უნდა ვიყო ქართული ფრენბურთის მეგობარი? რაც შეეხება განვითარებას, ვიცი, რომ აპირებთ სატელიტური ტურნირის ჩატარებას, სადაც ოლიმპიური ჩემპიონები რიკარდო და ემანუელი ითამაშებენ. ისინი თქვენს ფრენბურთელებს მასტერკლასს ჩაუტარებენ, ბავშვებთან და მათ მწვრთნელებთანაც წაიმუშავებენ. თუ საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია ყოველივე ამის მაღალ დონეზე ორგანიზებას მოახერხებს, ვფიქრობ, ეს საკმარისად მძლავრი ბიძგი იქნება ქართული ფრენბურთის განვითარების საქმეში.

- პლაჟბურთში გამართულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ ბევრ ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის დონემ აიწია. ელიტარულ ქვეყნებს უკვე საკმაოდ უჭირთ მათთან გამკლავება. რით ეხმარება FIVB მათ?

- იმ ქვეყნებმა, რომლებმაც პროგრესი განიცადეს, რამდენიმე წლით ადრე მაღალი დონის ტურნირების ჩატარება დაიწყეს. შეჯიბრება, რომელშიც უამრავი მაღალი დონის ფრენბურთელი მონაწილეობს, ძალიან კარგი, სასიამოვნო საყურებელია. ამან განაპირობა ქომაგის მოზიდვა პლაჟბურთის მოედნებზე, გაიზარდა დაინტერესება სპორტის ამ სახეობით, წამოვიდა მოთამაშეთა მრავალრიცხოვანი ნაკადი, რომელთა შორის უფრო მეტი არჩევანის გაკეთების საშუალება გაჩნდა. ერთი სიტყვით, საჭიროა ტურნირები, თამაშები და რაც შეიძლება მეტი შრომა.

- როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ჩვენი პლაჟბურთელების პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი?

- ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ბოლო შეჯიბრება, რომელშიც სარეიტინგო ქულები რიგდება, გაისად, 20 ივლისს გაიმართება. მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა იმათი ვინაობა, ვინც პეკინში იასპარეზებს. თქვენი პლაჟბურთელები საკმაოდ კარგად თამაშობენ, აშკარად მოუმატეს და შანსები აქვთ.

- საქართველოში ჩამოსვლას როდის გეგმავთ? ვფიქრობ, თქვენი ვიზიტი არანაკლებ სასარგებლო იქნება ჩვენს ქვეყანაში ფრენბურთის პოპულარიზაციისთვის.

- მე მივიღე მოწვევა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტიდან. ჩემი სამუშაო გრაფიკი წინასწარაა გაწერილი და ჯერჯერობით, ვერ ვახერხებ, მაგრამ გრაფიკს გადავხედავ და იქნებ მართლაც შევძლო ჩამოსვლა.

გარდაიცვალა იან დიმოვი

"რომ ვთქვა, საქართველოში საჭიდაო უნივერსიტეტები მაქვს გავლილი და "ლექციებს" სულ ცოტა ხუთი ათეული ჭკვიანი და ყოვლისმცოდნე პედაგოგი მიკითხავდა-მეთქი, გაზვიადებული არ იქნება. ეს სიმართლე იქნება... საქართველოში ყოველთვის გულითად სითბოსა და ძმური მეგობრობის ატმოსფეროში ვხვდებოდი. ეს არ დამვიწყებია და არც არასოდეს დავივიწყებ", - წერდა თავის წიგნში: "საჭიდაო ხალიჩის რაინდები" (ქართულ-რუსულ-ინგლისური, 2005 წელი), უკრაინელი ჟურნალისტი და მწერალი, მსოფლიო საჭიდაო სამყაროსთვის ცნობილი იან დიმოვი. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე 1987 წლით დათარიღებული წიგნი: "საქართველოს ფალავნები". გამოცემები სხვა ქვეყნების მოჭიდავეებზე. ფილას ორდენოსანი, უკრაინის ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი იან დიმოვი 73 წლის ასაკში მშობლიურ კიევში გარდაიცვალა. ნიჭიერ კალმოსანს საოცარი უნარი ჰქონდა დაემეგობრებინა სხვადასხვა ერის შვილები.

მას უამრავი მეგობერი ჰყავდა საქართველოში. ჭიდაობის მესაიდუმლის, იან დიმოვის სახით ქართულმა საჭიდაო თემმა ერთგული და ერთი კარგი განსწავლული ინტელიგენტი დაკარგა.

გაბრიელ ბარჯაძე

ამერიკის ნაკრები

უოდენო პეკინი

ბოლო დეკადის ერთ-ერთი ყველაზე რეკლამირებული მედრაფტე, დღეს უკვე "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" ცენტრი **გრეგ ოდენი** ამერიკის ნაკრების შეკრებას გამოტოვებს და გუნდის მთავარი მწვრთნელის, **მაიკლ კრჟიჟევსკის** თქმით, ამით 2008-ში პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის პერსპექტივასაც შეიმცირებს.

გრეგს, რომელიც წლევანდელ დრაფტზე პირველ ნომრად იდგა, 14 ივლისს გლანდების ოპერაცია გაუკეთდა, რის გამოც მან ნაკრების ლასვეგასური კემპი გამოტოვა. ოდენს 15 აგვისტოს შეკრებაზე ელოდნენ, მაგრამ გრეგმა ნაკრების მთავარ მწვრთნელს თავისი აგენტის პირით შეუთვალა, ოპერაცია მთლად კარგად ვერ გადავიტანე და ზედმეტი დატვირთვა რეგულარულისთვის სრულყოფილად მომზადებაში ხელს შემიშლისო.

ოდენს ბოლო ერთი თვის განმავლობაში საკმაოდ გადატვირთული პროგრამა ჰქონდა. სად აღარ დაატარებდნენ ორეგონელთა ახალწვეულს. ჯერ იყო და, გრეგი სუპერსერიის ყველა შეხვედრას დაასწრეს, მერე ჯერ **ლებრონ ჯეიმსის**, შემდეგ კი **კევინ გარნეტის** მიერ ორგანიზებული კემპების მონაწილედაც აქციეს. გარდა ამისა, ოდენმა საზაფხულო ლიგის ორ შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა და შეგახსენებთ, რომ იმ მატჩებში იგი 19-ჯერ (!) დაჯარიმდა.

"გადაღლილი ვარ. ოპერაცია რომც არ გამეკეთებინა, ნაკრების კემპს ალბათ, მაინც გამოვტოვებდი. ძალიან გთხოვთ, არ გინდათ ჩემი და კევინ დიურანის შედარება. მას თავისი მოსამზადებელი გეგმა აქვს და თუ ამერიკის ნაკრებთან ერთად ვარჯიშ-თამაშით ენერგიის რაციონალურად გადანაწილებას მოახერხებს, მისთვის უკეთესი", - განაცხადა გრეგმა.

სულ სხვა აზრზეა ამერიკის ნაკრების დირექტორი **ჯერი კოლანჯელო.**

"ოდენს პირველი კემპის გამოტოვების ნება დავრთეთ, რადგან მას ოპერაცია ახალი გაკეთებული ჰქონდა და მის მდგომარეობაში ყველა შევიდა, მაგრამ ნამდვილად არ ველოდით, თუ გრეგი ამ უმნიშვნელო ქირურგიულ ჩარევას მთელი კემპის გამოტოვების მიზეზად მოიყვანდა", - ამბობს კოლანჯელო.

ოდენის გარდა ამერიკის ნაკრებმა მიკროტრავმით "ჰიუსტონის" ფორვარდი **შეინ ბეტიე** დაკარგა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალბედა **ჯეი. ჯეი. რედიკს** ძირითად 12-კაციან განაცხადში მოხვედრის შანსი გაეზრდება. ამერიკის ნაკრები 12-კაციან, საბოლოო შემადგენლობას 21 აგვისტოს დაასახელებს. ერთ დღეში კი ამერიკელები ოლიმპიურ საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმებიან.

იმავე კოლანჯელოს თქმით, ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობას ზეგიდან "ბოსტონის" **ელ ჯეფერსონი,** "ნიუ იორკის" **დევიდ ლი,** "ფილადელფიის" **ანდრე იგუოდალა** და "გოლდენ სტეიტის" **მონტა ელისი** შეუერთდებიან. ეს ხალხი ნაკრების კანდიდატებად არ განიხილება, მაგრამ რჩეულ მოთამაშეებს სპარინგისას გამოადგებათ.



გრეგ ოდენი

ბოლო ინფორმაციით, ნაკრების ერთ-ერთი ვარსკვლავი **ჩონსი ბილაპსი** ბოლო ვარჯიშისას დაშავდა და თუ ექიმები მას მარჯვენა მუხლის მყესის დაზიანებას დაუდგენენ, მაშინ კოლანჯელო შემადგენლობაში შარშანდელი რეგულარულის საუკეთესო ახალბედას, "პორტლენდის" წევრს, **ბრენდონ როის** შეიყვანს.

დალას მავერიქსი

რა უნდა კიუბანს?

ვერა და ვერ შესწვდა "დალას მავერიქსი" სანუკვარ ჩემპიონობას. ტეხასელები შარშანწინ სუპერფინალშიც კი გავიდნენ, მაგრამ ჩემპიონობას მხოლოდ წაეპოტინენ, თასი კი "მაიამი ჰიტმა" დაისაკუთრა. შარშან **ეიმერი ჯონსონის** გუნდი ზელიგის ისტორიაში ერთ-ერთი მთავარი მოულოდნელობის "შემოქმედი" გახდა, როდესაც პირველივე წრეში "გოლდენ სტეიტთან" 2:4 დამარცხდა. იმ "უორიორზთან", რომლის მთავარი მწვრთნელიც "დალასის" ყოფილი თავკაცი **დონ ნელსონია.**



ჯეიმს პოუსი

დამდეგი რეგულარულისთვის დასავლელი გრანდი დიდი ძალისხმევით ემზადება.

ორი დღის წინათ გუნდმა ორწლიანი კონტრაქტი 22 წლის **ბრენდონ ბასს** გაუფორმა, თუმცა ამ ახალგაზრდის წარსული ბევრი არაფრის მთქმელია და ამ ამბავზე თხრობას იმით დავასრულებთ, რომ კონტრაქტის ფინანსურ მხარეს გაგაცნობთ - ბრენდონი 2 წლის განმავლობაში 1.83 მილიონ დოლარს მიიღებს.

მთავარი კი ის სიაა, რომელიც ეიმერი ჯონსონმა გუნდის მფლობელს, **მარკ კიუბანს** წარუდგინა. ეიმერის თქმით, თუ ამ 6 მოთამაშიდან ერთ-ერთის ყიდვა ან გაცვლის შედეგად აყვანა ვერ მოხერხდა, მაშინ მის გუნდს "სან ანტონიოს" გადასწრება გაუჭირდება. თავისთავად, "პატარა გენერალმა" ფლეი ოფი იგულისხმა, თორემ რეგულარულში "დალასი" "სპურსს" ბოლო წლებში ისედაც მცირედით უსწრებს.

აი, ვისი აყვანა მოითხოვა ჯონსონმა - **ჯეიმს პოუსი** ("მაიამი"), **პი. ჯეი. ბრაუნი** ("ჩიკაგო"), **ედი ჯოუნსი** ("მაიამი"), **მეტ ბარნსი** ("გოლდენ სტეიტი"), **საშა პავლოვიჩი** ("კლივლენდი") და **კრის უებერი** ("დეტროიტი").

"ამ მოთამაშეებით, ყოველ შემთხვევაში, თუნდაც ერთ-ერთი მათგანით სულ სხვა გუნდი გავხდებით. ჩემი მიზანი სათადარიგოების შეკვრა და გუნდის გაძლიერებაა. იმედი მაქვს, მისტერ კიუბანი ყველაფერს გაიგებს", - ამბობს ჯონსონი.

ექვსი მოთამაშიდან მოლაპარაკება ჯერჯერობით, მხოლოდ კრის უებერთან დაიწყო. ვეტერანი ფორვარდი მოხარულია, რომ ასეთი ძლიერი გუნდი მისით დაინტერესდა, თუმცა "დალასში" გადასვლის თავის პირობასაც აყენებს.

"თუ "მავერიქსს" მართლაც ასე სურს ჩემი აყვანა, მაშინ არა მძიმე ფორვარდად, არამედ ცენტრად უნდა ვითამაშო. თავისთავად, სასტარტო ხუთეულში უნდა ვიყო და სათამაშო დროს რაც შეეხება, მწვრთნელს დავარწმუნებ, რომ მოედანზე მინიმუმ 30 წუთი მაინც უნდა ვიყო", - განაცხადა უებერმა.

კრისის პირობები, ერთის მხრივ, გასაგებია. ამბიციურ მოთამაშეს არ სურს **დირკ ნოვიცკის** დუბლიორობა და ცენტრად დაყენება სწორედ ამ მიზეზით ითხოვს. "დალასს" კი ხუთ ნომერზე კრისზე გაცილებით ძლიერი დამცველი **ერიკ დემპიე** და **დესაგანა დიოპი** ჰყავს. ასე რომ, მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება ცოტა რთული იქნება.

მარკ კიუბანი კი ამ ექვსეულიდან ყველაზე მეტად იმავე უებერისა და ჯეიმს პოუსის აყვანას ემხრობა. უებერი ჩემი ერთ-ერთი კერპიაო, უთქვამს კიუბანს, პოუსის ნაირი დამცველი კი ლიგაში ორი-სამი კაცი თუ მოიძებნებაო.

ახალი ამბები

ედი კარი დააყაჩალეს

"ნიუ იორკ ნიქსის" ცენტრი **ედი კარი** სამმა უცნობმა დააყაჩაღა. ნიღბიანებმა კარის ილინოისურ ბინაში სიგნალიზაცია გადაჭრეს, ხოლო როდესაც ბინაში შეცვივდნენ, ედის იარაღი დაადეს და მთელი ბინა გაძარცვეს.

პოლიციის შეფი **ჯონ მედენი** ამტკიცებს, რომ კარის ბინაში დამონტაჟებულმა ფარულმა კამერამ ნიღბიანები გადაიღო და ახლა სპეციალური ლაზერული აპარატით პოლიცია მათი ვინაობის დადგენას შეეცდება. ინციდენტისას არავინ დაშავებულა.

მაიამიმ პარკერი დაიმატა

"მაიამი ჰიტმა" როგორც იქნა, გამთამაშებელი აიყვანა. ფლორიდელებმა შეუზღუდავი უფლებების მქონე თავისუფალი აგენტი **სმაშ პარკერი** დაიმატეს, რომელსაც სამწლიანი ხელშეკრულება გაუფორმდა. კონტრაქტის ფინანსური მხარე უცნობია.

"მაიამი" ბოლო ოთხი დღის განმავლობაში ერთბაშად ოთხ ფლეიმეიქერთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. პარკერის გარდა **პატ რაილის** გუნდის თვალთახედვაში **მო უილიამსი** ("მილუოკიში" დარჩა), **ბენო უდრიხი** ("სან ანტონიო") და **სტივ ბლეიკი** (უგუნდოდ) იმყოფებოდნენ.

"სმაშის დამატებით უკანა ხაზი გავაძლიერეთ. დუეინსა და ჯეისონს კარგი შემცვლელი ეყოლება. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ პარკერი სასტარტოშიც მოხვდეს", - ამბობს "მაიამის" გენერალური მენეჯერი **რენდი პფუნდი.**

სმაშ პარკერმა ბოლო ორი რეგულარულის განმავლობაში 164-ვე შეხვედრა ჩაატარა და 32 წუთში საშუალოდ 11.3 ქულას, 3.2 შედეგიან გადაცემასა და 1.6 ჩაჭრას აგროვებდა.

ეროვნული ოლიმპიური

ოქკი

ნეშვილი მარტინ ჟელინასით გაძლიერდა

"ნეშვილ პრედატორზმა" გამოცდილ ფორვარდ **მარტინ ჟელინასს** ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა, რომლის მიხედვითაც, 37 წლის მოთამაშე 1.25 მილიონ დოლარს მიიღებს.

შარშანდელი რეგულარული ჟელინასმა "ფლორიდა პანტერზში" გაატარა და ყველა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მისი მონაგარი 44 ქულა იყო. 21 ოქტომბერს მარტინმა კარიერაში მე-600 ქულა დააგროვა, ხოლო 7 აპრილს კი "ანაჰაიმთან" შეხვედრაში მე-300 შაიბაც გაიფორმა.

ბაფალომ როი 24 მილიონად დაიტოვა

კრის დრურისა და **დანიელ ბრირის** დაკარგვის მერე, "ბაფალო სეიბრზმა" ერთ-ერთი თავისუფალი აგენტი, ფორვარდი **დერეკ როი** შეინარჩუნა და მოთამაშეს 6-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმა. ამ დროში როიმ 24 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს.

არადა, როი "ბაფალოში" მხოლოდ მესამე ხუთეულის წევრია, თუმცა შარშან კარიერაში საუკეთესო სეზონი ჰქონდა. რეგულარულის 75 შეხვედრაში მის ანგარიშზე 21 გატანილი შაიბა და 42 შედეგიანი გადაცემა იყო. იმასაც შეგახსენებთ, რომ როის შარშანდელი ხელფასი მხოლოდ 627 000-ს შეადგენდა.

დოპინგი

დოპინგს 15.5 მილიონი ადამიანი იყენებს

მსოფლიოს ანტი-სადოპინგო სააგენტომ (WADA) სპორტული ექსპერტის, **ალესანდრო დონატის** დასკვნა გამოაქვეყნა, სადაც ის მსოფლიოში აკრძალული პრეპარატების გამოყენების მასშტაბებს უკეთებს ანალიზს.

დონატის მოხსენებაში გამოყენებულია ნარკოტიკების გავრცელებასთან მებრძოლი ამერიკული სამმართველოს მონაცემები. ექსპერტის დასკვნით, მსოფლიოში 15.5 მილიონი ადამიანი იყენებს დოპინგს. აქედან 35 პროცენტი - პროფესიონალი ათლეტები არიან.

აკრძალული პრეპარატების მსოფლიო ბრუნვა 700 ტონას შეადგენს. ტესტოსტერონის წილი 70 ტონაა (ეს რაოდენობა შეიძლება მოიხმაროს 1.5 მილიონმა ადამიანმა), ერითროპოეტინისა კი - 34 მილიონი ამპულა (მოიხმარს 2 მილიონი ადამიანი).

იტალიელი ექსპერტის დასკვნით, მომავალში დოპინგის არალეგალურ ბაზარზე კონტროლს ჩინეთი და ინდოეთი დააწესებენ.

მძლეოსნობა

შუბით დაჭრილი სდირი სასამართლოში იჩივლებს

"ოქროს ლიგის" სერიის ტურნირზე ფინელი **ტერო პიტკამიაკის** მიერ შუბით "განგმირული" ფრანგი სიგრძეზე მხტომელი **სალიმ სდირი** სასამართლოში ჩივილს აპირებს.

გაზეთ "ეკიპის" ინფორმაციით, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ არც პიტკამიაკისა და არც ფინეთის მძლეოსნობის ფედერაციის რომელიმე წარმომადგენელს დაზარალებული სპორტსმენი საავადმყოფოში არ მოუნახულებიათ.

"ისინი ჩემს სანახავადაც კი არ მოსულან, ალარაფერს ვამბობ ბოდიშის მოხდაზე. ის ფინელი საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლას აგრძელებს, მე კი საავადმყოფოდან ახლახანს გამოვედი. მალე გამოვჯანმრთელდები და დამიჯერეთ, ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან", - ამბობს სალიმ სდირი.

ჩოგბურთი

შარაპოვა ოლიმპიადაზე იქნება

რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **შამილ ტარპიშჩევი** არ გამორიცხავს, თავისი ქვეყნის სახელით **მარია შარაპოვას** პეკინის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას.

არსებული წესის თანახმად, ოლიმპიადაზე ვერ გამოვა ჩოგბურთელი, რომელიც უარს ამბობს ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში დევისის ან ფედერაციის თასზე თამაშზე. ტარპიშჩევი კი აცხადებს, რომ ფედერაციის თასის ნახევარფინალში მარიამ იმის გამო არ ითამაშა, რომ ტრავმა აწუხებდა. *"ასე რომ, ზემოთხსენებული წესი შარაპოვაზე არ გავრცელდება",* - ამბობს პრეზიდენტი.

ქალებმა შერჩევის წესი დაადგინეს

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) და ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA), 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ჩოგბურთელთა შერჩევის წესი შეათანხმეს.

თავდაპირველად, WTA-ს რეიტინგის საფუძველზე 56 საუკეთესო მოთამაშე აირჩევა, რომლებიც პირდაპირ მოხვდებიან ოლიმპიური თამაშების ძირითად ბადეში. დარჩენილი რვა ადგილიდან, ექვსს ITF რეიტინგისა და ტურნირზე წარმოდგენილი ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით შეავსებს, ბოლო ორი საგზურის მფლობელს კი, სპეციალური კომიტეტი დაადგენს, რომელშიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ITF-ის წარმომადგენლები იქნებიან შესულები.

აქვე იმოქმედებს ერთი მნიშვნელოვანი წესი. პირველი 56 ჩოგბურთელიდან, ერთი ქვეყნის არაუმეტეს ოთხი მოთამაშე უნდა წავიდეს ოლიმპიადაზე. მთლიანად ტურნირზე კი, ერთი ქვეყანა ექვსზე მეტ ჩოგბურთელს ვერ წარადგენს.

წყვილთა თანრიგში ორი დუეტის გამოყვანის უფლება ექნებათ მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომელთა წყვილები WTA-ს შესაბამისი რეიტინგის ათეულში შედიან.

რაც შეეხება პეკინის თამაშებზე მამაკაცთა წარმომადგენლობას, ITF-სა და ATP-ს შორის მოლაპარაკებები ჯერაც გრძელდება.

მონაკო დანებდა

მონტე კარლოს ტურნირის ორგანიზატორები აღარ უჩივიან სასამართლოში ATP-ის ხელმძღვანელობას. როგორც ცნობილია, ამ ორგანიზაციამ მონაკოს ტურნირს 2009 წლიდან "მასტერსის" სტატუსი ჩამოართვა, თუმცა, ეს შეჯიბრი ATP-ის კალენდარში თავის ადგილს შეინარჩუნებს, გარდა ამისა, იგივე იქნება საპრიზო ფონდი და რეიტინგული ქულები.

მონაკოელების მთავარი პრობლემა ის არის, რომ სტატუსის დაკარგვის გამო, შესაძლოა წამყვანმა ჩოგბურთელებმა აღარ მოისურვონ მონტე კარლოში ჩასვლა და შესაბამისად, ტურნირის პოპულარობა დაეცემა.

უიმბლდონის ჩემპიონმა მოქალაქეობა შეიცვალა

წყვილთა თანრიგში წლევანდელი უიმბლდონის ჩემპიონმა **ლიზელ ჰუბერმა,** რომელიც აქამდე სამხრეთ აფრიკის სახელით გამოდიოდა, ამერიკის მოქალაქეობა მიიღო.

ჰუბერი 2004 წლიდან მუდმივად აშშ-ის ტერიტორიაზე ცხოვრობს და ამიტომაც ამ ქვეყნის მოქალაქეობის მიღება გადანყვიტა. ჩოგბურთელს სურს, პეკინის ოლიმპიადაზე წყვილთა თანრიგში ამერიკის სახელით გამოვიდეს, მაგრამ მანამდე, მან ახალი ნაკრების შემადგენლობაში ფედერაციის თასზე უნდა ითამაშოს.

ფორმულა 1

სალო ფერარის წინააღმდეგ



სალომ ფერარის საიდუმლო გაამხილა

ფორმულა ერთის ორ გრანდს, "ფერარისა" და "მაკლარენს" შორის კულუარული ბრძოლა გრძელდება. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) მიერ "მაკლარენის" წინააღმდეგ არანაირი სანქციის არმიღებით, უკმაყოფილო დარჩა იტალიური გუნდის ხელმძღვანელობა, რომლის შეფი **ჟან ტოდტი** ირწმუნება, რომ "მაკლარენი" "ფერარის" ტექნიკურ ინფორმაციას ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონის დაწყებამდე ფლობდა და ის ჩემპიონატში უპირატესობის მისაღწევად გამოიყენა.

ტოდტის თქმით, ყველაფერი *"პოკერის ხელს ეამსგავსება, როცა მეტოქემ შენი ბანქოს ნომინაციები იცის და ასე გეთამაშება"*. ფრანგი მენეჯერი გაოცებას გამოთქვამს საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით - "მაკლარენი" არსებული წესების დარღვევაში კი ამხილეს, მაგრამ მის წინააღმდეგ არანაირი სანქცია არ გამოიყენეს.

ტოდტი პირდაპირ სდებს ბრალს "ფერარის" აწ უკვე ყოფილ თანამშრომელ **ნაიჯელ სტეპნის** შპიონაჟში. ამ კაცმა"მაკლარენს" ჩვენი საიდუმლო ინფორმაცია მიაწოდა, რომლებიც მალე ჩვენსავე წინააღმდეგ გამოიყენესო, - ამბობს ფრანგი მენეჯერი. თავის მხრივ, სტეპნი ამ ბრალდებას უარყოფს. ის ირწმუნება, რომ ინგლისური გუნდის მთავარ ინჟინერ **მაიკ კაფლენისთვის** არანაირი საიდუმლო ინფორმაცია არ გადაუცია.

"მაკლარენის" შეფი **რონ დენისიც** უარყოფს შპიონაჟში მისი გუნდის შეგნებულად მონაწილეობას. ის ირწმუნება, რომ ყოველივეს შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყვეს, რაც "ფერარიმ" ამის თაობაზე საჯაროდ გამოაცხადა.

ტოდტი ამბობს, რომ "მაკლარენის" მიერ ახალი ინფორმაციის მიღება განსაკუთრებით საგრძნობი ავსტრალიის დიი პრიზის შემდეგ გახდა. მელბურნის შემდეგ, ფია-მ გაამკაცრა მოთხოვნები ეგრეთ წოდებული დრეკადი ძირის მიმართ. "ფერარიმ" ამ პრობლემის ტექნიკურ გადაწყვეტას მალე მიაგნო. "მაკლარენმა" კი მარანელოელთა ინტელექტუალური საკუთრება უკანნოდ გამოიყენა და ამით, მეტოქესთან ჩამორჩენა შეამცირა, - ამტკიცებს ტოდტი. ოღონდ, დასძენს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა სიტყვიერადაც იყო შესაძლებელი.

"ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ დრეკად ძირთად დაკავშირებული შემთხვევის შემდეგ, "მაკლარენმა" კაფლენს მიუთითა, რომ სტეპნის მისთვის მეტად აღარ გადაეცა საიდუმლო ინფორმაცია. მათ ჩვენი ტექნიკური დოკუმენტაცია უფრო ადრე მიიღეს. ეს ესპანეთში, წინასწარ დათქმული ვახშმობისას მოხდა. სწორედ მაშინ გადასცა სტეპნიმ კაფლენს 780-ფურცლიანი დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავდა ნახაზებს, დიაგრამებს და უამრავ სხვა ინფორმაციას", - აკონკრეტებს ტოდტი.

პარალელურად, ფინურ პრესასთან საუბარში, სენსაციური განცხადება გაკეთა "ფერარის" ყოფილმა პილოტმ **მიკა სალომ**. მისი თქმით, "ფერარი" მუდმივად იყენებდა მსტოვრული ხერხებით მოპოვებულ ინფორმაციას. იტალიურ გუნდში მისი ყოფნისას, მეტოქე გუნდების რადიოსაუბრების დაჭერა და მიღებული ინფორმაციის გამოყენება ჩვეულებრივი ამბავი იყო. არადა, მაშინ ფორმულაში სამოყვარულო დონის რადიოტექნოლოგიები გამოიყენებოდაო.

"თავისუფალი პრაქტიკების და კვალიფიკაციების შემდეგ, ჩვენ ყოველთვის ვაანალიზებდით **მიკა ჰაკინენის** *და მისი ტექნიკოსების რადიოსაუბრებს და საჭირო ინფორმაციას ვიყენებდით კიდეც"*, - ამბობს სალო, ვინც 1999 წლის საზონში 6 ეტაპზე იასპარეზა. მაშინ ის ტრავმირებულ **მიხაელ შუმახერს** ცვლიდა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ქვესაშუალო წონა

ფორესტის დაბრუნება



შეტევაზეა ვერნონ ფორესტი

ამერიკელმა **ვერნონ ფორესტმა** ყველას დაუმტკიცა, რომ მისი ჩამოწერა, როგორც მაღალი კლასის მოკრივისა, ნაადრევია. ამის დასტურად, შტატ უოშინგტონის ქალაქ ტაკომას "ემერლანდ ქვინ კაზინოს" არენაზე, მან ქულებით აჯობა არგენტინელ **კარლოს ბალდომირს** და WBC-ს ვერსიით, ქვესაშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

ფორესტმა (39-2, 28 ნოკაუტი) თავის დროზე (2002 წელს) იმით გაითქვა სახელი, რომ ზედიზედ ორჯერ დაამარცხა სახელოვანი **შეინ მოსლი** და მას როჭოს წონის WBC-ს ქამარი ჩამოართვა. მაგრამ, მომდევნო სეზონში, ზედიზედ ორჯერ წააგო **რიკარდო მაიორგასთან** და ტიტულიც დაკარგა. მაიორგასთან მეორე წაგების შემდეგ, ფორესტმა მხრის ოპერაცია გაიკეთა და ორი სეზონი არსად გამოჩენილა. მაგრამ შემდეგ დაბრუნდა და სანამ თავის მეგობარ ბალდომირს (43-11-6) შეხვდებოდა, ზედიზედ ოთხი ბრძოლა მოიგო (მათგან ბოლო შარშან აგვისტოში **აიკ კვორტისთან**).

ჯორჯიელმა მოკრივემ თავიდანვე შეუტია ბალდომირს და იოლად დაჯაბნა 36 წლის მეტოქე, ვინც ნაბრძოლევს განაცხადა, რომ ეს პროფესიულ რინგზე მის მიერ ჩატარებული ბოლო ბრძოლა იყო. სამივე მსაჯმა უპირატესობა (ფორესტს მიანიჭა. 118-109, 118-109 და 116-112).

"ბალდომირის სახით ძლიერი მეტოქე მყავდა და ამიტომ, მასთან შეხვედრისთვის მთელი სერიოზულობით ვემზადებოდი. მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, ჩემი დაბრუნებიდან რა გამოვიდოდა, მაგრამ ახლა შემიძლია განვაცხადო, რომ უმაღლეს დონეზე დავბრუნდი", - განაცხადა ფორესტმა, ვისაც სულ შვიდ სატიტულო ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა და აქედან ხუთი მოგებული აქვს.

კითხვაზე, ხომ არ ფიქრობს რინგიდან წასვლაზე, ფორესტმა მიუგო, რომ ჯერ წასასვლელად მზად არ არის და ალბათ, სანამ ხელთათმანებს ლურსმანზე დაკიდებდეს, 4-6 ბრძოლას კიდევ ჩაატარებს.

რაც შეეხებ ბალდომირს, სანამ **ზებ ჯუდას** დაამარცხებდა და WBC-ს როჭოს წონის ტიტულს დაეუფლებოდა, მის შესახებ ბევრი არაფერი იყო ცნობილი. ჯუდასთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, არგენტინელმა ზედიზედ ორი ბრძოლა წააგო და ორივეში მეტოქეებს მეტნაკლები წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ფორესტამდე მან ქულებით თვით **ფლოიდ მეივეზერ უმცროსთან** წააგო.

ამერიკელის უპირატესობა განსაკუთრებით საგრძნობი პირველ სამ რაუნდში იყო. ის სისწრაფითაც და ძლიერი დარტყმებითაც ჯაბნიდა მეტოქეს, რომელიც მეტწილად თავდაცვაზე ზრუნავდა. მეოთხეში ფორესტის (ის აშშ-ის ოლიმპიურ ნაკრებში იყო 1992 წლის ოლიმპიადაზე) უპირატესობა აშკარა გახდა. მაგრამ, იმავე რაუნდში მეტოქეებმა თავები დასცხეს ერთმანეთს და გონს მოსასვლელად, ორივეს გარკვეული დრო დასჭირდა.

ამის შემდეგაც, რინგზე ფორესტი დომინირებდა. მისი შეტევები მრავალფეროვანი იყო. ის ხან ჯებით უტევდა, ხან აპერკოტებს იყენებდა, ხანაც ჯვარედინი დარტყმებით უმასპინძლდებოდა მეტოქეს. ნაბრძოლევს კი მაინც განაცხადა, ბალდომირი თავისი აქტიურობით, მეც აქტიურობისკენ მიბიძგებდაო.

სხვათა შორის, ფორესტმა ერთადერთი რაუნდი დათმო და ისიც იმის გამო, რომ მეტოქეს წელს ქვემოთ უთავაზა მუშტი. ეს მეცხრე რაუნდში მოხდა. რეფერი **მაიკ ორტეგამ** ამერიკელს ქულა დააკლო, რის გამოც ის რაუნდი ქულებით არგენტინელმა მოიგო.

მერაბ ლორთქიფანიძე

30 ივლისი. ორშაბათი

НТВ-პლუსი (უჯხბპრთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბილბაო.
14:10 ამხანაგური მატჩი. ნიუკასლი-იუვენტუსი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი 1/4 ფინალი. ჩელსი-არსენალი. I მატჩი.
18:05 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-შტუტგარტი.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 გერმანიის ლიგის თასი. ფინალი. შალკე-ბაიერნი.
22:50 საფრანგეთის სუპერთასი. ლიონი-სოშო.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბარსელონა.
08:45 კრივი. რინგ-საიდი.
09:40 მინი-მოედანი.
10:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
11:45 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კატანია.
13:30 მინი-მოედანი.
13:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. აშშ.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:25 მძლეოსნობა.
16:50 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
18:30 სპორტკლუბი.
18:50 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბეტისი.
20:40 ჰოკეი. NHL. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ვანკუვერი-დალასი.
22:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
22:55 პროფესიული კრივი. ვივიან ჰარისი-სტივ ჯონსტონი.
01:25 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
03:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუპორტი. აშშ.
05:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
05:45 სპორტკლუბი.
06:00 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კატანია.

EUROSPORT

10:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
11:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. ანდერსტორპი. შვედეთი.
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ფინალი. შვეიცარია.
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ქალები. ფინალი. ისლანდია.
14:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). მამაკაცები. ფინალი. საბერძნეთი-ესპანეთი. ისლანდია.
15:30 ფეხბურთი. ინტერტოტოს თასი. ფინალი. ლანსი-ჩერნომორეცი. საპასუხო მატჩი.
17:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XX ეტაპი.
18:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ქალები. ფინალი. ისლანდია.
19:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). მამაკაცები. ფინალი. საბერძნეთი-ესპანეთი. ისლანდია.
20:30 მულტისპორტი.
21:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი. დანია.
22:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი. ბრიტანეთი.
23:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 მულტისპორტი.
03:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). მამაკაცები. ფინალი. საბერძნეთი-ესპანეთი. ისლანდია.
13:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. სან ხოსე. აშშ.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. II რბოლა. ანდერსტორპი. შვედეთი.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. საფრანგეთი.
18:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ჩეხეთი.
19:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. სან ხოსე. აშშ.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. პოლონეთი.
21:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). კონფერენციის ჩემპიონატი. არენა ბოული. სან ხოსე-კოლამბუსი.
23:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). მამაკაცები. ფინალი. საბერძნეთი-ესპანეთი. ისლანდია.
02:15 ახალი ამბები.

ტურნირები

ATP

ავსტრიის ღია

კიტცბუელი (ავსტრია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 786 250 ევრო

1/4 ფინალი

ხუან მონაკო (არგ, 5)-ტომი რობრედო (ესპ, 1) 6:2, 2:6, 6:2; **აგუსტინ კალერი (არგ, 6)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ, 15) 7:6 (5), 6:1; **პოტიტო სტარაჩე (იტა, 10)**-ანდრეას სეპი (იტა) 7:5, 7:6 (7); **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 11)**-სერხიო როიტმანი (არგ) 7:6 (8), 3:6, 6:3.

1/2 ფინალი

ხუან მონაკო (არგ, 5)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 11) 7:5, 7:5; **პოტიტო სტარაჩე (იტა, 10)**-აგუსტინ კალერი (არგ, 6) 6:4, 7:5.

ფინალი

ხუან მონაკო (არგ, 5)-პოტიტო სტარაჩე (იტა, 10) 5:7, 6:3: 6:4

Tennis Championships

ინდიანაპოლისი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 525 000 დოლარი

1/4 ფინალი

ენდი როდიკი (აშშ, 1)-ჰიუნგ ტაიკ ლი (კორ, 6) 6:3, 6:7 (7), 6:1; **ფრენკ დანჩევიჩი (აშშ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:4, 7:6 (3); **სემ კერი (აშშ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 2) 7:6 (18), 6:7 (4), 7:6; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 3)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:1, 6:4.

1/2 ფინალი

ფრენკ დანჩევიჩი (აშშ)-ენდი როდიკი (აშშ, 1) 6:4, 7:6 (1); **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 3)**-სემ კერი (აშშ) 7:6 (5), 6:2.

ფინალი

დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 3)-ფრენკ დანჩევიჩი (აშშ) 6:4, 7:5

ხორვატიის ღია

უმაგი (ხორვატია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 353 450 ევრო

1/4 ფინალი

კარლოს მოია (ესპ, 6)-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 7:5, 6:4; **გილერმო კანიასი (არგ, 5)**-ჟილ სიმონი (საფ) 6:2, 6:1; **ანდრეი პაველი (რუმ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა, 7) 1:6, 6:2, 6:3; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 7:5, 6:2.

1/2 ფინალი

კარლოს მოია (ესპ, 6)-გილერმო კანიასი (არგ, 5) 6:3, 6:2; **ანდრეი პაველი (რუმ)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 6:3, 6:3.

ფინალი

კარლოს მოია (ესპ, 6)-ანდრეი პაველი (რუმ) 6:4, 6:2

WTA

Bank of the West Classic

სტენფორდი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

1/4 ფინალი

ანა ჩაკვეტაძე (რუს, 1)-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 7) 4:6, 6:2, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 3)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 7:5, 6:3; **სანია მირზა (ინდ)**-პატი შნიდერი (შვეიც, 4) 7:6 (2), 6:1; **სიბილ ბამერი (საფ, 8)**-ლილია ოსტერლო (აშშ) 6:2, 6:1.

1/2 ფინალი

ანა ჩაკვეტაძე (რუს, 1)-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 3) 6:7 (6), 6:3, 6:2; **სანია მირზა (ინდ)**-სიბილ ბამერი (საფ, 8) 6:2, 5:7, 6:3.

ფინალი

ანა ჩაკვეტაძე (რუს, 1)-სანია მირზა (ინდ) 6:3, 6:2

Gastein Ladies

ბად გაშტაინი (ავსტრია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 175 000 დოლარი

1/4 ფინალი

ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 1)-აგნეს შავი (უნგ, 6) 7:6 (5), 2:6, 6:4; **კაია კანეპი (ესტ, 4)**-რენატა მორაკოვა (ჩეხ) 6:4, 3:6, 6:0; **კარინ კნაპი (იტა, 7)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 4:6, 7:6 (2), 6:1; **ივონ მოისბურგერი (ავსტრია)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ, 8) 6:1, 6:4.

1/2 ფინალი

ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 1)-კაია კანეპი (ესტ, 4) 6:4, 6:2; **ივონ მოისბურგერი (ავსტრია)**-კარინ კნაპი (იტა, 7) 6:1, 3:6, 6:3.

ფინალი

ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 1)-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:1, 6:4.

ᲢᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘ

ᲙᲝᲜᲢᲐᲓᲝᲠᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲖᲔ

კვარცხლბეკზე (მარცხნიდან): კეიდელ ევანსი, ალბერტო კონტადორი და ლევი ლაიპპაიმერი

ᲒᲠᲔᲒ ᲚᲔᲛᲝᲜᲔᲡ რომ ჰკითხო, თუ ველომრბოლი მაღალი საშუალო სიჩქარის აკრეფას ახერხებს, ეჭვი უნდა დაგებადოს იმისა, რომ ის დოპინგზე ზის. ჰოდა, ტურ დე ფრანსის ბოლოსწინა ეტაპის, დროზე ინდივიდუალური რბოლის შემდეგ, თავისუფლად შეგვიძლია, როგორც მინიმუმ, ეჭვი პირველ ათ ადგილზე გასულ ველომრბოლებზე მივიტანოთ.

არადა, რა საინტერესო რბოლის მოწმენი გავხდით - ბოლო კილომეტრამდე ძნელი სათქმელი იყო, შეინარჩუნებდა თუ არა ყვითელ მაისურას "დისქავერი ჩენელის" ესპანელი **ალბერტო კონტადორი,** შეძლებდა თუ არა მის გასწრებას "პრედიქტორ-ლოტოს" ავსტრალიელი **კეიდელ ევანსი** და მოახდენდა თუ არა სასწაულს "დისქავერი ჩენელისვე" ამერიკელი **ლევი ლაიპპაიმერი,** ვისაც მოულოდნელად, ორივეს გასწრების შანსი გაუჩნდა.

"ევროსპორტის" რუს კომენტატორს კონტადორის ლეგენდარული თანამემამულე **მიგელ ინდურაინიც** კი გაახსენდა - მის შემდეგ, ასეთი სწრაფი დროზე რბოლა პირველად ვიხილეთო. ისე, დანიელი **მიქაელ რასმუსენი** რომ "რაბობანკს" რბოლიდან არ მოეხსნა, ასეთ დაძაბულ ბოლოსწინა ეტაპს ალბათ ვერ ვიხილავდით, მაგრამ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ მას ველომარათონის დროს არცერთხელ არ ჩაუგდია ტესტი და მხოლოდ იმის გამო დაისაჯა, რომ ვიღაცამ იტალიაში "ნახა" იმ დროს, როცა ის მექსიკაში უნდა ყოფილიყო სავარჯიშო შეკრებაზე.

ასეა თუ ისე, გუშინ შანს ელისეზე ყვითელი მაისურით კონტადორი ვიხილეთ, ვინც, ახლა თუ ვერა, მომავალში (არცთუ შორეულ) მაინც აუცილებლად გახდებოდა ფრანგული ტურის ჩემპიონი. მართალი გითხრათ, სანამ რასმუსენს რბოლას დაატოვებინებდნენ, მანამ ვფიქრობდით იმაზე, რომ კონტადორი მკითხველისთვის მომავალი ჩემპიონის რანგში წარგვედგინა. მაგრამ როგორც ჩანს, ეს ტურის დაწყებამდე უნდა გაგვეკეთებინა. ისე, თავადაც არ ელოდა, თუ ასე ჩქარა მოახერხებდა სანუკვარი მიზნის მიღწევას.

დროზე რბოლა მას არ მოუგია, მაგრამ სწორედ მის შემდეგ, საბოლოოდ დაიბევა ნებისმიერი ველომრბოლისთვის სანუკვარი, ყვითელი მაისური, რომელიც წინა წლებში, ზედიზედ შვიდჯერ მოიპოვა მისმა ლეგენდარულმა თანაგუნდელმა, ამერიკელმა **ლენს არმსტრონგმა**. ჰო, რახან ვახსენეთ, ბარემ გეტყვით, რომ გუშინ, ტურის ბოლო, სააღლუმო ეტაპზე, არმსტრონგი "დისქავერი ჩენელის" მანქანით გაუყვა ნაცნობ გზებს - ჩვენმა გუნდმა პირველად მოიპოვა გუნდური პირველი ადგილი და როგორ შეიძლება, ამ დროს მასთან ერთად არ ვიყოო, - "თავი გაიმართლა" არმსტრონგმა.

ბოლოსწინა ეტაპზე ყველაზე სწრაფი ლაიპპაიმერი იყო, რომელმაც ისეთი ტემპი აკრიფა, მის წინ მყოფ ევანსს ვინ ჩივის, კინაღამ კონტადორიც უკან მოიტოვა. შუა გზაზე ისე ჩანდა, რომ ამერიკელი შეძლებდა ოზი ველომრბოლის უკან მოტოვებას. მაგრამ შემდეგ ევანსმაც ტემპს უმატა და თავისი მეორე ადგილიც შეინარჩუნა. თუმცა უფრო წინ წანევა ვეღარ შეძლო - ყვითელ მაისურამდე მას 23 წამი დააკლდა, თავად კი ლაიპპაიმერს მხოლოდ რვა წამით აჯობა. სხვათა შორის, ტურის ისტორიაში, რბოლა ყველაზე მცირე უპირატესობით ლემონდს აქვს მოგებული, რომელმაც 1989 წელს ფრანგ **ლორან ფინიონსოდენს** რვა წამით აჯობა.

ნარბოლევს კონტადორმა განაცხადა, რომ დისტანციის ნახევრის შემდეგ ძალიან გაუჭირდა. მაგრამ სტიმული იმდენად დიდი იყო, რომ დაღლა და ტკივილი დაივიწყა და ტემპის დაუგდებლად განაგრძო გზა. *"ფინიშამდე ოცდაათი კილომეტრი რომ რჩებოდა, ჩემი უპირატესობა 38 წამამდე იყო შემცირებული, ფეხები კი უსაშველოდ დამიმძიმდა. გავიფიქრე, ასე თუ გაგრძელდა, ლიდერობას დავკარგავმეთქი. მერე გადავწყვიტე, ბოლომდე მებრძოლა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძნელი იყო და მიხარია, რომ ყვითელი მაისური შევინარჩუნე",* - ნარბოლევს განაცხადა კონტადორმა.

"რაც შემეძლო, ყველაფერი ვიღონე. ახლა რომ ვიხსენებ, პეირესურდის აღმართზე დაკარგული 55 წამი გამარჯვების ფასად დამიჯდა. მაშინ კონტადორის და რასმუსენის შეტევას ვერ ვუპასუხე. სწორედ იქ წავაგე ტური", - განაცხადა ევანსმა და პირობა დადო, რომ მერმისაც იბრძოლებს ტურზე გასამარჯვებლად.

რაც შეეხება ლაიპპაიმერს, მან კარიერაში პირველად შეძლო ფრანგული ტურის ეტაპის მოგება. თანაც, გრძელ დისტანციაზე (55.5 კმ) მისი საშუალო სიჩქარე (53.068 კმ/სთ) მართლაც საოცრად დიდი იყო და თვით არმსტრონგსაც კი შეშურდებოდა.

ტურზე მიგელ ინდურაინის ბოლო, მეხუთე ტრიუმფის (1995 წელი) შემდეგ, კონტადორი პირველი ესპანელია, ვინც ფრანგული ველომარათონის მოგება შეძლო. ამასთან, 1998 წლის ტურზე იტალიელი **მარკო პანტანის** ტრიუმფის შემდეგ, ის პირველი ჭეშმარიტად სამთო სპეციალისტია, ვინც პარიზში ყვითელი მაისურით შევიდა.

ყვითელი მაისურის გარდა, კონტადორმა ახალგაზრდების კლასიფიკაციაშიც გაიმარჯვა და თეთრი მაისურიც მოიპოვა. სამთო კლასიფიკაციაში (კოპლებიანი მაისური) კი მას მხოლოდ კოლუმბიელმა **მაურისიო სოლერმა** აჯობა. საუკეთესო სპრინტერის მწვანე მაისურა პირველად მოირგო ბელგიელმა **ტომ ბონენმა**. ბოლო ეტაპის მოგების შემთხვევაში, მისი უკან მოტოვების შანსი სამხრეთაფრიკელ **რობერტ ჰანტერს** ჰქონდა, მაგრამ მან მიზანს ვერ მიაღწია, მხოლოდ მეოთხე შედეგს დასჯერდა. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე პირველად გავიდა ამერიკული "დისქავერი ჩენელი", რომლის ორმა წევრმა კვარცხლბეკზე ასვლა შეძლო, სამმა წევრმა კი მოწინავე ათეულში დაასრულა ასპარეზობა.

ბოლო ეტაპი კი "ლამპრეს" იტალიელმა **დანიელე ბენატიმ** მოიგო, რომელმაც საფინიშო სპურტი ნაადრევად წამოიწყო და მიუხედავად იმისა, რომ ერთ მომენტში დაღლა დაეტყო, ფინიშთან მაინც ყველას მიასწრო.

"ტურზე იმისათვის გამოვედი, რომ ერთი ეტაპი მაინც მომეგო. მიზანს ორჯერ მივაღწიე, პარიზში გამარჯვებით კი უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. გარწმუნებთ, ჩემი კარიერა ამ გამარჯვებით იწყება", - განაცხადა ბენატიმ.

სხვათა შორის, 1975 წლიდან რაც პარიზის შანს ელისე ტურის ბოლო ეტაპს მასპინძლობს, ამ ეტაპის გამარჯვებული ყოველთვის მასსპრინტით მთავრდება. გამონაკლისს ადგილი არც ამჯერად ჰქონია...

ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲚᲠᲛᲐᲕᲓᲐ

ჯერ კიდევ დროზე რბოლის სტარტამდე, ტურის დირექტორმა **კრისტიან პრუდომმა** და ტურის ორგანიზატორ "ამაური სპორტს ორგანიზასიონის" (ASO) შეფმა **პატრის კლერმა** სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ ტურის დროს მომხდარმა დოპინგსკანდალებმა ტურის ორგანიზატორებსა და ველოსპორტის საერთაშორისო კავშირს (UCI) შორის დაპირისპირება კიდევ უფრო გააღრმავა.

"ყოველივეს შემდეგ, ერთადერთი ახსნა შემდეგნაირად შეიძლება გამოვთქვათ - კავშირის მოხელეები ან არაკომპეტენტურები არიან, ან შეგნებულად ცდილობენ ტურისთვის იმიჯის შელახვას. სხვა რა შეიძლება ვთქვათ მას შემდეგ, რაც ვიგებთ, რომ კავშირში კარგად იცოდნენ რასმუსენის მიერ გაცდენილი ტესტების შესახებ, მაგრამ რბოლის დაწყებამდე ირწმუნებოდნენ, ყველაფერი რიგზეაო. უცნაურია ისიც, რომ ტურამდე ჩვენ შემთხვევით გავიგეთ სინკევიციის ტესტის დადებითი პასუხის შესახებ. ეს მაშინ, როცა სხვა ტესტების შედეგებს ძალიან სწრაფად ვგებულობთ. ამის შემდეგ შეგვიძლია დავეჭვდეთ, რომ კავშირში არ სურდათ, რომ სინკევიციის ტესტის შედეგი ადრე გახმაურებულიყო", - განაცხადა პრიუდომმა.

სხვათა შორის, ტურის შეფის ამ განცხადებამდე, მკვახე გამოსვლა ჰქონდა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტ **პატრიკ მაკქუეიდსაც,** ვინც რბოლის ორგანიზატორებმა არც კი მიიწვიეს ასპარეზობაზე დასასწრებად, მაგრამ ქალაქ კონიაკში თავად ჩავიდა და განაცხადა, რომ იქ ფრანგული ტელევიზიის მიწვევით, ინტერვიუს გასაცემად იყო ჩასული.

ცოტა ხნის წინათ, მაკქუეიდი პრიუდომისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვდა იმ კრიტიკის გამო, რაც მას ტურის შეფმა რასმუსენის რბოლიდან გაგდების შემდეგ დაატეხა. მაგრამ შემდეგ მაკქუეიდი მოლბა და კონიაკში ყოფნისას შერიგებისკენ მოუწოდა მოდავე მხარეს.

"ჩვენ დიალოგისთვის მზად ვართ. ვფიქრობ, ტური მარტო ამაური სპორტს ორგანიზასიონს არ ეკუთვნის, ტურ დე ფრანსი ველოსპორტული ოჯახის საკუთრებაა, მე კი ამ ოჯახის პრეზიდენტი ვარ. ვფიქრობ, ისინი ამაში დამეთანხმებიან. ჰოდა, ვალდებულები ვართ, საერთო პრობლემის მოსაგვარებლად მოლაპარაკების მაგიდას მივუსხდეთ. ჩვენი საერთო მტერი დოპინგია. და თუ ამ მტერს ერთად არ ვებრძოლეთ, არაფერი გამოგვივა", - ამბობს მაკქუეიდი.

ჩემპიონმა გზად შამპანურიც მიირთვა

მერაბ ლორთქიფანიძე

მე-19 ეტაპი. კონიაკიდან ანგულემემდე (55.5 კმ, დროზე ინდ. რბოლა)

1. ლევი ლაიპპაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 1:02.44 (53.068 კმ/სთ); 2. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 0.51; 3. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 1.56; 4. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, დისქავერი ჩენელი) 2.01; 5. ალბერტო კონტადორ ველასკო (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 2.18; 6. ხოსე ივან გუტიერეს პალასიოსი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.27; 7. ჯორჯ პინკეიპი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 2.33; 8. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.36; 9. ლაიფ ჰოსტე (ბელგია პრედიქტორ-ლოტო) 2.48; 10. მიკელ ასტარლოსა შორო (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 2.50...

მე-20 ეტაპი. მარკოსისიდან პარიზამდე (146 კმ)

1. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრეფონდიტალი) 3:51.03 (37.91 კმ/სთ); 2. თორ ჰუსპოდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) იგივე დროში; 3. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 4. რობერტ ჰანტერი (სამხ.აფრიკა, ბარლოუორლდი); 5. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 6. სებასტიან შავანელი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ); 7. ფაბიან კანჩელარა (შვეიცარია, CSC); 8. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, სონიე დიუვალ-პროდირი); 9. რობერტ ფიორსტერი (გერმანია, გეროლშტაინერი); 10. მანუელ კინცატო (იტალია, ლიკიგაზი) ყველა იგივე დროში...

საბოლოო კლასიფიკაცია

1. ალბერტო კონტადორ ველასკო (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 91:00.26; 2. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 0.23; 3. ლევი ლაიპპაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 0.31; 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 7.08; 5. აიმარ სუბელდია აგირე (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 8.17; 6. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 11.37; 7. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ტე-მობილი) 12.18; 8. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, დისქავერი ჩენელი) 12.25; 9. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 14.14; 10. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 14.25...

ქულების კლასიფიკაცია (მწვანე მაისური)

1. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 256 ქულა; 2. რობერტ ჰანტერი (სამხ.აფრიკა, ბარლოუაორლდი)234; 3. ერიკ ცაბელი (გერმანია,მილრამი) 232; 4. თორ ჰუსპოდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) 186; 5. სებასტიან შავანელი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ)181...

სამთო კლასიფიკაცია (კოპლებიანი მაისური)

1. მაურისიო სოლერი (კოლუმბია, ბარლოუორლდი) 206 ქულა; 2. ალბერტო კონტადორ ველასკო (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 128; 3. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, დისქავერი ჩენელი) 105; 4. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 92; 5. ლორან ლეფევრი (საფრანგეთი, ბუჟე ტელეკომი) 85...

ახალგაზრდების კლასიფიკაცია (თეთრი მაისური)

1. ალბერტო კონტადორ ველასკო (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 91:00.26; 2. მაურისიო სოლერი (კოლუმბია, ბარლოუორლდი) 16.51; 3. ამეტს ჩურუკა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 49.34; 4. ბერნჰარდ კოლი (ავსტრია, გეროლშტაინერი) 1.13.27; 5. კანსტანტინ სიუცოუ (ბელარუსი, ბარლოუორლდი) 1.15.16...

გუნდური კლასიფიკაცია

1. დისქავერი ჩენელი 273:.12.52; 2. კაისე დ'ეპარნი 19.36; 3. CSC 22.10; 4. რაბობანკი 36.24; 5. ეუსკალტელ-ეუსკადი 46.46...

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ᲛᲐᲨᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
ᲒᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲝᲗᲐᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲭᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲘᲫᲘᲚᲐᲫᲔ
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲩᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲔᲡᲘᲚ ᲯᲐᲜᲑᲐᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲝᲑᲐ ᲐᲮᲚᲐᲚᲐᲫᲔ
ᲒᲝᲩᲐᲤᲠᲘᲓ ᲚᲔᲜᲪᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ
ᲨᲐᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲩᲠᲘᲫᲔ, ᲗᲐᲡᲘᲚ ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲠᲔᲯᲔᲚᲘᲫᲔ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲩᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲗᲐᲧᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲣᲠᲘᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲨᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲓᲔᲩᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲑᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ
ᲚᲔᲚᲐ ᲑᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲖᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ), ᲒᲘᲕᲘ ᲕᲔᲨᲐᲞᲘᲫᲔ, ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲘᲓᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ.: 46 34 48)
ᲑᲐᲫᲐᲠ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ.: 899 91 87 17)
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲔ

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ (1949-52, 64-76)
ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53)
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64)
ᲐᲜᲖᲝᲠ ᲑᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ (1976-83)
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85)
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ (1985-დან)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: ᲨᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲔᲚᲝ, ᲨᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲐ

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ
Მ. ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ 14,
0108 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ).
ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10ª, 0159 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ (ᲓᲘᲓᲣᲑᲔᲗᲘ, ᲐᲮ. ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ);
ᲤᲐᲥᲡᲘ: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ